პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 23 აგვისტო 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 194 (2237)

დღიური

- შრომის უნიტარული კონფედერაციის მოწოდება.
- ინგლისში უმუშევრობა იზრდება.
- კელოგის ხელშეკრულება [illegible]
- პროფ. ბეგოუნეკი „კრასინი"-ს მუშაობის შესახებ.
- განხეთქილება ხორვატიის რადიკალურ პარტიაში.
- ხეზე მომუშავეთა გაფიცვა აარაუში (შვეიცარია).
- ოქსფორდის (ინგლისი) უნივერსიტეტმა გადასწყვიტა გამოსცეს ტოლსტოის ნაწერები.

ჩვენ ვიზრდებით

მიუხედავათ მთელ რიგ საგარეო და საშინაო ხასიათის სიძნელეებისა, რომელნიც თავის წარმოშობის დღიდანვე წინ ეღობება საბჭოთა სახელმწიფოს, ეს უკანასკნელი შეუჩერებლივ და მტკიცედ მიდის წინ პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების გზით. ყოველი ახალი სამეურნეო თუ კალენდარული წელი ამის დამამტკიცებელ მრავალ საბუთს იძლევა. ამ მხრივ გამონაკლისს არ შეადგენს არც მომავალი 1928-29 სამეურნეო წელი. იმ ცნობების მიხედვით, რომელნიც ჩვენ გვაქვს საბჭოთა კავშირის ახალ მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სოციალისტური მშენებლობის საქმე ჯანსაღ და საიმედო ნიადაგზე დგას.

1928—29 წლის ბიუჯეტი უკვე დაამუშავა საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატმა და შეუთანხმა ის საკავშირო საგეგმო კომისიას. შემოსავლის საერთო ჯამი ახალი ბიუჯეტის თანახმად უნდა უდრიდეს 6.970 მილიონ მანეთს. იმ თანხასთან შედარებით, რომელიც უნდა შემოვიდეს 1927—28 წლის ბიუჯეტის მიხედვით, ეს წარმოადგენს სახელმწიფო შემოსავლის ზრდას 11—12 პროცენტამდე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის წყაროები, რომლისგანაც შესდგება ახალი ბიუჯეტის შემოსავალი. სახელმწიფოს შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს სხვა და სხვა სახის გადასახადი.

საბჭოთა ხელისუფლების საბიუჯეტო პოლიტიკა სხვათა შორის თავიდანვე ისახავდა და ეხლაც ისახავს მიზნად, სახალხო მეურნეობის საერთო ზრდასთან ერთად შეამციროს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავალი და გააძლიეროს არასაგადასახადო შემოსავლის წყაროები.

ახალი საკავშირო ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროები ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს, რომ საბჭოთა ხელისუფლება წლიდან წლამდე მტკიცედ ახორციელებს ამას. 1928-29 წ. ბიუჯეტის, ისე როგორც წინა წლების ბიუჯეტის დამახასიათებელი თვისებაა: საგადასახადო შემოსავლის შემცირება და ამავე დროს არასაგადასახადო წყაროების ზრდა.

ასე მაგალითად, საგადასახადო შემოსავალი ახალ ბიუჯეტში, როგორც ეს განსაზღვრულია საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან, უნდა შეადგენდეს 3.255,3 მილიონ მანეთს, არასაგადასახადო კი, თუ არ ვიანგარიშებთ რკინის გზისა და ფოსტის შემოსავალს,—919,2 მილიონ მანეთს. პროცენტებზე გადაყვანით ეს ნიშნავს, რომ არასაგადასახადო შემოსავალი წინა წლის ბიუჯეტის ასეთივე შემოსავალთან შედარებით გაიზარდა 18,4 პროცენტით. ამასთანავე ბიუჯეტის თანახმად რკინის გზამ უნდა მოგვცეს 1.870 მილიონი მანეთი შემოსავალი, ე. ი. წინა წელთან შედარებით ის უნდა გაიზარდოს 11 პროცენტით, ხოლო ფოსტა-ტელეგრაფმა—195 მილიონი მანეთი, ანუ წინა წელთან შედარებით 13,2 პროცენტით მეტი.

ახალი ბიუჯეტის თანახმად, სახელმწიფო მრეწველობამ და წარმოებებმა, რკინის გზისა და ფოსტა-ტელეგრაფის ჩართვით, 1928—29 წელში უნდა მისცეს სახელმწიფოს 824,5 მილიონი მანეთი შემოსავალი, ე. ი. 20.1 პროცენტით მეტი, ვიდრე—მიმდინარე სამეურნეო წელში.

აღნიშნული ციფრები ცხადჰყოფენ, რომ გაიზარდა ახალი ბიუჯეტის არა მარტო საერთო შემოსავალი, არამედ, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ შემოსავლის არასაგადასახადო ნაწილიც. სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ კიდევ უფრო განმტკიცდა და წინ წავიდა სოციალისტური სახალხო მეურნეობა, რომელიც შეადგენს ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლის წყაროს.

არანაკლებ საყურადღებოა ახალ ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი. როგორც ყოველთვის, მრეწველობას აქ პირველი და საპატიო ადგილი უკავია. კურსი ინდუსტრიალიზაციისაკენ, თუ ის არ ეყრდნობა სათანადო ფინანსიურ საფუძველს, ფუჭი ოცნებობა იქნებოდა. საბჭოთა ხელისუფლება ყველა შესაძლებლობას ხმარობს იმისათვის, რომ მიუხედავად ჩვენი მწვავე ფინანსიურ ხელმოკლეობისა, მრეწველობის განვითარება უზრუნველჰყოს მატერიალური შესაძლებლობით. ახალ ბიუჯეტის მიხედვით 1928—29 წელში მრეწველობისათვის უნდა გაიდოს დაახლოებით 2.100 მილიონი მანეთი, რაიც უდრის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის თითქმის ერთ მესამედს. ამასთან ერთად მხედველობიდან არ არის გამოშვებული სასოფლო-მეურნეობის ინტერესები. თუ მიმდინარე წელში სასოფლო-მეურნეობამ მიიღო 800 მილიონი მანეთი, 1928-29 წლისათვის განზრახულია მიეცეს მას 1.050 მილიონი მანეთი. ეს თანხა არის ის მაქსიმუმი, რომლის გადადებაც შეიძლებოდა სახელმწიფო ბიუჯეტისა და სხვა წყაროებიდან სასოფლო-მეურნეობის დარგში დასახულ მორიგ ამოცანების გადასაწყვეტად.

ახალი ბიუჯეტი დიდ ყურადღებას აქცევს ტრანსპორტის მშენებლობას. ამ მიზნით 1928-29 სამეურნეო წელში გზათა სახალხო კომისარიატი გადასდებს 700 მილიონ მანეთს.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ-კულტურულ საჭიროებათა ფინანსიურად უზრუნველყოფა უმთავრესად ადგილობრივ ორგანოებს ევალებათ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ საქმეზე უნდა იქნეს გადადებული 678,9 მილიონი მანეთი, ანუ 15 პროცენტით მეტი, ვიდრე ეს არის მიმდინარე სამეურნეო წელში.

ასეთია ახალ ბიუჯეტის შესავალ-გასავლის დამახასიათებელი ციფრები. თუ სწორია ის შეხედულება, რომ ბიუჯეტი სახალხო მეურნეობის სარკეა, და ეს უთუოდ ასედაც არის, შეიძლება უდაოდ ვთქვათ, რომ თავის თავის ძალების იმედით მიტოვებული, შეურიგებელ მტრებით გარშემორტყმული საბჭოთა კავშირი წლიდან-წლამდე ურყევათ იზრდება და ახალ ღონეს იკრეფს. მართალია ჩვენ ხშირად გვაქვს მეტად დიდი დაბრკოლებანი, მაგრამ ისინი დროებითი ხასიათის არიან და მხოლოდ დაბრკოლებადვე რჩებიან. სოციალისტური მშენებლობის შეუჩერებელი ზრდა კი უდაო ფაქტია. საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილი და საკავშირო საგეგმო კომისიის მიერ მოწონებული ახალი სახელმწიფო ბიუჯეტი, რა ცვლილებებიც არ უნდა განიცადოს მან სხვა ცენტრალურ ორგანოებში, ამას ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს.

საზიზღარი მკვლელობის წლისთავი

ერთი წლის წინად ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა უსაზიზღრესი ავაზაკობა, რამაც შეაშფოთა მთელი დედამიწა, ყველა ხალხი, და რამაც რევოლიუციონური რისხვის ქარიშხალი დაატრიალა პროლეტარულ მსოფლიოში. ეს იყო, ეგრეთ წოდებული, საკოსა და ვანცეტის საქმე, რომელიც დამთავრდა ორივე რევოლიუციონერი მუშის მოკვლით ელექტრონის სკამზე. ეს იყო დახვეწილი უაღრესად „ცივილიზაციური" ელექტრონული სასჯელი, რომელიც ნაკურთხია იმპერიალისტური „მართლმსაჯულების" ყველა კანონით, ეს იყო ჯოჯოხეთური კლასობრივი შურისძიება ორი პატიოსანი მუშაკის მიმართ, რომელთაც თვისად არ იცნეს მორგანებისა და როკფელერების „ოქროს სამოთხე", დოლაროკრატია და ფულეროკრატია აწამებდა საკოსა და ვანცეტს შვიდი წლის განმავლობაში, შეთითხნა მათ წინააღმდეგ არამზადული პროცესი, დააბრალა მათ მკვლელობა, ცილი დასწამა და დახოცა ისინი, რამაც გამოიწვია ბურჟუაზიული ხროვის ველური აღტაცება და მთელი მსოფლიოს მშრომელთა აღგზნებული მრისხანე რევოლიუციონური პროტესტი.

საკოსა და ვანცეტის საქმე უეჭველად მსოფლიო ისტორიული მოვლენა იყო. მან უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა ქვეყნის, ყველა ერისა და რასის მუშებსა და მშრომელებზე.

ამ საქმემ მათ ბევრი რამ ასწავლა, მათ კლასობრივ შეგნებას დიდად აუხილა თვალი და გამოიწვია რევოლიუციონური ბრძოლის გაცხოველება.

საკოსა და ვანცეტის საქმის გამოძახილი დღევანდლამდე გაისმის. მწვავე მოგონება ბოსტონის კოშმარის შესახებ ცოცხლობს და კვლავაც იცოცხლებს მრავალი მილიონი ადამიანის გულში.

მოვიგონოთ ძალთა დარაზმვა, რომელიც მოჰყვა გულშემზარავ პროცესს, და მუშათა კლასის მოწამეთა, იმპერიალისტური ბირჟის პატიმართა საკოსა და ვანცეტის სადისტური გვემა და წამება. ორმა მუშამ, ორმა იტალიელმა ემიგრანტმა, რომელთაც იგემეს კაპიტალისტური უღლის მთელი სიტკბოება და არამზადობა დოლარის „ღვთიურ" რესპუბლიკაში, — ბრძოლა გამოუცხადეს კაპიტალს.

მათ ამისათვის ბორკილები დაადეს ხელფეხზე. ყოველ საათში მთელი წლობით განმავლობაში მათ მოელოდა ელექტრონის სკამზე წამება, სიკვდილი. მათ თანაგრძნობას უცხადებდნენ პროლეტარები და ჩაგრულები. აურიცხელი თანაგრძნობის წერილი, დეპეშა და მკაცრი საპროტესტო რეზოლიუცია მიდიოდა დედა-მიწის ყოველი კუთხიდან: იტალიიდან, გერმანიიდან, პარიზიდან, ნაგასაკიდან, ნიუ-იორკიდან, ლონდონიდან, ხარკოვიდან, მოსკოვიდან. კომუნისტური ინტერნაციონალი ახასიათებდა ამ „საქმის" ინტერნაციონალურ არსებას და მოუწოდებდა ჩაგრულთ კაპიტალის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ. ამერიკის ახალგაზრდა კომპარტია ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა ბოსტონელი ჯალათების წინააღმდეგ. საკოსა და ვანცეტის დამხსნელი წვრილ-ბურჟუაზიული კომიტეტი დაფრთხა, შეშინდა. ის ეხვეწებოდა და „არწმუნებდა" იმპერიალისტურ მხეცებს—არ დაესაჯათ სიკვდილით საკო და ვანცეტი. გერმანული „ფორვერტსი" საძაგლად ჩიფჩიფებდა, რომ აუცილებელია „დაცულ იქნას ლოიალობა" ოკეანეს გადაღმა მდებარე ქვეყნის ბანკირების მიმართ. მთელი საერთაშორისო პრესა, დაწყებული ფაშისტურით და გათავებული სოციალ-დემოკრატიული პრესით, გააფთრებით ილაშქრებდა კომუნისტების წინააღმდეგ და მრავალ მოშხამულ ისრებს ისვრიდა რევოლიუციონური პროლეტარიატის ბანაკისაკენ. მსოფლიოს უდიდესი ქალაქების მრავალი ასი ათასი მუშა გამოვიდა ქუჩებში. მათ სცემდენ, აპატიმრებდნენ, ამწყვდევდნენ საპყრობილეებში. ბოსტონში კი ჯალათი აკეთებდა თავის საქმეს და ცნობა თეთრი ტერორის სისაძაგლის შესახებ მთელ დედამიწას ეფინებოდა. რევოლიუციონური მოძრაობა არ შენელდა, პირიქით, უფრო გაძლიერდა.

საკოსა და ვანცეტის შეურაცხყოფა და წამება დიად გაკვეთილად გადაიქცა დაჩაგრულთათვის.

საკოსა და ვანცეტის მკვლელობამ დაანახვა ბევრ მერყევ და დაეჭვებულ ადამიანს, თუ ნამდვილად რას წარმოადგენს მეძავი, სულით და ხორცით მოვაჭრე ასული, რომელსაც უწოდებენ „იუსტიციას", „მართლმსაჯულებას", „სამართლიანობას". ორი მუშის მოკვლა სრულებითაც არ იყო ამერიკის სასამართლოს „უნებური შეცდომა", როგორც ამას ამტკიცებენ ზოგიერთი „სოციალისტური" არამზადები. იგი იყო ბურჟუაზიის შეგნებული, დაწვრილებით აწონილ-დაწონილი კლასობრივი განაჩენი „მეამბოხე" პროლეტარიატის მიმართ. ამ განაჩენის პასუხი შეიძლება მხოლოდ ერთად-ერთი იყოს: პროლეტარიატის კლასობრივი სასიკვდილო განაჩენი ბურჟუაზიის მიმართ.

საკოსა და ვანცეტის მკვლელობამ თვალნათლად დაანახვა მრავალ მილიონ მშრომელს, რომ, საუკეთესო შემთხვევაში, ილუზიას, — უფრო ხშირად კი მუშათა უსირცხვილო მოტყუებას, — წარმოადგენს ის აზრი, რომ საჭიროა ვიბრძოლოთ კაპიტალიზმის მხოლოდ ცალკე „სამწუხარო მინუსების" წინააღმდეგ. ორი გმირი მუშის სიკვდილი უძლეველი ძალით ღრღნიდა პროლეტარიატის ტვინს, ულვიძებდა მას დიდ რევოლიუციონურ აზრს იმის შესახებ, რომ ბრძოლის წარმოება საჭიროა თვით კაპიტალისტური რეჟიმის საფუძვლების წინააღმდეგ, რომ კაპიტალისტურ ძალმომრეობას პროლეტარიატმა უნ და უპასუხოს რევოლიუციონური ძალმომრეობით, რომ საჭიროა აქტიური ბრძოლა მუშათა ხელისუფლებისათვის და პროლეტარული დიქტატურისათვის. ბოსტონის შურისძიების მთელმა გარემოებამ, იმ მუხანათურმა პოზიციამ, რომელიც საკოსა და ვანცეტის საქმეში დაიჭირეს მე-2 ინტერნაციონალის პარტიებმა, დაარწმუნა მრავალი ათასი მუშა, რომ საჭიროა მთელის ძალ-ღონით ბრძოლის დროშის აღმართვა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას: საკოს გადარჩენის საქმე უმთავრესად ჩაშალეს ლაქია სოციალისტებმა. რატომ? იმიტომ, რომ ელექტრონის სკამისაგან ორივე მუშის გადარჩენა შეეძლო მხოლოდ თვით მუშათა კლასს, მთლიანს, დარაზმულს და ვაჟკაცურად მებრძოლს რევოლიუციონური დროშის ქვეშ. სოციალ-დემოკრატიის მუხანათურ როლს კი ახასიათებდა და ახასიათებს მუშათა რიგების გათიშვა, მასების განზე დაჭერა ნამდვილი ბრძოლისაგან, პროლეტარიატის ნებისყოფის გახრწნა. იმის ნაცვლად, რომ ებრძოლათ იმათ წინააღმდეგ, ვისაც რკინის ბრჭყალებში ჩაჭერილი ჰყავდათ საკო და ვანცეტი, კაპიტალის მზვერავებმა პროვოკატორული ტყუები დაუშინეს კომუნიზმს. პროლეტარულ კლასობრივ შეგნებას ისინი მურტალი ფეხით ჰქელავდნენ და სანაცვლოთ იცავდნენ „საღმრთო ერთობას" ბურჟუაზიასთან. ამიტომ ისინი დაეხმარნენ საკოსა და ვანცეტის ჯალათებს და საუკუნოდ წაიცხეს სამარცხვინო წარუხოცელი ჩირქი.

ბოსტონის გასისხლიანებული აჩრდილნი ღაღადებენ ბრძოლას სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ.

საკოსა და ვანცეტის საქმე სრულებით არ არის რაღაც განსაკუთრებული, „ამერიკული" საქმე. ის „ამერიკულია" მხოლოდ იმ მხრივ, რომ მან განსაკუთრებით ნათლად და თვალსაჩინოდ გამოაშკარავა ამერიკის „მოწინავე დემოკრატიის" „საზიზღარი სახე". საკოსა და ვანცეტის მაგვარი „საქმე" აუარებელია მთელ ექსპლოატატორთა მსოფლიოში. ყველა იმპერიალისტურ ქვეყანაში იღვრებოდა და იღვრება მუშათა სისხლი: კანტონში, ბუქარესტში, ვენაში, ვარშავაში... აი სწორედ ამიტომ ყველა ქვეყნის პროლეტარები, რომლებსაც ამოძრავებს სწორი კლასობრივი ინსტინქტი, საკოსა და ვანცეტის საქმე სამართლიანად მიაჩნიათ საკუთარ, მშობლიურ საქმედ.

დღეს, კოშმარული მკვლელობის წლის თავზე, საერთაშორისო პროლეტარიატს აქვს განსაკუთრებული საფუძველი მოიგონოს და დაფიქრდეს საკოსა და ვანცეტის საქმეზე. კაცობრიობას უფრო და უფრო აშკარად უახლოვდება მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის ახალი საშინელი ქარიშხალი. უკვე მოსჩანან და მსოფლიოს ჰორიზონტზე ელავენ კაცობრიობის მომავალი გამანადგურებელი ხანძრის ნაპერწკლები. ომს ამზადებენ იმპერიალისტები და მოღალატე სოციალ-ტრუბადურები.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთი წლის წინედ ორი მუშის სიკვდილით დასჯის საპასუხოდ ფეხზე დადგა მთელი პროლეტარული მსოფლიო. ძლიერმა ინტერნაციონალურმა პროტესტმა სერიოზულად შეაკრთო იმპერიალისტური მპყრობელები. საერთაშორისო პროლეტარიატმა თავისი კომუნისტური ავანგარდის წინამძღოლობით შესძლო გამოეაშკარავებია თავისი ძალა და ძლიერება. უდიდესი დემონსტრაციების ტალღამ გადაიარა მთელი დედა-მიწის ზურგზე.

ეხლა კი სასჯელს, სიკვდილს უმზადებენ მშრომელ კაცობრიობას: ამზადებენ ახალ დიდ ომს, რომელიც მრავალი მილიონი პროლეტარის სიცოცხლეს შეიწირავს. მით უფრო გვევალება მივიღოთ გადამწყვეტი ზომები კაცობრიობის მორიგი ხოცვა-ჟლეტის თავიდან ასაცილებლად. ყოველგვარი საშუალებით, რომელიც კი რევოლიუციონურ ბანაკს მოეპოვება, უნდა ვიბრძოლოთ დაუნდობლად, ყოველდღიურად, სისტემატიურად ომის საფრთხის წინააღმდეგ. და თუ იმპერიალისტური ომი დაიწყო, იგი უნდა გადავაქციოთ სამოქალაქო ომად და მახვილი შევატრიალოთ ყველა იმპერიალისტური მოძალადის წინააღმდეგ—კლასობრივი მტრების წინააღმდეგ.

ამ დიდ მკაცრ ბრძოლას საერთაშორისო პროლეტარიატი უშიშრად აწარმოებს კომუნისტური ინტერნაციონალის ნაცადი დროშის ქვეშ.

„პრავდა", 22 აგვისტო.

ჯავშნოსანის აგების საკითხი გერმანიის მენშევიკების ცეკას პლენუმზე

„მემარცხენე" ფრთა მოითხოვს მინისტრ ეს-დეკების გამოსვლას მთავრობიდან

ტრიპოლიტანიაში დაიწყო აჯანყება იტალიის წინააღმდეგ

ჯავშნოსანის აგების გარშემო

ცხარე კამათი

ბერლინი, 22 აგვისტო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკასა და რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის პლენუმის სხდომაზე გაიმართა ცხარე კამათი. მიულერი და ზევერინგი ამტკიცებდენ, რომ „იმ დადგენილებების გამო, რომლებიც წინანდელი შემადგენლობის რეიხსტაგმა მიიღო, ყოვლად შეუძლებელი იყო ჯავშნოსანის აგებისათვის ხელი შეგვეშალა", ჩვენ რომ ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ მიგვეცა ხმა,—ეს მთავრობის კრიზისს გამოიწვევდაო.

იმ ორატორებმა, რომლებიც „მემარცხენე" ფრთას ეკუთვნიან, განაცხადეს, რომ თანხმობა ჯავშნოსანის აგებაზე არ ეგუება სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამასო. ისინი მოითხოვდნენ სოციალ-დემოკრატ მინისტრების გასვლას მთავრობის შემადგენლობიდან.

ჯავშნოსანის აგების საკითხმა ბერლინის ბირჟაზედაც იმოქმედა. სანამ არ გამოირკვა რეზოლიუცია, რომელიც მიღებულ იქნა სოციალ-დემოკრატების მიერ, ბირჟაზე მძიმე მდგომარეობა იყო. ამას „ბერლინერ ბერზენ კურიერი" ხსნიდა შინაპარტიული გართულების მოლოდინით.

გერმანიის პრესა რეფერენდუმის შესახებ

მთელი გერმანიის პრესა ეხება კომპარტიის მიერ წამოყენებულ მოთხოვნას—მოეწყოს რეფერენდუმი ჯავშნოსანის აგების საკითხის გამო.

დემოკრატიული პრესა ცდილობს სახელი გაუტეხოს მოძრაობას რეფერენდუმის სასარგებლოდ და იხსენიებს „უკიდურეს მემარჯვენეებისა და კომუნისტების მთლიან ფრონტს".

„დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი" მიმართავს შინაგან საქმეთა მინისტრს ზევერინგს და მოუწოდებს მას, უარჰყოს მოთხოვნა რეფერენდუმის შესახებ.

კომუნისტურ გაზეთებს ყოველდღე აუარებელი წერილები მოსდით წარმოებებიდან. ეს წერილები მოწმობენ, რომ რეფერენდუმის მოთხოვნამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მუშათა მასებში. უკმაყოფილებამ სოციალ-დემოკრატიის პოზიციით ჯავშნოსანის აგების საკითხში—თვით პარტიულ აპარატშიაც იჩინა თავი.

მანჰეიმში შესდგა სოციალ-დემოკრატიული მუშაკების კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც პარტიის მუშაკები იმუქრებიან, რომ პარტიულ მუშაობას თავს დაანებებენ, თუ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი არ მიიღებს ყველა ზომას, რომ ჯავშნოსანის აგებას ხელი შეუშალოს.

რეიხსტაგის კომფრაქციამ ხელმეორედ მიმართა რეიხსტაგის თავმჯდომარეს მოთხოვნით, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას რეიხსტაგის სესია ჯავშნოსანის საკითხის გამო კომუნისტების მიერ შეტანილი ინტერპელიაციის განსახილველად.

აჯანყება ტრიპოლიტანიაში

რომი, 21 აგვისტო. იტალიის პრესაში გამოქვეყნებულია სტეფანის სააგენტოს ცნობა იტალიის ჯარებისა და ტრიპოლიტანიის აჯანყებულთა ბრძოლის შესახებ. ჯებელის რაიონში მოხდა ბრძოლა იტალიის ჯავშნოსანთა რაზმსა და აჯანყებულებს შორის. დაიღუპა 11 აჯანყებული. სერიოზული ბრძოლა მოხდა აგრეთვე ბირ-გარლულის მახლობლად. იქ აჯანყებულებს მოუკლეს 40 კაცი; იტალიელებს მოუკლეს 11 და დაუჭრეს 24 კაცი. (ადს).

შრომის უნიტარული კონფედერაციის მოწოდება

პარიზი, 21 აგვისტო. შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ მოწოდებით მიმართა მუშებს. კონფედერაცია მოუწოდებს მუშებს, იბრძოლონ სამუშაო ხელფასის გადიდებისა, პროფკავშირთა უფლებების დაცვისა და გაფართოებისათვის და მუშაობის იმ მონური პირობების წინააღმდეგ, რომლებსაც მწარმოებლები აწესებენ ქარხნებში.

მოწოდება აღნიშნავს, რომ, მიუხედავად სიძვირის ზრდისა, სამუშაო ხელფასი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შემცირდა 12—18 პროცენტით.

რეფორმისტმა ბელადებმა, რომლებიც შეშინებულნი არიან მუშათა მასების განწყობილებით და საგაფიცვო მოძრაობის ზრდით, წამოაყენეს ლოზუნგი, სავალდებულო არბიტრაჟის შესახებ; ამგვარად, ისინი სცდილობენ კანონს გარეშე დააყენონ გაფიცვების უფლება (ადს).

კელოგის ხელშეკრულება

ვაშინგტონი, 21 აგვისტო. ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კოსტლმა განაცხადა: „მას შემდეგ, როცა პარიზში ხელს მოაწერენ კელოგის ხელშეკრულებას, საბჭოთა კავშირს შეუძლია შეუერთდეს მას დაუყოვნებლივ ან სხვა დროს. ხელშეკრულება შეინახება ვაშინგტონში. გარეშე საქმეთა მინისტრს თავის რწმუნებულის საშუალებით შეუძლია აცნობოს ვაშინგტონს, რომ მას სურს შეუერთდეს ხელშეკრულებას".

დასასრულ კოსტლმა სთქვა: ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირი შეუერთდება კელოგის ხელშეკრულებას, არ ნიშნავს საბჭოთა კავშირის ცნობას ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების მიერო.

კელოგის ხელშეკრულების დისკრედიტაცია

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. ხირსტის გაზეთებში დაიბეჭდა წერილი, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის გამორიცხვა კელოგის ხელშეკრულების მონაწილეთაგან სახელს უტეხს ამ ხელშეკრულებას. ხელშეკრულებას არავითარი ძალა არ ექნება საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე, რადგან საბჭოთა კავშირს განსაკუთრებული მდგომარეობა უჭირავს ევროპასა და აზიაში.

კეშენდენი კელოგის ხელშეკრულების შესახებ

ლონდონი, 21 აგვისტო. კენტერბერიის მთავარ ეპისკოპოსმა განკარგულება გასცა, გამოცხადდეს მთელ ინგლისში პარაკლისები ომის ამკრძალავ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გამო. ამ განკარგულებასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა კეშენდენმა წერილით მიმართა კენტერბერიის მთავარ ეპისკოპოსს. კეშენდენი სწერს, რომ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა იქნება კაცობრიობის უდიდესი დეკლარაცია მშვიდობიანობის დაცვის მიზნით. კეშენდენის სიტყვით, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა აღავსებს ხალხებს დღემდე გაუგონარის იმედით, რომ ისინი განთავისუფლდებიან ომის შემზარავ საშინელებებისაგან.

მახლობელ ორშაბათს

ლონდონი, 21 აგვისტო. ინგლისის ოფიციალური ცნობებით, პარიზში უკვე დასრულდა მზადება კელოგის პაქტზე ხელის მოწერისათვის. ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ მახლობელ ორშაბათს.

„ოქროს კალამი"

პარიზი, 21 აგვისტო. ჰავრიდან მიღებული ცნობით, კელოგს ქ. ჰავრის სახელით მიართმევენ ოქროს კალამს, რომლითაც ხელს მოაწერენ კელოგის ხელშეკრულებას.

ამერიკა უკმაყოფილოა

ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმებით

ლონდონი, 21 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტი აცხადებს, რომ ინგლისის ოფიციალურ წრეებში გაუგებრად მიაჩნიათ ის მოუსვენრობა, რომელიც ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებში გამოიწვია ინგლის-საფრანგეთის საზღვაო კომპრომისის ამბავმა, გაუგებრად მიაჩნია იმიტომ, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს ამომწურავი ცნობები მიაწოდეს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების პირობების შესახებ. ახლა ჯერი ვაშინგტონზეა, სწერს კორესპონდენტი; მან უნდა აცნობოს სათანადო მხარეებს, თუ რა ცვლილებების შეტანას სთვლის იგი საჭიროდ ინგლის-საფრანგეთის წინასწარ წინადადებებში. (ადს).

ცერერი ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობის შესახებ

ბერლინი, 21 აგვისტო. „ფოსიშე ცეიტუნგ"-ში ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობას ცერერი შემდეგნაირად ახასიათებს:

„ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ, რომ ევროპის კონსოლიდაცია ხდებოდეს ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობის ბაზაზე, იმ პირობით კი, რომ სრული ანგარიში გაეწიოს გერმანიის პრობლემას. მაგრამ შესაძლოა ამ ბაზამ ააფეთქოს ევროპის ფრონტი. უნდობლობა, რომელსაც ადგილი აქვს ვაშინგტონში, რომში და მოსკოვში, ბერლინშიაც იჩენს თავს. ჯერ-ჯერობით ჩვენ ვიცდით, მაგრამ გერმანიის პოლიტიკის ასეთი პასივობა დიდხანს ვერ გაგრძელდება".

განხეთქილება რადიკალურ პარტიაში

ვენა, 21 აგვისტო. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, წარსულ კვირას ხორვატიასა და ვოევოდინაში დემოკრატიული და რადიკალური პარტიების (მთავრობის კოალიციის პარტიები) მრავალი ახალი ორგანიზაცია შეუერთდა დემოკრატიულ-გლეხურ კოალიციას (ოპოზიციონური კოალიცია). მთავრობის რადიკალურ პარტიაში დაიწყო უთანხმოება. ეგრედწოდებული პაშიჩის ჯგუფი, რომელსაც ნინჩიჩი მეთაურობს, მოითხოვს კოროშეცის მთავრობის გადადგომას და „ნეიტრალური" მთავრობის დანიშვნას; ამ მთავრობამ უნდა ჩაატაროს სკუპშჩინის არჩევნები. პაშიჩის ჯგუფი ამ მოთხოვნილებას ასაბუთებს იმით, რომ აუცილებელია შეთანხმება ზაგრების ოპოზიციასთან. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ინგლისის ელჩი ინგლის-ჩინეთის შეთანხმების შესახებ

პეკინი, 21 აგვისტო. „ჩინ ბაო" აქვეყნებს ინტერვიუს ინგლისის ელჩთან ჩინეთში მაილს ლემპსონთან, რომელმაც განაცხადა: „ჩემის აზრით, ინგლის-ჩინეთის შეთანხმება აუცილებელია. შეთანხმების მისაღწევად არსებობს სამი გზა: ინგლისის პოლიტიკა უფრო ლიბერალური უნდა იყოს ჩინეთის მიმართ, ინგლისი უნდა დაეხმაროს ჩინეთს საბაჟო, საფინანსო და ეკონომიურ საქმეებში, რათა ჩინეთი გახდეს ნამდვილი დამოუკიდებელი სახელმწიფო; ინგლისმა მეგობრული ურთიერთობა უნდა შეინარჩუნოს ჩინეთის ხალხთან სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. მდგომარეობა ჩინეთში დღეს აღარ არის ისეთი, როგორიც იყო ორი წლის წინედ. ჩინეთში ამ ჟამად არსებობს მთლიანი მთავრობა, რომელთანაც სახელმწიფოებს შეუძლიათ აწარმოონ მოლაპარაკება მტკიცე სავალდებულო ხელშეკრულებათა დადების შესახებ. ინგლის-ჩინეთის მოლაპარაკება ინგლის-ჩინეთის ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ ამ მოკლე ხანში დაიწყება". (ადს).

„იაპონიის მთავრობა არ სთვლის ნანკინის მთავრობას განმტკიცებულად".

ტოკიო, 22 აგვისტო. ტანაკამ მთავრობის სხდომაზე გააკეთა მოხსენება ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობის მდგომარეობის შესახებ. მთავრობის სხდომის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში ტანაკამ განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობა არ სცნობს ნანკინის მთავრობას განმტკიცებულად. იაპონიის მთავრობის აზრით, არ შეიძლება მტკიცედ ჩაითვალოს თვით ნანკინის ბანაკის შინაური მდგომარეობაც.

მუკდენელები გარნიზონს ამაგრებენ ხარბინში

მუკდენი, 22 აგვისტო. მუკდენის სამხედრო ძალთა სარდალი შეუდგა ჯარის ნაწილების გადაყვანას ხარბინში ადგილობრივი გარნიზონის გასამაგრებლად. სამხრეთ-მანჯურიის რკინიგზის იაპონელთა ადმინისტრაცია დასთანხმდა გადაიყვანოს ჯარები ჩანჩუნამდე (ჩანჩუნში იწყება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სამხრეთი ხაზი). (ადს).

საპროტესტო გაფიცვები ლატვიაში

რიგა, 22 აგვისტო. დღეს, მემარცხენე პროფკავშირთა ბელადების პროცესის დაწყების გამო რიგაში და ლატვიის სხვა ქალაქებში ჩატარდა ერთი დღის საპროტესტო გაფიცვები. გაფიცვებს თან სდევდა დემონსტრაციები. გაფიცულ მუშებს უნდოდათ საყოველთაო გაფიცვის მოხდენა, მაგრამ რეფორმისტულმა პროფკავშირებმა, რომლებსაც სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობენ, უარი განაცხადეს მხარის დაჭერაზე. რიგაში გაფიცული იყო 4.000-მდე მუშა, ხოლო ლიბავაში—1.500 მუშა. ვინდავაში ყველა წარმოებათა მუშები გაიფიცნენ. გაფიცულები ბევრ ადგილას აძევებდნენ მომუშავეებს. მუშები შეეცადნენ ტრამვაის და რკინის გზის მოძრაობის შეჩერებას. მაგრამ ეს ცდა დამარცხებით დამთავრდა და ინიციატორები დააპატიმრეს. დღეს მთავრობის და მუნიციპალურ დაწესებულებებს იცავენ პოლიციისა და ჯარის გაძლიერებული რაზმები. საოლქო სასამართლოს რაიონი, სადაც პროცესი სწარმოებს, იზოლიაციაქმნილია. შენობას იცავს პოლიციელთა რაზმი. ქალაქის ერთ რაიონში პოლიცია თავს დაესხა 500 დემონსტრანტს, რომლებმაც არ მოისურვეს დაშლა. შეუმოწმებელი ცნობებით, რამდენიმე კაცი დაიჭრა. საღამოს გაზეთების ცნობით, 12 საათამდე რიგაში დააპატიმრეს 420 კაცი, მათ შორის მემარცხენე მუშათა ბელადი—ცნობილი ლატვიელი მწერალი ლაიცენსი. (ადს).

ოფიციოზური პრესა ვოლდემარასის ნოტის შესახებ

ვარშავა, 22 აგვისტო. უკეთებს რა კომენტარიებს ვოლდემარასის საპასუხო ნოტას, ოფიციოზი „ეპოკა" სწერს: „მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ—ვოლდემარასს არ სურს პოლონეთთან შეთანხმება და ამიტომ აჭიანურებს მოლაპარაკებას. მეტად დამახასიათებელია ვოლდემარასის შიში აწარმოოს მოლაპარაკება ჟენევაში ერთა ლიგის საბჭოს ფხიზელი მეთვალყურეობით. პოლონეთის მთავრობამ უნდა იფიქროს იმაზე, რომ მიზანშეწონილია თუ არა საერთოდ მოლაპარაკების გაგრძელება ვოლდემარასთან!"

მეორე ოფიციოზი „გლოს პრავდი" სწერს. „ვოლდემარასის საპასუხოდ პოლონეთს შეუძლია მხოლოდ აღნიშნოს, რომ ლიტვა გაურბის მოლაპარაკებას და მოითხოვს ერთა ლიგის საბჭოსაგან იმ პრაქტიკული ზომების მიღებას, რომლებიც აიძულებს ლიტვას შეასრულოს ერთა ლიგის წინადადება". (ადს).

ნობილეს ექსპედიციის გარშემო

ბეგოუნეკი აღტაცებულია

პრაღა, 21 აგვისტო. „კრასინის" მიერ გადარჩენილმა, ნობილეს ექსპედიციის მონაწილემ, ბეგოუნეკმა ადგილობრივ გაზეთში გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი. უკანასკნელ წერილში ბეგოუნეკი ყოველ ნაბიჯზე აღტაცებას გამოსთქვამს „კრასინი"-ს მუშაობის შესახებ. ავტორი აღნიშნავს „კრასინის" ეკიპაჟის მაღალ თვისებებს და სწერს:

„კრასინის" ეკიპაჟმა დიდი გმირობა გამოიჩინა. ყინულისმჭრელი ებრძოდა უდიდეს დაბრკოლებებს, რომლებიც წინ ეღობებოდა ყინულებში და ზღვაზე, მაგრამ, დაზიანების მიუხედავათ ის მაინც წინ მიიწევდა. „კრასინის" მთელ ეკიპაჟს კარგად ესმოდა, რომ თუ მას ავარია დაემართებოდა, დახმარებას ვერსაიდან მიიღებდა, რადგან ქვეყნიერებაზე არ არსებობს მეორე ყინულისმჭრელი, რომელიც დაიხსნიდა მას. „კრასინ"-ზე მყოფი მფრინავებიც ისეთივე საუცხოონი აღმოჩნდენ, როგორც ეკიპაჟი. ზედმეტია ლაპარაკი ჩუხნოვსკის შესახებ, ახლა ჰაერის ამ გმირს მთელი ქვეყანა იცნობს".

ბეგოუნეკი ეხება ამუნდსენის მდგომარეობას და ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ „კრასინი" მასაც გადაარჩენს. (ადს).

„ლატამ"-ის ძებნა

ოსლო, 21 აგვისტო. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: გემი „მიხაელ სარო" ჰიდროპლან „ლატამ"-ის ძებნას განაგრძობს იმედის კუნძულის სამხრეთ-დასავლეთის რაიონში. ჯერ-ჯერობით „ლატამ"-ის არავითარი კვალი არ აღმოუჩენიათ" (ადს).

რომი, 21 აგვისტო. სტეფანის სააგენტო იუწყება: „ჩიტა დი მილანო"-ს რადიო-დეპეშის თანახმად, იტალიის ჰიდროაეროპლანებმა გამოიკვლიეს შვიდი კუნძულის ჯგუფი ლიტლ ტებლის კუნძულამდე. პილოტების აზრით, შეუძლებელია ამ გამოკვლეულ რაიონში ადამიანები იმყოფებოდენ (ადს).

„კრასინ"-ი ზღვაში მიდის

მოსკოვი, 22 აგვისტო. „იტალია"-ს დამხმარე კომიტეტი იუწყება, რომ „კრასინ"-ის სამზადისი ზღვაში გასასვლელად დამთავრებულია. 22 აგვისტოს „კრასინ"-ი მიდის სტავანგერიდან. „კრასინ"-ის ზღვაში გასვლა დააგვიანა იმ გარემოებამ, რომ იგი გაცილებით უფრო დაზიანებული აღმოჩნდა, ვიდრე მოელოდნენ. (ადს).

გაფიცვები ადმინისტრაციის ნებართვით

ლონდონი, 21 აგვისტო. ინგლის-ინდოეთის მთავრობამ ინდოეთში საგაფიცვო მოძრაობასთან ბრძოლის მიზნით შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლის თანახმად „შემარიგებელი წესით უნდა გაირჩეს" კონფლიქტები მწარმოებლებსა და მუშებს შორის. კანონ-პროექტის თანახმად, „საზოგადოებრივად სასარგებლო წარმოების" (ამ წარმოებათა რიცხვში შედიან რკინის გზებიც) მუშებსა და მოსამსახურეებს უფლება არ აქვთ გაფიცვა გამოაცხადონ, თუ ამის შესახებ წინასწარ (ერთი თვით ადრე) არ აცნობეს ადმინისტრაციას. ეს კანონ-პროექტი, ისე როგორც 1927 წელს პროფკავშირთა შესახებ გამოცემული კანონი, კრძალავს პოლიტიკურ გაფიცვებს და სოლიდარობის გაფიცვებს. (ადს).

კომუნისტური პრესის დევნა

პრაღა, 21 აგვისტო. პრაღის უზენაესმა სასამართლომ უშედეგოდ დასტოვა კომუნისტური გაზეთების „რუდე პრავოს" და „რუდე ვეჩერნიკის" გამომცემლობათა აპელაცია. მათ განასაჩივრეს სასამართლოს დადგენილება, რომელმაც ხსენებული გაზეთები ბეჭდვითი სიტყვის დამრღვევლებად სცნო.

უზენაესი სასამართლოს დადგენილება საშუალებას აძლევს სათანადო ორგანოებს, როცა კი მოისურვებენ, დროებით შეაჩერონ ამ გაზეთების გამოცემა. (დს).

ამხ. ბრიუხანოვი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ

მოსკოვი, 22 აგვისტო. მუშათა ორგანიზაციების შეკითხვებზე იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფილია თუ არა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების გაყიდვა ან დაგირავება, საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარმა ამხ. ბრიუხანოვმა განაცხადა: ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები არ იქნება მიღებული გირაოდ და მას არ იყიდიან საკრედიტო დაწესებულებანი, სრულებით უსაფუძვლოა. ნოემბერში, რეალიზაციის პერიოდის დამთავრების შემდეგ იწარმოებს სესხის ობლიგაციების კოტიროვკა. ამ მომენტიდან ყველა ბანკები და შემნახველი სალაროები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აწარმოებენ ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვას და დაგირავებას.

არავითარი შეზღუდვა არ იქნება უპროცენტო მომგებიანი სესხის ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვისა და დაგირავებისათვის. ამ სესხის ობლიგაციები ისეთივე პირობებში იქნება, როგორც პროცენტიანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების დაგირავების პირობები მუშავდება და უახლოეს ხანში იქნება გამოქვეყნებული" (ადს).

საკავშირო სპარტაკიადა

მოსკოვი, 22 აგვისტო. დამთავრდა შეჯიბრება ფარიკაობაში. პირველ ჯგუფში პირველი ადგილი დაიჭირა ლენინგრადმა, მეორეში—ცენტრალურმა სამიწათმოქმედო რაიონმა. 21 აგვისტოს შესდგება შეჯიბრებანი ძალოსნობაში.

საფინალო რბენაში 80 მეტრზე (ქალებისათვის) პირველი ადგილი დაიჭირა სპირიდონოვამ (უკრაინა), რომელმაც ახალი საკავშირო რეკორდი დაადგინა. შუბის ტყორცნაში (ქალებისათვის) პირველი ადგილი დაიჭირა კუკელენენმა (ფინეთი), მეორე ადგილი აიზუზოვამ (ვოლგის რაიონი), რომელმაც ახალი საკავშირო რეკორდი დაადგინა.

მოხდა ამიერ-კავკასიელთა შეხვედრა თურქმენისტანთან კალათბურთში (ქალებისათვის). შეჯიბრება დამთავრდა ამიერ-კავკასიის გამარჯვებით (17:6).

ფარიკაობაში ამ.-კავკ. დაიჭირა მეორე ადგილი მეორე ჯგუფში.

21 აგვისტოს გაიმართა რ.ს.ფ.ს.რ.: პირველობის ფინალი და საბჭოთა კავშირის პირველობის ნახევარ-ფინალი ფეხბურთში. რ.ს.ფ.ს.რ.: პირველობა გათამაშებულ იქნა მოსკოვსა და ლენინგრადს შორის, ხოლო საბჭოთა კავშირის პირველობის ნახევარი ფინალი უკრაინას და ურუგვაის შორის. ორივე მატჩი გაიმართა უდიდეს სტადიონზე 40.000 კაცის თანდასწრებით. შეჯიბრებას დაესწრნენ მთავრობის და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას წევრები.

უკრაინა-ურუგვაის მატჩი უკრაინის გამარჯვებით დამთავრდა (7:1). მოსკოვ-ლენინგრადის მატჩი დამთავრდა მოსკოვის გამარჯვებით (5:3). ამ მატჩებთან დაკავშირებით გამოირკვა, რომ ხუთშაბათს ფინალში საბჭოთა კავშირის პირველობაზე შეხვდებიან რ.ს.ფ.ს.რ. და უკრაინის გუნდები (ადს).

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესი

22 აგვისტოს დილის სხდომა

ამხ. სიკანდერის საბოლოო სიტყვა

მოსკოვი, 22 აგვისტო. 21 აგვისტოს დილის სხდომა გახსნა ამხ. რემელემ (გერმანია). პირველად საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. სიკანდერი.

სიკანდერი: „დეკოლონიზაციის" თეორიისა და ინდოეთის ინდუსტრიალიზაციის მომხრეთა გამოსვლებს აკადემიური ხასიათი ჰქონდათ, ვინაიდან ისინი ანგარიშს არ უწევენ ნამდვილ მდგომარეობას. ინდოეთისა და ინგლისის კაპიტალისტებს შორის არ არსებობს მაჟორული წინააღმდეგობანი, მაგრამ არც ინტერესთა თანხმობაა. ინგლისის იმპერიალიზმი ინდოეთში უმთავრესად ცდილობს შეინარჩუნოს თავისი მონოპოლისტური მდგომარეობა და გამოიყენოს ინდოეთი, ერთის მხრით—როგორც სამრეწველო ნედლეულის და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ბაზარი, ხოლო მეორეს მხრით—როგორც ინგლისის მრეწველობის ნაწარმოებთა გასასაღებელი ბაზარი. ამით და სამხედრო მოსაზრებით არის გამოწვეული რკინის გზების გაყვანა ინდოეთში. ინგლისის კაპიტალის ექსპორტი ინდოეთში ამ მიზნებს ემსახურება და არა ინდოეთის მძიმე მრეწველობის განვითარებისა და საერთოდ ინდუსტრიალიზაციის მიზნებს იმ აზრით, რომ ინდოეთი დამოუკიდებელ ეკონომიურ ერთეულად გადაიქცეს.

ინდოეთის საერთო კაპიტალისტურმა განვითარებამ წარმოშვა ნაციონალური ბურჟუაზია, რომელმაც გადმოისროლა მსხვილი მრეწველობის განვითარების ლოზუნგი. ნაციონალური ბურჟუაზიის უმცირესობა მოითხოვს ინდოეთის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ცდილობს რა თავისი მონოპოლისტური მდგომარეობის შენარჩუნებას, ინგლისის იმპერიალიზმი აწარმოებს ინდოეთის ბურჟუაზიის ზედა და ქვედა ფენების გათიშვის პოლიტიკას. ჩვენ ინდოეთის ბურჟუაზიას ჯეროვნად ვაფასებთ. იგი, უეჭველად, კონტრ-რევოლიუციონურია, იგი ღალატობს რევოლიუციას და კომპრომისულ შეთანხმებას სდებს იმპერიალიზმთან. სცდებიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ ინდოეთის ბურჟუაზიას ჯერ კიდევ არ უღალატია ინდოეთის რევოლიუციისათვის ისე, როგორც გომინდანმა უღალატა ჩინეთის რევოლიუციას. პოლიტიკური კრიზისის ან ომის დროს ინდოეთის ბურჟუაზიის ზედა ფენები ინგლისის იმპერიალიზმს გაუმაგრებენ ზურგს, ბურჟუაზიის ქვედა ფენები დაიწყებენ ბრძოლას პოლიტიკური ხელისუფლების დასაპყრობად და შეეცდებიან მუშებისა და გლეხების გამოყენებას ამ ბრძოლაში. ჩვენ უნდა ვამხილოთ წვრილი ბურჟუაზია, რომელსაც მასებში გავლენა აქვს.

დასასრულ, მოგაგონებთ, რომ მაკდონალდი და მეორე ინტერნაციონალის სხვა ბელადები თავგამოდებით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ იმპერიალიზმი კოლონიებში პროგრესიული ფაქტორია. პირდაპირ დაუჯერებელია, რომ ზოგიერთი ამხანაგი ლაპარაკობს ინდოეთის ინდუსტრიალიზაციაზე და ამ გვარად მაკდონალდსა და მის მსგავსთ მისდევს კუდში.

სტრახოვი. ჩინეთის დელეგაციის დავალებით ამხ. სტრახოვმა განაცხადა:

„პეპერის მტკიცება, რომ ჩინეთის კომპარტიაში წინად სუნიატსენიზმი ბატონობდა, ხოლო ამჟამად ტროცკიზმი,—ცილისწამებაა. პეპერი ანტი-იმპერიალისტურ მოძრაობას უპირისპირებს აგრარულ რევოლიუციას, იმ დროს, როცა იმპერიალიზმის დამხობა შეუძლებელია აგრარული რევოლიუციის გარეშე.

კოლონიების ინდუსტრიალიზაცია შეუძლებელია, ვინაიდან იმპერიალისტები მხარს უჭერენ დახავსებულ სადგილ-მამულო ურთიერთობას. ნაციონალური ბურჟუაზია მჭიდროდ არის დაკავშირებული ნახევრად ფეოდალებთან, ჯენტრებთან და მემამულეებთან. ცხადია, ნაციონალურ ბურჟუაზიას შეუძლია მიმართოს ანტი-იმპერიალისტურ ჟესტებს, სანამ ეს მშრომელთა ექსპლოატაციის საფუძვლებს არ ემუქრება. მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, მაშინ ან ბურჟუაზიისა და მემამულეების დიქტატურაა შესაძლებელი, ან პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა. რეფორმისტულ ჟესტებთან ერთად ნაციონალურ საკითხში, ნაციონალური ბურჟუაზია მუშებისა და, საერთოდ, მშრომელთა მასების წინააღმდეგ ნაციონალ-ფაშიზმის მეთოდებს და ტერორის აზიურ მეთოდებსაც მიმართავს ხოლმე.

ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას. მაგრამ ამავე დროს სასტიკად უნდა შევებრძოლოთ ნაციონალ-ფაშიზმსა და ნაციონალ-რეფორმიზმს.

სტრახოვის განცხადების შემდეგ კონგრესს მიესალმა მოსკოვის ფოსტატელეგრაფის მუშამოსამსახურეთა დელეგაცია. კონგრესის სახელით დელეგაციას რემელემ უპასუხა.

პეპერმა განაცხადა, რომ კამათი ჩინეთის აჯანყების გარშემო გახსნა არა მან, არამედ ლომინაძემ. მის მიზანს შეადგენდა კომინტერნის აღმასკომის მე-IX-ე პლენუმის რეზოლიუციის დარღვევა, რომელიც, ერთის მხრით, აღნიშნავს კანტონის პროლეტარიატის გმირულ აჯანყებას, ხოლო მეორეს მხრით—აკრიტიკებს ხელმძღვანელობისა და აჯანყების მომზადების შეცდომებს.

უკანასკნელი ცნობები

კოროშეცი რადიჩის პარტიის წევრებს პასუხისგებაში მიცემით ემუქრება.

ვენა, 22 აგვისტო. როგორც ბელგრადიდან იუწყებიან, სამხრეთ-სლავიის მთავრობის წრეებში ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ დეპეშამ, რომელიც რადიჩის პარტიამ გაუგზავნა რეიხსტაგის თავმჯდომარე ლებეს. დეპეშაში ნათქვამია, რომ ბერლინში საპარლამენტო კონფერენციაზე მიმავალ ბელგრადის დელეგაციას არ აქვს ხორვატიის წარმომადგენლობის უფლება. პრემიერმა კოროშეცმა განაცხადა, რომ კონფერენციაზე მიმავალი რადიჩის პარტიის დელეგატები პასუხისმგებელნი იქნებიან ყველა თავის მოქმედებისათვის საზღვარ-გარეთ. მთავრობამ გადასწყვიტა რადიჩის პარტიის დელეგატები მისცეს პასუხისგებაში, თუ ისინი ბერლინში გამოვლენ სამხრეთ-სლავიის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

უხუცესთა საბჭოს მოწვევა

ბერლინი, 21 აგვისტო. რეიხსტაგის პრეზიდენტი ლებე 22 აგვისტოს იწვევს რეიხსტაგის უხუცესთა საბჭოს. საბჭო განიხილავს კომფრაქციის მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას რეიხსტაგი ჯავშნოსანის აგების საკითხთან დაკავშირებით. (ადს).

ლიბერალების გამარჯვება საბერძნეთში

ათინა, 21 აგვისტო. ლიბერალებმა გამარჯვება მოიპოვეს საბერძნეთის პარლამენტის არჩევნებში. მათი ასეთი გამარჯვება მოულოდნელი იყო. მთავრობის სიამ (ვენიზელოსის მომხრეები და სხ.) მიიღო 227 ადგილი, ვენიზელოსის მოწინააღმდეგეებმა—14 ადგილი. (ადს).

საბჭოთა პავილიონის წარმატება

ბერლინი, 21 აგვისტო. 15 აგვისტომდე კიოლნში ბეჭდვითი სიტყვის გამოფენის საბჭოთა პავილიონი დაათვალიერა 2.500.000 კაცზე მეტმა. (ადს.)

სტიქიური კატასტროფა ალჟირში

პარიზი, 21 აგვისტო. ჰავასის სააგენტოს ცნობით ალჟირიდან, სტიქიური კატასტროფის დროს ჯიჯელში (ალჟირში) მოკვდა 11 და დაიჭრა 314 კაცი, მათ შორის 102 ჯარის კაცი. კატასტროფის ხასიათი დღემდე გამოურკვეველია. (ადს).

სისხლისმღვრელი შეტაკება

ანგორა, 21 აგვისტო. ქაირიდან გადმოცემული ცნობით, დამანხურში (ეგვიპტეში) მოხდა შეტაკება ნაციონალისტური პარტიის ვაფდის მიერ მოწყობილ დემონსტრაციის მონაწილეთა და მთავრობის ჯარებს შორის. შეტაკების დროს დაიჭრა 17 ჯარისკაცი და დემონსტრაციის მრავალი მონაწილე.

ტოლსტოის თხზულებათა გამოცემა ინგლისში

ლონდონი, 21 აგვისტო. ლევ ტოლსტოის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა სცემს ტოლსტოის თხზულებათა კრებულს 21 ტომად. თარგმანი ეკუთვნის ელმერ მოდს. (ადს).

1926 წლის მომგებიანი სესხის მე-8 ტირაჟი

მოსკოვი, 22 აგვისტო. 1 სექტემბერს მოსკოვში გაიმართება 1926 წლის მომგებიანი სესხის მე-8 ტირაჟი. გარდა ამისა დაფარულ იქნება 9.800 ობლიგაცია ნომინალური თანხის მიცემით. ობლიგაციები დასაზღვევად მიიღება 31 აგვისტომდე. (ადს).

—:—

ამხ. ს. ბუდიონის გამგზავრება

გუშინ, ამხ. ს. ბუდიონი გაემგზავრა თბილისიდან.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ისევ ჯავშნოსანის აგების შესახებ

მოსკოვი, 22 აგვისტო. „პრავდა"-ს ბერლინელი კორესპონდენტი ბამმა იტყობინება:

ჯავშნოსანის აგების საკითხი კვლავ იპყრობს გერმანიის საზოგადოებრიობის მთავარ ყურადღებას. მემარცხენე ბურჟუაზიული პრესა აშკარად გამოსთქვამს შიშს იმის შესახებ, რომ ჯავშნოსანის აგების საკითხით გამოწვეულ სკანდალს საბედისწერო შედეგი მოჰყვება ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიებისათვის. აღნიშნული პრესის აზრით დემოკრატიული პარტია გაჰქრება პოლიტიკურ ასპარეზიდან, სოციალ-დემოკრატია კი დაჰკარგავს თავის მომხრეების ნახევარს, რომელიც გადავა კომუნისტური პარტიის მხარეზე.

შემდეგ „პრავდა"-ს კორესპონდენტი განაგრძობს, რომ ყოველ დღე გერმანიის სოციალდემოკრატია იძლევა თავის ორპირობის ახალ საბუთს. ასე მაგალითად, შეეხო რა ჯავშნოსანის აგების საკითხს, მენშევიკ ბრეიტშეიდმა განაცხადა: „რაკი ჩვენ გამოვთქვით მთავრობაში შესვლის სურვილი, ამით ვიკისრეთ თანხმობა ჯავშნოსანის აგებაზე"-ო.

შეუმოწმებელი ცნობა საბჭოთა კავშირის მიწვევის შესახებ კელოგის პაქტის ხელის მოსაწერად

მოსკოვი, 22 აგვისტო. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი კაიტი გადმოგვცემს შემდეგს:

„ბერლინერ ტაგებლატი" ბეჭდავს თავის ვაშინგტონელ კორესპონდენტის ცნობას, თითქოს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოუშვა მიმართვა საბჭოთა კავშირისა და ესპანეთისადმი კელოგის პაქტზე ხელის მოწერის შესახებ. როგორც „ბერლინერ ტაგებლატი"-ს კორესპონდენტი იტყობინება, მიმართვაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირს და ესპანეთს სხვა სახელმწიფოებთან ერთად შეუძლიათ გამოვიდნენ სათანადო დეკლარაციებით კელოგის პაქტის შესახებ.

ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ

მოსკოვი, 22 აგვისტო. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ცნობით, არაყის არალეგალურად გამოხდა ფართოდ სწარმოებს სოფლად, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის გლეხის მეურნეობის განვითარებისათვის. დაახლოებითი გამოანგარიშებით სოფელი არალეგალურად ხდის ყოველწლიურად 40 მილიონ ვედრო არაყს.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭო საჭიროდ სცნობს ენერგიული ბრძოლა გამოეცხადოს არაყის ფარულად გამოხდას.

ამიერ-კავკასია საკავშირო სპარტაკიადაზე

ტენისი

მოსკოვი, 22 აგვისტო. დასრულდა შეჯიბრება ცალკე მოთამაშეების ტენისში. პირველობა მთელ საბჭოთა კავშირში მიიღო ამიერ-კავკასიელ მოთამაშემ, რომელმაც დაამარცხა პირველხარისხოვანი მოთამაშე ლენინგრადელი კოსიაკოვი.

ხალხური ცეკვა

მოსკოვი, 22 აგვისტო. დასრულდა შეჯიბრება ნაციონალურ-ხალხურ ცეკვაში. პირველობა მოიგო ამიერ-კავკასიამ.

ცალკე მოცეკვავეთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიჭირა სულხანიშვილმა. საერთოდ, ცეკვა-თამაშში საქართველოს მიეკუთვნა პირველობა მთელ საბჭოთა კავშირში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა

ამხ. ნ. ბუხარინის საბოლოო სიტყვა წარმოთქმული კომინტერნის კონგრესის 14 აგვისტოს სხდომაზე*)

რეფორმიზმის ფესვები კაპიტალიზმის დროს

საპროგრამო კომისიაში გაიმართა კამათი შემდეგი პრობლემის გარშემო: ხშირად მსჯელობენ იმ ზედმეტ მოგებაზე, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნის ბურჟუაზია იღებს. სადაური კოლონიები აქვს შვეიცარიას ან ავსტრიას,—როგორც ოტტო ბაუერი ამბობს ერთ-ერთ თავის წერილში, რომელშიაც ჩვენ დაგვცინის,—სადაური კოლონიები აქვთ სკანდინავიის ქვეყნებს, რომელთა პროლეტარიატის ზოგიერთი ფენები მაქსიმალურ სამუშაო ხელფასს ღებულობენ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ ხელფასთან შედარებით. სადაა შვეციის კოლონიები, ნორვეგიის? ამ პრობლემას ზედმიწევნით განვიხილავთ საპროგრამო კომისიაში.

საერთოდ და მთლიანად, ჩემის აზრით, ჩვენ აქ გადავაწყვეტეთ საკითხი არა მარტო იმ სხვადასხვაგვარი ზედმეტი მოგების შესახებ, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნის ბურჟუაზია ღებულობს კოლონიებიდან. მე საპროგრამო კომისიაში მოვიყვანე შემდეგი მაგალითი: თუ კაპიტალისტურ საზოგადოებას განვიხილავთ მარქსის ეკონომიური მოძღვრების თვალსაზრისით, უნდა ვაღიაროთ, რომ კაპიტალისტები, რომელთაც აქვთ წარმოებები გაუმჯობესებული ტეხნიკური მოწყობილებით და მაშასადამე, საშუალოზე მეტი ნაყოფიერებით, ღებულობენ ეგრედწოდებულ დიფერენციალურ მოგებას. საქონლის ღირებულებას და მის საბაზრო ფასს განსაზღვრავს საზოგადოებრივი შრომის საშუალო ნაყოფიერება. რამდენადაც ამა თუ იმ წარმოებაში არსებობენ წინასწარი პირობანი, რომელნიც შრომის ნაყოფიერებას სწევენ, ამდენად ფაბრიკანტი-კაპიტალისტი ღებულობს ზედმეტ მოგებას და დიფერენციალურ მოგებას. იგივე ხდება არა მარტო სახალხო მეურნეობის ფარგლებში, არამედ მთელი მსოფლიო მეურნეობის ფარგლებშიაც. თუ ერთი რომელიმე ქვეყანა სხვებზე უფრო მეტად განვითარებულია, მაშინ სხვადასხვა ქვეყნების საქონლის ბრუნვის პროცესში ეს ქვეყანა მიიღებს ზედმეტ მოგებას. „ზედმეტი ღირებულების თეორიებში" მარქსი ერთ ადგილას ამბობს, რომ უფრო მდიდარი, უფრო განვითარებული ქვეყანა, ვიდრე დანარჩენი, ღებულობს ზედმეტ მოგებას, ასე ვსთქვათ, დიფერენციალურ მოგებას, მსოფლიო მეურნეობის ფარგლებში. უფრო მდიდარი ქვეყანა ექსპლოატაციას უწევს უფრო ღარიბ ქვეყანას იმ შემთხვევაშიაც კი, თუ იგი კოლონიალურ ძარცვა-გლეჯას არ ეწევა და მხოლოდ ამ ქვეყანასთან საქონლის ბრუნვით ღირებულების კანონის ყველა „წესის" მიხედვით ვაჭრობს. ამ ეკონომიურ საფუძველზე იქმნება სპეციფიური ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებს შორის. განვითარებული ქვეყნის ბურჟუაზიას ზედმეტი მოგების მიღება, უწინარეს ყოვლისა, იმ კოლონიებიდან შეუძლია, რომელნიც ამ ქვეყანას ეკუთვნიან. მას ზედმეტი მოგების მიღება შეუძლია აგრეთვე კაპიტალის ექსპორტიდან არა თავის კოლონიებში, არამედ საზღვარგარედ, სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც მოგების ნორმა უფრო დიდია. ქვეყანას შეუძლია ზედმეტი მოგების მიღება უბრალოდ საქონლის ბრუნვითაც, თუ ამ ქვეყნის მრეწველობა ტეხნიკური მხრით უფრო მოწყობილია და თუ მისი წარმოება უფრო მაღალ საფეხურზეა, რაც საშუალებას აძლევს მას მიიღოს დიფერენციალური მოგება მსოფლიო მეურნეობის ფარგლებში.

ასე მაგალითად, როცა ავსტრიას თვითმპყრობელურ რუსეთში შემოჰქონდა ცელები, რუსეთი არ ყოფილა ავსტრიის ბურჟუაზიის კოლონია, მაგრამ ავსტრიის ბურჟუაზია ზედმეტ მოგებას ღებულობდა საქონლის ბრუნვის საშუალებით. საქონლის ბრუნვით ავსტრიის ბურჟუაზიას საშუალება ეძლეოდა მიეღო ზედმეტი მოგება. თუ სურათს მთლიანად განვიხილავთ, დავინახავთ, რომ არათანაბარი განვითარების კანონის მიხედვით ამა თუ იმ ქვეყანას მსოფლიო მეურნეობის ფარგლებში სხვადასხვა მდგომარეობა და სხვადასხვა პოზიცია უკავია, მას სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვს დანარჩენ ქვეყნებთან. რაც უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა აქვს ამა თუ იმ ქვეყანას, დამოუკიდებლად მისი კოლონიალური სამფლობელოების განვითარებისა, მით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს მას მიიღოს ზედმეტი მოგება. ამისდა მიხედვით სხვადასხვა ქვეყნების მდგომარეობა სულ სხვადასხვა გვარად ეწყობა. რაც უფრო ხელსაყრელია ამა თუ იმ ქვეყნის მდგომარეობა, მით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს ამ ქვეყნის ბურჟუაზიას სწრაფი ტემპით განავითაროს და გამოიყენოს ტეხნიკა, მეტი ხელფასი მისცეს დაქირავებული შრომის მონებს და აწიოს მუშების კვალიფიკაცია. საპროგრამო კომისიაში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სოციალური მხრით მუშათა კლასის არისტოკრატიული ფენების ეგრედწოდებულ კორუპციას მართლაც აქვს ადგილი.

ზედმეტი მოგების სხვადასხვა წყაროები

ეს არ არის რაღაც გარეგანი ძალა, რომელიც ეწინააღმდეგება კაპიტალისტური განვითარების ყველა დანარჩენ კანონს. სრულებითაც არა. ყოველივე ეს გამოხატავს კაპიტალისტური განვითარების ძირითად კანონებს. თუ ბურჟუაზიას ამა თუ იმ ქვეყანაში შეუძლია უზრუნველყოს უფრო მაღალი ხელფასი პროლეტარიატისათვის, სწორედ ამით ბურჟუაზია ქმნის მუშა-ხელის, როგორც ეკონომიური კატეგორიის, ერთგვარი განვითარების შესაძლებლობას. მუშა, რომელიც მეტ ხელფასს იღებს, უფრო მაღალ კვალიფიკაციას იძენს.

მაგრამ მე უნდა დაუმატო, რომ ამ კვალიფიკაციაში ვგულისხმობ არა მარტო კვალიფიკაციას, ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით, რომლის მისაღებადაც აუცილებელი იყო ერთგვარი სკოლის გავლა: ეხლა არსებობს კვალიფიკაციის ახალი სახე, ანუ, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, კვალიფიკაციის ახალი ფორმები, რომლებიც მუშას აძლევენ საშუალებას მეტი ენერგია განავითაროს განსაზღვრული დროის განმავლობაში. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, მუშა-ხელი იძენს ისეთ შინაგან სოციალ-ფიზიოლოგიურ სტრუქტურას, რომლის დროსაც მას შეუძლია მეტი რაოდენობის ენერგიის განვითარება განსაზღვრული დროის განმავლობაში. ეს დამახასიათებელია კაპიტალისტური წყობილების განვითარების განსაზღვრული დონისათვის. მეორეს მხრით, ამასთან დაკავშირებით წარმოიშობიან კვალიფიკაციური პროლეტარიატის ფენები, რომლებიც ახლო დგანან ინჟენრებთან, და სხ. ამ ორი მიმართულებით სწარმოებს მუშა ხელის კვალიფიკაცია. ამგვარად, ზედმეტი მოგების ნიადაგზე იქმნება პროლეტარიატის ზოგიერთი ფენების სოციალური კორუმპირაციის შესაძლებლობა, ამასთანავე, ეს ფენები მსოფლიო პროლეტარიატის ყველაზე უფრო კვალიფიციური ფენებია. ხშირად, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ პროლეტარიატზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ევროპის და ამერიკის პროლეტარიატის კადრები—გერმანიის, ინგლისის ან ამერიკის პროლეტარიატის კადრები. როცა ჩვენ ანალიზს ვუკეთებთ შინაგანი ევოლიუციისა და შინაგანი გადაჯგუფების იმ უდიდეს პროცესს, რომელსაც ადგილი აქვს მსოფლიო პროლეტარიატში, ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არა მარტო ევროპის ან ჩრდილო ამერიკის პროლეტარიატი, არამედ ჩინელი კულიც (იმიტომ, რომ ისიც მუშაა), სხვადასხვა კოლონიების მუშები, პლანტაციების მუშები, ის აურაცხელი პროლეტარული არმიები, რომლებშიაც პროლეტარული თვისებანი პოტენციალურ ფორმაშია. ასეთი მრავალ მილიონიანი არა სოციალური ფენები არსებობენ კოლონიალურ და ნახევარკოლონიალურ ქვეყნებში. როცა ჩვენ ანალიზს ვუკეთებთ არა აბსტრაქტულ კაპიტალიზმს, არამედ მსოფლიო კაპიტალისტურ წყობილებას მის კონკრეტულ სახეობაში, ჩვენ იძულებულნი ვართ,—ეს არის ჩვენი თეორეტიული მოვალეობა,—პროლეტარიატი განვიხილოთ მთლიანად, მთელი მისი შემადგენელი ნაწილებით: ამერიკის შრომის ფედერაციის წევრები, ჩინელი კულები და ინდოეთის მუშები.

კაპიტალისტური განვითარების ძირითადი ტენდენციები უნდა განვიხილოთ არა კარგი ხელფასის მქონე პროლეტარიატის ფენების თვალსაზრისით, არამედ მსოფლიო მასშტაბით, მსოფლიო მეურნეობის თვალსაზრისით. თუ ჩემს მიერ გამოთქმულ თეორეტიულ დებულებებს შევამოწმებთ ამ თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ ეს ჩვენი დასკვნები სავსებით სწორია. ავიღოთ, მაგალითად, ინგლისის მუშები. რატომ იყვნენ ისინი წინედ ყველაზე უფრო კონსერვატიული? არც ერთი ბურჟუაზია მსოფლიოში არ იღებდა იმდენ ზედმეტ მოგებას, რამდენსაც ინგლისის ბურჟუაზია. ამ ზედმეტ მოგებას ქონდა სპეციფიური სტრუქტურა—მას უმთავრესად იღებდნენ კოლონიებიდან, რომლებსაც ინგლისი ჰყვლეფდა. ეხლა ეკონომიური სტრუქტურა ინგლისში შეიცვალა, ძალიან შეიცვალა მისი მდგომარეობაც მსოფლიო მეურნეობის ფარგლებში. ინგლისს ბაზრებიდან უკვე სდევნიან სხვა სახელმწიფოები. ამან გამოიწვია რეფორმიზმის საფუძვლების შეცვლა, ამან გამოიწვია რადიკალური მიმდინარეობანი ინგლისის პროლეტარიატში, კონსერვატიული ელემენტების სულ უფრო და უფრო მოსპობა შეკავშირებული პროლეტარიატის იდეოლოგიიდან. აქედან—კომუნიზმის ზრდა ინგლისში, აქედან—მმართველთა საყოველთაო გაფიცვა და სხ. ისტორიული განვითარება ნელა და შეუჩერებლად სწარმოებს ამ მიმართულებით.

ეხლა ავიღოთ ჩრდილო ამერიკის შეერთ. შტატები. მათ ეხლა განსაკუთრებული პოზიცია უჭირავთ. მათ ერთგვარი მონოპოლიური პოზიცია უჭირავთ მსოფლიო მეურნეობაში. ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების ეს მონოპოლიური პოზიცია განსხვავდება ბრიტანეთის იმპერიის წინანდელი მონოპოლიური პოზიციისაგან: ეს აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. ჩრდილო ამერიკის შეერთ. შტატების მონოპოლიური პოზიცია ინგლისის წინანდელი მონოპოლიური პოზიციისაგან განსხვავდება იმით, რომ ამერიკის ბურჟუაზიას უმთავრესი პოზიციები უჭირავს მსოფლიო მეურნეობაში და განსხვავებით მსოფლიო ბრიტანეთის იმპერიისაგან (მისი აყვავების ხანაში), არ აქვს უდიდესი კოლონიალური ტერიტორიები. ამერიკის ბურჟუაზია კაპიტალის ექსპორტის საშუალებით, უფრო მაღალი ტეხნიკისა და წარმოების სავსებით სპეციფიური პირობების მეოხებით, იღებს მაქსიმალურ ზედმეტ მოგებას, მიუხედავად იმისა, რომ მას არ აქვს დიდი კოლონიალური სამფლობელოები.

თუმცა ეს ზედმეტი მოგება სხვაგვარი სოციალ-ეკონომიური ხასიათისაა, თუმცა მისი წყარო არის არა პირდაპირი ძარცვა კოლონიებისა, არა ექსპლოატაცია „თავისი" კოლონიებისა, მაგრამ ეს მაინც ზედმეტი მოგებაა. ვინაიდან ამ ზედმეტი მოგების უდიდესი ნაწილი,—მსოფლიო მასშტაბით,—ბურჟუაზიის ხელში გადადის, ამიტომ სავსებით გასაგებია თუ რატომ არის ჩვენი ხანის ამერიკის პროლეტარიატი ყველაზე უფრო კონსერვატიული პროლეტარიატი მთელ მსოფლიოში.

ამ თვალსაზრისით სავსებით გასაგებია, თუ რატომ არის ძალიან ძლიერი სოციალ-დემოკრატია გერმანიაში. გერმანიას არა აქვს კოლონიები, ტეხნიკური მხრით გერმანიამ წარმოების ზოგიერთ დარგში მსოფლიო რეკორდი აიღო. ცხადია, რომ გერმანიის ეს განვითარება ომის შემდგომ ხანაში წარმოუდგენელი იყო ამერიკის კრედიტების გარეშე. ამაზე ჩვენ ვილაპარაკეთ არა ერთხელ. გერმანია ამჟამად იღებს ზედმეტ მოგებას. გერმანიის მრეწველობის მსოფლიო ბაზარზე შემდგომი ძლევამოსილი განვითარების პერსპექტივას შეუძლია შეაცდინოს გერმანიის პროლეტარიატის ნაწილი. ამას ემყარება არსებითად გერმანიის სოციალ-დემოკრატია, ასეთია მისი ძალის სოციალური სარჩული და ამით აიხსნება რამდენადმე მისი პოზიციების სიმაგრე. როცა ჩვენ ამ სურათს მთლიანად განვიხილავთ და ანალიზს ვუკეთებთ, ჩვენ ვხედავთ ერთგვარ, ასე ვსთქვათ, „არისტოკრატიულ" ქვეყნებს, ერთგვარ, ასე ვსთქვათ მუშათა არისტოკრატიას, ე. ი. პროლეტარიატს, რომლის საარსებო დონე მსოფლიო პროლეტარიატის საშუალო დონეზე მაღალია. მაგრამ ყოველი ცალკე ქვეყნის შიგნით არსებობენ პროლეტარიატის დიფერენციაციაქმნილი ფენები. ასე, მაგალითად, თუმცა ამერიკის პროლეტარიატი მთლიანად, ჩინელ კულისთან შედარებით, წარმოადგენს მუშათა არისტოკრატიას, მაგრამ ამ მუშათა არისტოკრატიის შიგნით არსებობს საკუთარი მუშათა არისტოკრატია კვადრატში, რომელიც ნამდვილ კონსერვატიულ ზედაფენას წარმოადგენს მსოფლიო პროლეტარიატში.

პატრიარქალური ურთიერთობა, ძველი ტიპის კაპიტალისა და შრომის ინტერესთა ერთგვარი ერთობა დიდი ხანია უკვე დაანგრია კონკურენციამ სხვადასხვა მწარმოებლებს შორის და ამ ნიადაგზე გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ. რეფორმიზმის წვრილ-ბურჟუაზიული ფესვებით, რომლის შესახებაც ზემოდ ვილაპარაკე, უკვე ხმებია კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პროცესში. მაგრამ შეიძლება, რომ რეფორმიზმის იმპერიალისტური ფესვები ძალიან მომაგრებული იყოს პროლეტარიატში. მე ვფიქრობ, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავება ბოლოს მოუღებს ამ ფესვებსაც. ხოლო ამერიკის პროლეტარიატის კონსერვატიზმის სრული ძლევა ძნელად წარმოსადგენია დიდი სოციალ-ისტორიული კატასტროფების გარეშე. იმპერიალიზმის რაობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ, ერთის მხრით, იგი ქმნის პროლეტარიატში პირობებს სხვადასხვა სოციალ-იმპერიალისტური იდეოლოგიის განვითარებისათვის, ხოლო მეორეს მხრით, ამწვავებს წინააღმდეგობებს სხვადასხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, თავზე ახვევს პროლეტარიატს უდიდეს ომებს, რომლებსაც თან სდევს მუშა-ხელის განადგურება, საწარმოო ძალთა მოსპობა და სხ., და ამავე დროს ამსხვრევს სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას. სწორედ ამაში მდგომარეობს უდიდესი პროცესი—პროლეტარიატის გადაქცევა უძლიერეს და უმნიშვნელოვანეს კლასად. ჩვენ წინედ არ გვქონდა წარმოდგენილი, თუ რამდენად გრძელია ისტორიული განვითარების ეს პროცესი, რამდენი ტანჯვა უნდა გამოიაროს პროლეტარიატმა, როგორც კლასმა, სანამ იგი ჩამოყალიბდება ძალად, რომელიც იდეოლოგიურად სავსებით ჩამოშორდება, გაეთიშება ბურჟუაზიას. ეს ისტორიული განვითარება განსაზღვრულია იმით, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა განყენებულ კაპიტალიზმთან, რომ კაპიტალიზმი თავის არსებაში შეიცავს პროლეტარიატის ზოგიერთი ფენების, და ხანდახან ეროვნული პროლეტარიატის მნიშვნელოვანი მასების ეგრედწოდებულ კორუპციას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წინედ ინგლისში და ეხლა შეერთებულ შტატებში. ვინაიდან ჩვენ ვცხოვრობთ არა აბსტრაქტული, არამედ კონკრეტული მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობის ფარგლებში, სწორედ ამიტომ ასე ხატანჯველია, ასე გრძელია და ზოგიერთ ხანაში ასე ტრაღიკულია პროლეტარიატის გარევოლიუციონერების პროცესი. წინააღმდეგობანი, ბრძოლის გამწვავება სხვადასხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის და ამასთან დაკავშირებით კლასობრივი ბრძოლის გამწვავება,—ყოველივე ეს ბოლოს და ბოლოს აღმოფხვრის სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას, პირისაგან მიწისა აღგვის მის ორგანიზაციულ-პოლიტიკურ გამოხატულებას— სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს.

ცხადია, ჩვენს მიდგომაში ფატალიზმს არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ეს უაღრესი შეზღუდულობის ნიშანი იქნება. პირველი მსოფლიო ომის პერიოდი უკვე განვლილია. ჩვენ ხაზი უნდა გაუსვათ მის შედეგებს, მასების ყურადღება უნდა მივაქციოთ მომავალ ომებზე, გამოვააშკარავოთ კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობანი, შეგნებულად ჩავერიოთ პროლეტარიატის მომწიფების პროცესში, დავაჩქაროთ ეს პროცესი და აღმოვფხვრათ სოციალ-დემოკრატების გავლენა. ჩემის აზრით, ყოველივე ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული რეფორმიზმის სოციალური ფესვების პრობლემასთან.

6. ფაშიზმის ხასიათი

საპროგრამო კომისიაში ხანგრძლივი და სერიოზული კამათი გაიმართა ფაშიზმის ხასიათის შესახებ. ჩვენს წრეში თავი იჩინა ორმა მიმდინარეობამ,—თუ შეიძლება ასე ითქვას ამ შემთხვევაში. ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ ფაშიზმი არსებობს ყველა უაღრესად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში. რეაქციონური ხასიათის ყველა ტენდენციას, პარლამენტარული სისტემიდან ბურჟუაზიის აშკარა ძალმომრეობითი დიქტატურაზე გადასვლის ტენდენციებს, პროლეტარიატთან ბრძოლაში ტერორის გამოყენების ტენდენციას, ბურჟუაზიის მოხალისეთა კლასობრივი არმიის შექმნის ტენდენციას და სხვას ისინი უწოდებენ, როგორც ფაშიზმს. სხვა ამხანაგები მეორე უკიდურესობაში ვარდებიან, ისინი ფიქრობენ, რომ ფაშიზმი რაღაც სპეციფიური მოვლენაა და რომ იგი უაღრესად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში არ არსებობს. წამოაყენეს სხვადასხვა ფორმულა. ასე, მაგალითად, ზოგიერთი ამხანაგის აზრით, ფაშიზმის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომელსაც კოლონიები არა აქვს და რომელსაც ამიტომ არ შეუძლია პროლეტარიატის შესაფერი ფენების მოსყიდვა. ამ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატიის ადგილს კოალიციაში იჭერს ფაშიზმი. სხვა ამხანაგების ფორმულა დაახლოვებით ასეთია: ფაშიზმი სპეციფიური მოვლენაა, რომელიც ჩამორჩენილი ქვეყნების დამახასიათებელია, და არავითარი საფუძველი არ არსებობს ვსთქვათ, რომ ფაშიზმი უაღრესად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებობსო.

ანალიზის დროს და კამათის პროცესში გამოირკვა შემდეგი: ჯერ ერთი—ეგრედწოდებული რეაქცია, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ პარლამენტარულმა სისტემამ უკვე ითამაშა ისტორიული როლი,—მართველობის სხვაგვარად წარმართვის. ეს ტენდენცია გამოწვეულია თანამედროვე კაპიტალიზმის, მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებით; იგი გამოწვეულია კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით, ომის პერსპექტივით და, კაპიტალისტური განვითარების სხვა ეპოქებთან შედარებით, კაპიტალისტური წესწყობილების საერთო სისუსტით. აქედან წარმოსდგება ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების შექმნის, ბურჟუაზიის ყველა ძალის შემჭიდროებისა და წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების გამოუსადეგარი სისტემის უკუგდების ტენდენცია. მე ამის შესახებ ვილაპარაკე საპროგრამო კომისიაში. ყოველივე ეს—სახელმწიფო მართვა-გამგეობის მეთოდების შეცვლის ტენდენციაა. ამას ემატება კიდევ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კლასობრივი არმიების შექმნა, პოლიციური ხასიათის კლასობრივი ორგანიზაციები ბურჟუაზიისა და სხ. მე კერძოდ ვფიქრობ, რომ რეაქციის ფაშისტური ფორმა არის ბურჟუაზიის შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ; იგი მართლაც რომ სპეციფიური ფორმაა. მის სპეციფიურ თავისებურებას ფაშიზმის მექანიზმი წარმოადგენს. და ეს მეტად მნიშვნელოვანია. ფაშიზმის მექანიზმის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ფაშიზმი, როგორც რეაქციის სპეციფიური ფორმა, ცდილობს დაეყრდნოს ფართო მასებს—წვრილ ბურჟუაზიას ქალაქებში და წვრილ გლეხობას, ზოგჯერ მუშების ზოგიერთ ფენებსაც. იტალიასა და პოლონეთში ფაშიზმს პირველ ხანებში მასიური მოძრაობის ხასიათი ჰქონდა. იტალიაში ფაშიზმს ემხრობოდნენ წვრილ-ბურჟუაზიული მასები, პოლონეთში — წვრილ-ბურჟუაზიული მასები და პროლეტარიატის საკმაოდ ფართო ფენებიც. ყველა ემხრობოდა პილსუდსკის გადატრიალების მოხდენაში. გადატრიალების შინაგანი მექანიზმი მეტად ორიგინალური იყო. სასოწარკვეთილებამდე მისულმა მასებმა თავიანთი როლი ითამაშეს ფაშისტური გადატრიალების საქმეში. რა თქმა უნდა, ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ სპეციფიურ ისტორიულ პირობებში, როცა საერთო მდგომარეობა ქვეყანაში მერყევია, როცა საზოგადოებაში ძლიერი დუღილია, როცა სასოწარკვეთილებამდე არიან მისულნი წვრილი ბურჟუაზიის, გლეხობისა და ნაწილობრივ პროლეტარიატის საკმაოდ ფართო ფენები. ზოგიერთი ამხანაგი ამ სპეციფიურ ნიშნებს მხოლოდ ჩამორჩენილ ქვეყნებს აკუთვნებს: ეს სწორი არ არის. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ამა თუ იმ ქვეყნის ჩამორჩენილობის ხარისხს, არა იმას, აქვს თუ არა ამ ქვეყანას კოლონიები,—ფაშიზმის წინასწარ პირობას წარმოადგენს შესაფერი კაპიტალისტური წყობილების მერყეობა. ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ეს ნიშანდობლივი თვისებაა. ამიტომ, როცა ჩრდილოეთ-ამერიკის კაპიტალიზმის საფუძვლებიც შეირყევა, იქაც იქნება ფაშიზმი. ამითაა გამოწვეული ფაშიზმის ჩანასახები ინგლისში, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ჩამორჩენილ ქვეყნად. მე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ფაშიზმის პატარა ჩანასახები ინგლისში გამოწვეულია იმით, რომ ინგლისის კაპიტალიზმის საფუძვლები ირყევა. როცა განვითარების ტენდენციებზე ვლაპარაკობთ, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო იზრდება საერთო კრიზისი, რომელიც კაპიტალისტურ ორგანიზმს ასუსტებს, მით უფრო გაძლიერდება ფაშიზმი სხვა ქვეყნებში. თუ მოვლენებს სტატიურ მდგომარეობაში განვიხილავთ, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამჟამად უკვე არსებობს ფაშიზმის სხვადასხვა ფორმა: კლასიკური ფორმა, სხვადასხვა გარდამავალი ფორმები და ფაშიზმის განვითარების ტენდენციები, ამ გარდამავალ ფორმებსა და ტენდენციებს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ვუწოდოთ ფაშიზმი—ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ეს ფაშიზმის „ემბრიონებია", ეს ჯერ კიდევ არაა ნამდვილი ფაშიზმი, მაგრამ განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში ისინი ნამდვილ ფაშიზმის სახეს მიიღებენ. საერთო სურათი ერთფეროვანი არ არის. განვითარება რთული და მრავალფეროვანია. სხვადასხვა სახის რეაქციის არსებობა გამოწვეულია კაპიტალისტური ქვეყნების სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური პირობებით, მაგრამ განვითარების საერთო ხაზი სავსებით გარკვეულია. ასეთი დასკვნები უნდა გამოვიყვანოთ ფაშიზმის საკითხის გარშემო გამართულ კამათიდან.

რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიისა და ფაშიზმის ურთიერთობას, ჩვენმა ანალიზმა შემდეგ დასკვნებამდე მიგვიყვანა. ჯერ ერთი, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ სოციალ-დემოკრატიას ახასიათებენ სოციალ-ფაშისტური ტენდენციები. მეორეს მხრით, ეს არის ტენდენციები და არა დამთავრებული პროცესი, და უგნურება იქნებოდა სოციალ-დემოკრატიისა და ფაშიზმის ერთ დაფაზე მოთავსება. არ შეიძლება ასე მოვიქცეთ, როგორც მდგომარეობის ანალიზის დროს, ისე კომუნისტური ტაქტიკის დასახვის დროს. ჩვენი ტაქტიკიდან გამორიცხული არ არის სოციალ-დემოკრატ მუშებისა და ზოგჯერ სოციალ-დემოკრატიის ქვედა საფეხურის ორგანიზაციებისადმი მიმართვის შესაძლებლობა, რაც შეეხება ფაშისტურ ორგანიზაციებს,—მათ ჩვენ ვერ მივმართავთ.

7. რამდენიმე შენიშვნა საბოლოო მიზნის საკითხთან დაკავშირებით

გადავდივარ ჩვენი საბოლოო მიზნის საკითხზე. მე მოკლედ შევეხები ამ საკითხს. ჩემის აზრით, აქ სამი მთავარი პრობლემაა. ერთ მათგანს საკმაოდ აკადემიური ხასიათი აქვს, მაგრამ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გავაშუქო კონგრესზე ეს პრობლემები.

ზოგიერთებმა დაგვწამეს არა მარქსისტული მიდგომა იმის გამო, რომ ჩვენ ვლაპარაკობდით შრომაზე კომუნისტურ საზოგადოებაში. ეს ამხანაგები ამტკიცებდნენ, რომ ცნება „შრომა" ისტორიული ცნებაა და რომ კომუნისტურ საზოგადოებაში შრომა, როგორც ასეთი, გაქრება. ამის დამამტკიცებელ საბუთებს ისინი ეძებდნენ მარქსის სხვადასხვა ნაწერებში, სადაც ლაპარაკია არა შრომაზე, არამედ თვითმოქმედების პროცესზე და სხვ. მე არ დავეთანხმე ამ ამხანაგებს. მართალია, მარქსის ნაწერებში მოიპოვება ასეთი ადგილები. ადრინდელ ნაწერებში მარქსს სხვა ჩამოუყალიბებელი ცნებებიც აქვს. ასე მაგალითად, „ფილოსოფიის სიღატაკე"-ში არ არის გატარებული განსხვავება შრომასა და მუშა ძალას შორის, იმ დროს, როცა ამ განსხვავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა, აქვს მთელი მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიისათვის. „კაპიტალ"-ში მარქსი ბევრ ადგილას ლაპარაკობს შრომაზე კომუნისტურ საზოგადოებაში. შესანიშნავ თავში შრომის შესახებ („კაპიტალის" პირველ ტომში) მარქსი ლაპარაკობს შრომაზე, როგორც ბუნებასა და საზოგადოებას შორის „ნივთიერებათა ცვლის" პროცესზე, როგორც ყოველგვარი საზოგადოების საერთო საფუძველზე. „დაქირავებული შრომა" ისტორიული ცნებაა, ისე როგორც ღირებულება, მოგება, სამუშაო ხელფასი და სხვ., მაგრამ „შრომა" სხვა კატეგორიაა. ეს, პირველყოვლისა.

მეორეს მხრით, ზოგიერთი ამხანაგი წინადადებას იძლევა ამოვაგდოთ ამ თავიდან ის ადგილი, სადაც მოხმარების პროდუქტებზე კერძო საკუთრების მოსპობის შესახებაა ლაპარაკი. ისინი მოითხოვდნენ აღგვენიშნა, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში კერძო საკუთრების უფლება მოხმარების პროდუქტებზე დარჩება. მე ეს დებულება შემცდარად მიმაჩნია. უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ფაქტი, როგორც ასეთი, და ამ ფაქტის უფლებრივი მხარე. მარქსი ამბობს, რომ პროდუქტების განაწილება მოხდება მოთხოვნილების მიხედვით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ მე ვაშლს ვიღებ, ამავე ვაშლზე უფლება აქვს ამხ. მანუილსკისაც. მაგრამ მას შეუძლია აიღოს სხვა ვაშლი, არა ის, რომელიც მე ავიღე, არამედ ისეთივე ვაშლის, და შესჭამოს ის.

საერთოდ, როცა სახელმწიფოს ორგანოების ყველა ნაშთის გაუქმებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოებრივ-უფლებრივი ცნებების გაქრობაც. უფლებრივი ცნება სრულიად სპეციფიური ფორმაა და იგი გაქრება სახელმწიფოებრივი ფორმის უკანასკნელ ნაშთების გაქრობასთან ერთად.

იგივე ითქმის იძულების ცნების შესახებაც. აქ ლაპარაკი იყო სულით ავადმყოფებზე და სხვ. თუმცა კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესს, თითქოს, არ შეფერის სულით ავადმყოფებზე ლაპარაკი, მაგრამ ნება მომეცით ვსთქვა, ორიოდე სიტყვა იძულების საკითხის შესახებ.

იძულება სულით ავადმყოფების მიმართ არ არის უფლებრივი პრობლემა: ამ იძულების მიზეზი, წყარო მედიცინის მითითებაა, რომელსაც ემორჩილებიან სხვები, მაგალითად სულით ავადმყოფთა ნათესავები. მაგრამ ეს „დამორჩილება" არაა უფლებრივი დამორჩილება.

არავითარი უფლებრივი დამოკიდებულება არ არსებობს ჩემსა და იმ ექიმს შორის, რომელიც მე წამალს მიწერს. როცა ექიმი, მაგალითად, ბავშს მკურნალობს, როცა იგი სხვადასხვა წამლებს ხმარობს, ხშირად მიმართავს იძულებას, მაგრამ ეს არაა უფლებრივი ხასიათის იძულება. საექიმო იძულების ეს სახე დიდათ განსხვავდება უფლებრივი იძულებისაგან, და ამ ცნებების აღრევა არ შეიძლება. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ჩვენი პროექტის შესაფერი ფორმულები უნდა დარჩეს.

8. მიწის ნაციონალიზაციის საკითხი

კარლ მარქსი პროლეტარული დიქტატურის გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ

გადავდივარ აქტუალურ პრაქტიკულ საკითხზე—მიწის ნაციონალიზაციის საკითხზე. როგორც კონგრესის დასაწყისში უკვე დაინახეთ, მიწის ნაციონალიზაციამ მხურვალე კამათი გამოიწვია. ბევრი არგუმენტი მოჰყავდათ ჩვენი პროგრამის სათანადო ფორმულების წინააღმდეგ. ამ არგუმენტაციას ტონს აძლევდა ამხ. რენე ჟანი საფრანგეთიდან, რომელსაც ეთანხმებოდა საპროგრამო კომისიის ბევრი წევრი. ეს საკითხი მართლაც ეკუთვნის ყველაზე არსებით და ყველაზე მწვავე პოლიტიკურ პრობლემათა რიცხვს. ამხ. რენე ჟანის უმთავრესი არგუმენტი მიმართული იყო პროექტის იმ ადგილის წინააღმდეგ, სადაც, ერთის მხრით, ნათქვამია, რომ შეუძლებელია მიწის დაუყოვნებლივი ნაციონალიზაცია, ხოლო მეორეს მხრით—ლაპარაკია მიწის ყიდვა-გაყიდვის დაუყოვნებლივ აკრძალვაზე. საპროგრამო კომისიაში მე გავილაშქრე ამხ. რენე ჟანის წინააღმდეგ და აქაც ვიმეორებ ჩემს საბუთებს. წინააღმდეგობა, რომელსაც ამხანაგები ხედავენ ორ ზემოდმოყვანილ მომენტს შორის, ეს წინააღმდეგობა ფორმალურია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა ლაპარაკი ნაციონალიზაციაზე,—გადამწყვეტი, არსებითი მნიშვნელობა აქვს მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის ფაქტს, რომელიც ნაციონალიზაციის 90—95 პროცენტით განხორციელებას უდრის. ამას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ისმის საკითხი: რაღა საჭიროა ამ ზომის საკომპრომისო ფორმა? რატომ უნდა ვილაპარაკოთ მიწის ყიდვა-გაყიდვაზე და არა მიწის დაუყოვნებლივ ნაციონალიზაციაზე?—სიფრთხილის გამო, თუმცა ჩვენ მშიშარები არ ვართ. ჩვენ გვეშინია, რომ მიწის და, მაშასადამე, გლეხის მიწის დაუყოვნებლივი ნაციონალიზაციის ლოზუნგმა არ ჩამოგვაშოროს გლეხობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფენები. შეიძლება თუ არა ამას ეწოდოს ოპორტიუნიზმი? მე ვფიქრობ, რომ არ შეიძლება. ჩემის აზრის დასამტკიცებლად მოვიყვან ისეთი ორტოდოქსალური მარქსისტის ციტატებს, როგორიც მარქსია.

მარქსის ნაწერებში, რომლებიც ამას წინად გამოქვეყნდა ერთ-ერთ ჩვენს ჟურნალში, გამოთქმულია სხვადასხვა აზრები გლეხთა საკითხის შესახებ. ამ აზრებს სავსებით ეთანხმება ლენინის თვალსაზრისი. ეს მით უფრო საოცარია, რომ როცა ლენინი ამუშავებდა გლეხობისადმი ჩვენი დამოკიდებულების საკითხს, მან არც კი იცოდა მარქსის ამ წერილის არსებობა. ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ ენგელსის ბროშურას გლეხთა საკითხზე, მაგრამ საკითხის დასმა, რომელიც მარქსმა მოგვცა და რომელსაც მე გაგაცნობთ, უეჭველია, თქვენთვის ახალი იქნება. თითქმის ყოველი სიტყვა ეთანხმება იმას, რასაც ლენინი ამბობდა შემდეგ. მარქსმა შეადგინა დაწვრილებითი კონსპექტი ბაკუნინის წიგნის „სახელმწიფო და ანარქია"-ხი. ამ კონსპექტში მას თავის მხრივ შეტანილი აქვს მრავალი შენიშვნა, ამასთან უპასუხებს მრავალ კითხვაზე, რომლებსაც ბაკუნინი უსვამდა მარქსს. ბაკუნინმა, სხვათა შორის, დასვა ასეთი კითხვა: რა მდგომარეობაში ჩავარდება პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ „გლეხობა მასა"? მარქსი ამის შესახებ სწერს: „ეს იმას ნიშნავს, რომ იქ, სადაც გლეხობის მასა მიწის კერძო მესაკუთრეა, იქაც—კი, სადაც იგი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან უმრავლესობას შეადგენს ისე, როგორც დასავლეთ ევროპის ყველა კონტინენტალურ სახელმწიფოში, სადაც ის არ მოსპობილა და სოფლის მეურნეობაში მისი ადგილი მოჯამაგირეებს არ დაუჭერიათ, როგორც, მაგალითად, ინგლისში, იქ მოხდება შემდეგი: ან ის ხელს შეუშლის და დაამარცხებს ყოველგვარ მუშურ რევოლიუციას, როგორც ეს დღემდე იყო საფრანგეთში, ან პროლეტარიატმა (ვინაიდან მესაკუთრე გლეხი არ ეკუთვნის პროლეტარიატს; მაშინაც კი, როცა ის თავის მდგომარეობით პროლეტარიატს ეკუთვნის, ის არ ფიქრობს, რომ ეკუთვნის მას), როგორც მთავრობის სათავეში მდგომმა, უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლების მეოხებითაც გლეხობის მდგომარეობა გაუმჯობესდება, და თვითონ ის გადავა რევოლიუციის მხარეზე, ზომები, რომლებიც შეიცავენ მიწის კერძო საკუთრებიდან კოლექტიურ საკუთრებაზე გადასვლის ჩანასახს და რომლებიც გაადვილებენ ამ გადასვლას, ისე რომ გლეხი თვითონ მივა იქამდე სამეურნეო გზით. ეს ბრწყინვალედ არის დამტკიცებული—„სამეურნეო გზით". ჩვენს წინაში მაშინვე სდგება კოოპერაცია და სხვ.

მაგრამ არ შეიძლება გლეხობა ჩავაყენოთ რისხში და გამოვაცხადოთ, მაგალითად, მემკვიდრეობის უფლების ან მისი საკუთრების უფლების გაუქმება. ეს შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა მოიჯარადრე—კაპიტალისტი განდევნის გლეხს, და ნამდვილი მფლობელი გადაიქცევა ისეთსავე პროლეტარად და მშრომელად სამუშაო ხელფასისათვის, როგორიც არის ქალაქის მუშა".

მეორე ადგილას მარქსი სწერს: „ამიტომ ის (რადიკალური სოციალური რევოლიუცია) შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა სამრეწველო პროლეტარიატს კაპიტალისტური წარმოების დროს ხალხთა მასაში უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი მაინც, ხოლო იმისათვის, რომ მას ჰქონდეს გამარჯვების რამე შანსები, მან უნდა შესძლოს გლეხობისათვის უშუალოდ გააკეთოს იმდენი მაინც, რამდენიც საფრანგეთის ბურჟუაზიამ თავისი რევოლიუციის დროს გააკეთა საფრანგეთის გლეხობისათვის".

ეს ციტატები საკმაოა. ლაპარაკია სწორედ იმაზე, რომ პროლეტარულმა რევოლიუციამ გლეხობას რაღაც უნდა მისცეს უშუალოდ. ამ მომენტს, ამ პრობლემას მარქსი აშუქებს ისევე ზედმიწევნით, როგორც ეს შემდეგ გააშუქა ლენინმა. გლეხობისათვის ამ უშუალო დახმარების ხაზგასმით აღნიშვნა და მითითება იმაზე, რომ უამისოდ დაინგრევა პროლეტარული დიქტატურა,—აი ეს არის გადამწყვეტი მომენტი.

შესძლებს თუ არა პროლეტარიატი ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ უშუალოდ დაეხმაროს გლეხობას?

მე მოვიყვანე ციტატა, რათა მეჩვენებინა, რომ ეს დასკვნა უკვე გამოიყვანა მარქსმა. ეხლა მე ამ თვალსაზრისით განვიხილავ პრობლემას. ამხ. დენგელმა წამოაყენა ლოზუნგი: „არა მოჩვენება ნაციონალიზაციის საკითხში, არამედ აგრონომიული დახმარება და სხვა". ამხ. დენგელო! აი ამის უცებ განხორციელება შეუძლებელია სწორედ იმიტომ, რომ რევოლიუციის განვითარების პირველ სტადიაში თქვენ საქმე გექნებათ საწარმოო ძალთა დაცემასთან, სამოქალაქო ომთან, საქმე გექნებათ ისეთ მდგომარეობასთან, როცა ჩვენ, ღარიბი საბჭოთა კავშირი, იძულებული ვიქნებით პირველ ხანებში დაგეხმაროთ ეკონომიურად და არა პირიქით. მე ამაში დარწმუნებული ვარ. თქვენ განსაზღვრულ პერიოდში გააფთრებულად იბრძოლებთ, თქვენ ვერ შესძლებთ მოძრაობაში მოიყვანოთ თქვენი ინდუსტრიალური კულტურა; ვერ შესძლებთ მელიორაციის განხორციელებას და სხვ. ეს თითქმის აუცილებელია რევოლიუციის განვითარების პირველ სტადიაში. ძალიან კარგი იქნება, რომ საბოტაჟი არ მოხდეს და სხ. მაგრამ „Хороша Маша, да не наша" (სიცილი). ჩვენ იძულებული ვართ ხაზი გაუსვათ, რომ ჩვენ გლეხობას უშუალოდ ვაძლევთ რაღაცას. ჩვენ ვაძლევთ მას მიწას, ჩვენ არ ვაშინებთ მას იმით, რომ მიწას ჩამოვართმევთ. ჩვენ ვეტყვით გლეხობას: „შენ ცოტა რამ მიიღე სასარგებლოდ რევოლიუციისაგან. თუ ცოტა რამ მიიღე, ჩვენ გარანტიას გაძლევთ, რომ შენ შეინარჩუნებ შენს მიწას, ამ ნაჭრებს, ეს მიწის ნაჭრები არ გადავა სხვის ხელში, ამის გარანტიას გაძლევთ კანონით, რომლის თანახმად სპეკულიანტებს აეკრძალებათ მიწის შესყიდვა, მაშინ შენ გაქვს გარანტია, რომ შენ მართლაც რაღაც მიიღე რევოლიუციისაგან. ზოგიერთი ამხანაგი ლაპარაკობდა მთელი მიწის „განსხვისებაზე". იძლეოდნენ ისეთ ფორმულას, რომელიც ერთნაირ მდგომარეობაში აყენებს მემამულეთა და გლეხთა მიწას, მეორეს მხრით—ჩრდილავს კონფისკაციის საკითხს (როცა ლაპარაკობენ „განსხვისებაზე"). ეს პოლიტიკურად გონიერი არ არის. თუ ვილაპარაკებთ მთელი მიწის კონფისკაციაზე (ჩინელი ამხანაგები), ეს კიდევ უფრო სახაცილო იქნება: სინამდვილეში რევოლიუცია გლეხობას აძლევს მიწას, ხოლო ლოზუნგი ლაპარაკობს ამ მიწის ჩამორთმევაზე. მოთხოვნების ასე ჩამოყალიბება ნიშნავს ყველაფრის თავდაყირა დაყენებას. ამგვარად, ჩვენ პროგრამის პროექტის თვალსაზრისით ვატარებთ გარკვეულ ხაზს: ჩვენ გლეხობას ვაძლევთ მეტ მიწას, ჩვენ ვაძლევთ ამ მონაპოვარის გარანტიას, ჩვენ განსხვავებას ვატარებთ მსხვილ მიწის მფლობელსა, რომელსაც ვართმევთ მიწას და წვრილ მიწის მფლობელს შორის, რომელსაც ხელს არ ვახლებთ. ის ფაქტი, რომ ჩვენ სწორედ ასე მოვიქეცით საბჭოთა კავშირში, ხომ არ იყო შემთხვევითი? ჩვენ გვეტყვიან, რომ ჩვენ ბლოკი გვქონდა მემარცხენე ესერებთან. მაგრამ თუ ჩვენ ამ მდგომარეობას შევადარებთ დასავლეთ-ევროპის ქვეყნების მდგომარეობასთან, მაშინ დაბრკოლება ამ ქვეყნებში აღმოჩნდება უფრო მეტი და არა ნაკლები. ნაციონალიზაციის საკითხში დასავლეთ-ევროპის ქვეყნებში ჩვენ კიდევ უფრო მეტ სიძნელეებს შევხვდებით, ვიდრე ჩვენში.

პირველად ზოგიერთი ამხანაგი დაუფიქრებლად ამბობდა, რომ ეს საკითხი არასოდეს არ ყოფილა დასმული ისე, როგორც ეხლა ვსვამთ. მაგრამ ეს მართალი არ არის. ეს საკითხი ასე დავსვით კომინტერნის მეოთხე და მეხუთე კონგრესებზე. ასევე სვამდნენ საკითხს მარქსი და ლენინი.

(ხმა: მეორე მსოფლიო კონგრესზე!).

დიახ, მეორე მსოფლიო კონგრესზედაც სვამდა ლენინი ამ საკითხს. აქ ახალი არაფერია. ჩვენი ოპონენტების თვალსაზრისი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გასაგები, სინამდვილეში რომ ამხ. დენგელის წინასწარი პირობა არსებობდეს, ე. ი. იმ შემთხვევაში თუ რევოლიუციის პირველ ფაზისშივე შევძლებთ დავეხმაროთ გლეხობას ეკონომიურად. მაგრამ ჩვენ ასეთი ილიუზიებით არ უნდა ვსაზრდოობდეთ.

9. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის რაობისა და ქვეყნების სამი ტიპის შესახებ

საპროგრამო კომისიაში ჩვენ განვიხილეთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციისა და ქვეყნების სამი ტიპის საკითხი. ამ საკითხის ირგვლივაც ძალიან გაცხოველებული დისკუსია გაიმართა. მე აქ ამის შესახებ ვილაპარაკებ რაც შეიძლება მოკლედ.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის საკითხი. აბსოლიუტურად დაუშვებელია ორი საგნის, ამ ორი კრიტერიუმის ერთმანეთში შერევა. ერთის მხრით—რევოლიუციის მამოძრავებელ კლასობრივ ძალთა კრიტერიუმი, მეორეს მხრით—რევოლიუციის ობიექტიური შინაარსის კრიტერიუმი. საპროგრამო კომისიაში მე დავეყრდენი საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მაგალითს, რომელიც წარმოადგენს კლასიკურ ბურჟუაზიულ რევოლიუციას და რომელიც ამავე დროს მიმართული და ჩატარებული იყო ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ე. ი. ბურჟუაზიული წყობილების ყველაზე უფრო აშკარა წარმომადგენლის წინააღმდეგ. მონტანიარების დიქტატურა პირველ რიგში წვრილი ბურჟუაზიის დიქტატურა იყო. ფეოდალური ბატონობის, ფეოდალური ნაშთების პლებეური წესით მოსპობას,—გზის ამ გაკაფვას შემდგომი კაპიტალისტური განვითარებისათვის წვრილი ბურჟუაზია რადიკალურად ახორციელებდა ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. არ შეიძლება, ვიმეორებ, ერთმანეთში აურიოთ რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთა საკითხი და რევოლიუციის ობიექტიური შინაარსის საკითხი. ჩინეთში, მაგალითად, მუშათა და გლეხთა ბლოკი განვითარების ამ სტადიაში ნიშნავს, ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ და არა მარტო ფეოდალური ბატონობის წინააღმდეგ. მაგრამ ამავე დროს ჩინეთში დღეს არის არა პროლეტარული რევოლიუცია, არამედ მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუცია, ჩვენ იქ მივდივართ ხელისუფლების ისეთი სისტემისაკენ, რომელიც ხორციელდება პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურით. მაგრამ ხელისუფლების ასეთი ფორმაც, ცხადია, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. (როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ გლეხობის დიქტატურა შესაძლოა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის გარეშე? ამ რევოლიუციის წინასწარი პირობაა ბურჟუაზიის დამხობა, ბურჟუაზიის და მისი სახელმწიფო ხელისუფლების მოსპობა). იმავე დროს პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა ჯერ კიდევ არ არის პროლეტარიატის, როგორც ხელისუფლების ერთად-ერთი მატარებლის დიქტატურა. სხვა საკითხია, თუ რამდენად დიდ ხანს შეიძლება იარსებოს საერთოდ პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურამ. მე ვფიქრობ, რომ აქ იმთავითვე მოცემულია გადაზრდის პროცესი მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ ვანსხვავებთ მუშურ-გლეხურ დიქტატურას და პროლეტარულ დიქტატურას, რევოლიუციის ობიექტიურ შინაარსს პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის მომავალ გამარჯვებაში, და რევოლიუციას, რომელსაც უშუალოდ მივყევართ პროლეტარიატის დიქტატურისაკენ. მსოფლიო ისტორიული თვალსაზრისით, ამა თუ იმ ქვეყნის თვალსაზრისით, პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა არის პროლეტარული დიქტატურის წინასწარი საფეხურები, მაგრამ მხოლოდ წინასწარი საფეხური. ეს არის ეტაპი რევოლიუციონური პროცესის განვითარებაში. ყველა ამის არევა ერთმანეთში სრულებითაც არ არის ლენინური ტრადიცია, ეს არის წმინდა წყლის ტროცკისტული თვალსაზრისი.

ამის მიხედვით გვაქვს აგრეთვე შესაძლებლობა განვასხვავოთ ქვეყნების სამი ტიპი, როგორც უკვე დავახასიათეთ. შეიძლება ეს განსაზღვრა პროგრამაში კიდევ უფრო ნათლად უნდა იქნას ხაზგასმული,—ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ასეთი განსაზღვრა,—როგორც ყოველი ცოტად თუ ბევრად აბსტრაქტული განსაზღვრა, —ამა თუ იმ სახით ატარებს სქემატიურ ხასიათს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის არგუმენტი განსაზღვრის, როგორც ასეთის, წინააღმდეგ, არგუმენტი ამის წინააღმდეგ, რომ განსხვავება იქნას გატარებული პროლეტარული დიქტატურის ქვეყნებსა და პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის შორის, უშუალო პროლეტარულ რევოლიუციებსა და პროლეტარიატისა და გლეხობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციებს შორის.

ჩვენი დისკუსიის დროს ამ საკითხში ჩვენ დაახლოვებით ასეთ დასკვნამდე მივედით: კაპიტალისტური განვითარების საშუალო დონის ქვეყნების დახასიათების დროს უკეთესი იქნება მოვიხსენიოთ ბალკანეთის ქვეყნები: სამხრეთ-სლავია, რუმინეთი, შეიძლება ბულგარეთიც, სამხრეთ-ამერიკის ზოგიერთი ქვეყნები; მეორეს მხრით—აქ საჭიროა უფრო ელასტიური ფორმულის შემუშავება, ვინაიდან არსებობენ ისეთი ქვეყნები,—ასეთი შესაძლებლობანი საერთოდ მოსალოდნელია,—რომლებშიაც პროლეტარულმა რევოლიუციამ მის სოციალისტურ „არსებაში" უნდა შეასრულოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული საზოგადოების უდიდესი ამოცანები. პროპორცია ამ ელემენტებს შორის, რასაკვირველია, სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. შეიძლება მართალნი არიან პოლონელი ამხანაგები, როცა ამბობენ, რომ პოლონეთი ეკუთვნის ისეთი ქვეყნების რიცხვს, სადაც პროლეტარული რევოლიუცია სპეციფიურ ხასიათს ატარებს, სადაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ელემენტების პროცენტი,—რამდენადაც დასაშვებია აქ არითმეტიკული ცნებების გამოყენება,—პროლეტარული რევოლიუციის საერთო პროცესში, ძალიან დიდია. იქნებ საჭიროაცაა ასეთი ნიუანსის შეტანა ფორმულაში, რომ მას უფრო ელასტიური ხასიათი მიეცეს.

ამასთან დაკავშირებით მე მინდა ერთი შენიშვნა კიდევ გაუკეთო ამხ. ალფონსის სიტყვას.

ალფონსი ეკამათება პროგრამის ორ ადგილს. მაგრამ პროგრამის პროექტის ეს ადგილები ლენინის ციტატებია. ის, ვინც ამ ადგილების წინააღმდეგია, მან უნდა აღიაროს, რომ ის არ ეთანხმება ლენინს. თქმა იმისა, რომ ლენინის მიერ დაწერილი ეს ადგილები მენშევიზმის განსახიერებაა, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული იქნება.

ეხლა საკითხის არსებით მხარეზე. მე ამაზე უკვე ვილაპარაკე წინედ, ამაზე მოგვიხდება ლაპარაკი კოლონიალური საკითხის განხილვის დროსაც. ზოგიერთ პირობებში შესაძლოა, რომ ჩვენ ნაციონალურ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან ერთად წავიდეთ. თუ კი ის ნამდვილად რევოლიუციონურია თუ ის გვაძლევს საშუალებას შევაკავშიროთ მასები. ასეთი პერიოდი იყო. ეხლა ასეთი პერიოდი აღარ არის. ინდოეთში საკითხი სხვანაირად სდგას.

10. „სამხედრო კომუნიზმის" პრობლემა

შემდეგი პრობლემა—არის „სამხედრო კომუნიზმის" პრობლემა. საპროგრამო კომისიაში ამხ. ვარგამ დიდი კამათი გამართა ჩემთან. კომისიაში მე უკვე განვაცხადე, რატომ არის ამხ. ვარგა „სამხედრო კომუნიზმის" ასეთი მხურვალე მომხრე. მე ვსთქვი, რომ ამხ. ვარგა ჯერ კიდევ ვერ მიხვდა თავისი პარტიის შეცდომათა მთელ სიღრმეს უნგრეთის დიქტატურის დროს. რა შეცდომები დაუშვეს მათ გლეხის მიმართ? ჯერ ერთი—დაუშვეს ის შეცდომა, რომ გლეხს სულ არ მიეცა მიწა. მეორე ის, რომ ამავე დროს ჩატარებულ იქნა ფრიად მნიშვნელოვანი ექსპროპრიაცია (რეკვიზიცია და სხვ.). მესამე ის, რომ წინანდელი მსხვილი მემამულენი დარჩნენ საბჭოთა მეურნეობებში, როგორც სპეციალისტები. ასეთი იყო, რბილად რომ ვსთქვათ, შეცდომები გლეხობის მიმართ. რაც შეეხება წვრილ ბურჟუაზიას ქალაქებში, უნდა აღინიშნოს, რომ პროლეტარული დიქტატურის პირველ პერიოდში გამოსცეს დეკრეტი, რომლის ძალითაც ყველა ვაჭარი, რომელიც თავის დუქანს გახსნიდა, სიკვდილით ისჯებოდა. მე ვსთქვი, რომ ასეთ პირობებში უნდა ჩავსთვალოთ (გამოტოვებულია)... რომ პროლეტარული დიქტატურა საზოგადოთ არსებობდა რამდენსამე ხანს. მე ვამტკიცებდი, რომ არავითარი განსხვავება არ გაუკეთებიათ ჩვენს პრინციპიალურს დამოკიდებულებაში გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიისადმი, ერთის მხრივ, და მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიისადმი, მეორეს მხრივ.

საპროგრამო კომისიაში და ნაწილობრივ კონგრესის პლენუმებზედაც ამხ. ვარგამ ხუმრობით სთქვა, რომ იგი დალაქების ნაციონალიზაციის წინააღმდეგია, დალაქებმა კი მას თავი გაუსაპნეს (სიცილი) და სხვ. მე არ განვავითარებ ამ თემას. მაგრამ, მაქვს თუ არა მე საფუძველი ვსთქვა, რომ ამხ. ვარგამ ვერ შეიგნო უნგრეთის დიქტატურის შეცდომები? მე ვამტკიცებ, რომ მე მქონდა და დღესაც მაქვს ამისი საფუძველი. აქ მე მაქვს ამხ. ვარგას წერილის დედანი, დაწერილი „დიდი ენციკლოპედიისათვის". წერილი (მისი პირველი რედაქცია) უნგრეთს შეეხება. როგორ აფასებდა ამხ. ვარგა ამ პერიოდამდე—სანამ ჩემთან კამათს დაიწყებდა—უნგრეთის რევოლიუციის მთავარ გაკვეთილებს? იგი თავის წერილში ახასიათებს უნგრეთის მოძრაობის სხვადასხვა მომენტს პროლეტარიატის დიქტატურის დროს და სწერს:

„ორივე ეს გარემოება (რევოლიუციის იზოლიაცია და კომპარტიის სისუსტე) იმ საბედისწერო ისტორიულ ფაქტთან ერთად, რომლის მიზეზარ 1919 წლის ზაფხულში უნაკლო პოლიტიკის (გამოტოვებულია)... მე ვამტკიცებდი საპროგრამო კომისიაში და აქაც ვიმეორებ, რომ უნგრეთის პროლეტარული დიქტატურა დაამარცხეს არმიებმა გარედან და გლეხთა ამბოხებებმა შიგნიდან და, ნაწილობრივ, წვრილმა ბურჟუაზიამ ქალაქებში. უნგრეთის დიქტატურის ხელმძღვანელებმა იმ პოლიტიკით, რომელსაც ისინი გლეხობის მიმართ აწარმოებდნენ; არ შეეძლოთ გაეხრწნათ მტრის არმიები, რომელნიც შესდგებოდნენ რუმინელი, ჩეხელი და უნგრელი გლეხებისაგან. ომის დროს უნგრეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უნგრეთის დიქტატურის მტრების ბანაკში იმყოფებოდა. უნგრეთის დიქტატურას არ შეეძლო გამხრწნელი პროპაგანდის წარმოება მტრის არმიებში. როგორ იარსებებდა დიქტატურა ასეთ პირობებში? ეს სრულიად შეუძლებელი იყო. რაკი თქვენ ტერორით დააფრთხეთ ქალაქებში წვრილი ბურჟუაზია. ცხადია, წვრილი ბურჟუაზიის დიდი მასები ქალაქებში თქვენს წინააღმდეგ იქნებოდნენ, როგორ უნდა გეარსებათ თქვენ სოციალ დემოკრატიული პარტიის ნახევართან ერთად მთავრობის შიგნით მაშინ, როდესაც წვრილი ბურჟუაზია და გლეხობა მთლიანად დიქტატურის წინააღმდეგი იყო და როდესაც მტრის არმიები იბრძოდნენ დიქტატურას? გლეხობა რომ თქვენს მხარეზე ყოფილიყო, განა თქვენ არ გექნებოდათ მოწინააღმდეგის არმიების გახრწნის დიდი შესაძლებლობა? ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ რუმინელი გლეხები, რომელნიც უნგრეთში თავიანთ თანამემამულე გლეხებს ხვდებოდნენ, თუ კი უკანასკნელთ მიღებული ექნებოდათ რამე პროლეტარული დიქტატურისაგან და თუ კი ისინი მის მხარეზე იქნებოდნენ, არ გაიხრწნებოდნენ და არ წავიდოდნენ? ჩვენ მოვახერხეთ ინგლისის ჯარის გახრწნა არხანგელსკში,—ინგლისელები გაიქცნენ. გაიხრწნენ ინტერვენციონური ჯარებიც ოდესაში. ჰკითხეთ ამხ. პიატნიცკის, რა მოხდა მაშინ, როდესაც ყაზახები მოსკოვზე მოდიოდნენ. ჩვენ შევსძელით ამ ნაწილების გახრწნა. ჩვენი გამარჯვებანი უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენდნენ მტრის ჯარების გახრწნის შედეგს. ეს ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ჩვენს ბრძოლაში, მომავალ ომში იგი ასეთივე საუკეთესო საშუალება იქნება. ეს გარემოება იმ თავითვე მხედველობიდან გაუშვეს უნგრეთში.

თუ უნგრეთის დიქტატურის შეცდომები ისე ესმით, როგორც ამ წერილშია აღნიშნული, მე სრული პოლიტიკური უფლებით ვამტკიცებ, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს შეცდომების ჯეროვანად შეუფასებლობასთან; პირველ ყოვლისა კი, იმ შეცდომების შეუფასებლობასთან, რომლებიც დაუშვეს გლეხთა საკითხში და წვრილი ბურჟუაზიის საკითხში საზოგადოდ. ჰქონდა თუ არა ამხ. ვარგას მხურვალე სიტყვის სამხედრო კომუნიზმის დასაცავად რაიმე საერთო შეცდომების შეუფასებლობასთან? მე ვამტკიცებ, რომ ჰქონდა. და თუ ვერ ამჩნევენ ღრმა შეცდომებს, თუ ვერ ხედავენ განსხვავებას მემამულეებსა და გლეხებს შორის, მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიის შორის, მაშინ „სამხედრო კომუნიზმის" გატარებას ასეთ საფუძველზე შეუძლია გამოიწვიოს დიქტატურის დაღუპვა. თუ მე ცოტათ თავშეკავებით ვლაპარაკობ „სამხედრო კომუნიზმის" შესახებ, ვლაპარაკობ სწორედ ამ მოტივებით. ჩვენი კამათი დასკვნების მხრივ მინიმუმამდე შემცირდა. ამხ. ვარგამ წინადადება მომცა, გველაპარაკნა „სამხედრო კომუნიზმის" არა აუცილებლობის, არამედ მის შესაძლებლობის შესახებ. მე ამაში ვეთანხმები: სამხედრო კომუნიზმი მოსალოდნელია მრავალ ქვეყანაში ზოგიერთი პირობების დროს, მაგრამ მე ვილაშქრებ მთელი მისი არგუმენტაციის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ჩვენ, მივიღებთ რა მხედველობაში სამხედრო კომუნიზმის შესაძლებლობას განსაზღვრულ პირობებში, უნდა ვსთქვათ:

პირველი—სხვა ქვეყნებში ჩვენ ვერ დავინახავთ საბჭოთა კავშირის „სამხედრო კომუნიზმის" უბრალო განმეორებას, ისევე როგორც ახალი ეკონომიური პოლიტიკაც სულ სხვა ფორმებს მიიღებს სხვა ქვეყნებში, ვიდრე ეს მოხდა რუსეთში,—ჩვენ გვექნება საქმე სხვადასხვაგვარ ვარიანტთან. ლენინი ამბობდა არა მარტო იმის შესახებ, რომ განსაზღვრულ პერიოდში საჭიროა „სამხედრო კომუნიზმი" და რომ იგი აუცილებელია, იგი ლაპარაკობდა იმის შესახებაც, რომ სამხედრო კომუნიზმის დროს ჩვენ ბევრი სისულელე ჩავიდინეთ და რომ კარგი არ იქნება ეს სისულელე სხვებსაც ვურჩიოთ.

მეორე—ჩვენ არ უნდა შევბოჭოთ ჩვენი თავი იმის მტკიცებით, რომ „სამხედრო კომუნიზმი" აუცილებლად საჭირო იქნება პირველ რიგში ან და დიქტატურის განვითარების განსაზღვრულ პერიოდის შემდეგ. თუ ის საჭირო იქნება, ჩვენ მას განვახორციელებთ იმ ქვეყანაში, სადაც იგი საჭირო იქნება. ამის პირობებზე მე უკვე ვილაპარაკე. თუ ეს პირობები დადგება, ჩვენ აქედან გავაკეთებთ სათანადო დასკვნებს. ამით კამათი ამოწურულია.

11. ახალი ეკონომიური პოლიტიკის უნივერსალური მნიშვნელობა

ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხშიც გვქონდა ჩვენ გაცხოველებული კამათი. ზოგი ამხანაგი ფიქრობდა—ამ შემთხვევაში ისინი ეყრდნობოდნენ ლენინის ნაწარმოებების ნამდვილად არსებულ და სწორედ გადმოცემულ ციტატებზე,—რომ ჩვენ მრავალ სხვა ქვეყანაში განსაზღვრულ პირობებში არ მივმართავთ ახ. ეკონ. პოლიტიკის მეთოდებს, რომ იქ შესაძლებელი იქნება პირდაპირი გადასვლა, რთული საბაზრო ურთიერთობის გარეშე. ამ ციტატების აზრი ნამდვილად ასეთია. მაგრამ ამასთან ერთად მე უნდა მოვიყვანო ლენინის სიტყვები, წარმოთქმული უკვე მე-III კონგრესზე იმის შესახებ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამოცდილებას რუსეთში ანალიზი უნდა გაუკეთდეს და იგი გამოყენებულ უნდა იქნეს საერთაშორისო მასშტაბით. მან სთქვა აგრეთვე, რომ შეიძლება ინგლისმა ამ მხრივ გამონაკლისი მოგვცეს. მე-IV კონგრესზე ამხ. ზინოვიევი თავის სიტყვაში დაწვრილებით შეჩერდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხზე და უფრო გარკვეული სახით, ვიდრე ლენინი მე-III-ე კონგრესზე, ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა საჭირო იქნება აგრეთვე სხვა ქვეყნებშიაც, და ამ საკითხში იგი გამოდიოდა რუსული დელეგაციის სახელით ლენინის მიერ ამ საკითხის განხილვის შემდეგ. მნიშვნელობა ახალი ეკონომიური პოლიტიკისა, როგორც ისეთი მეთოდის, რომელიც სოციალისტურ სახელმწიფო კაპიტალიზმს შეათავსებს წვრილ მწარმოებელთა არსებობასთან, მაშინ გაცილებით უფრო ნათელი გახდა, ვიდრე მე-III კონგრესისათვის.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც მე ჩვენი პროგრამის პირველი პროექტის ძირითადი მომენტები. ამ პროექტში ახალი ეკონომიური პოლიტიკა გაშუქებულია ისევე, როგორც ახალ პროექტში. შეიძლება გვითხრან, რომ არ არსებობს არავითარი დოკუმენტი ან რაიმე ჩანაწერი, რომელიც პირდაპირ ადასტურებდეს ამას. მაგრამ შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ლენინს, რომელიც ლაპარაკობდა პროგრამის პროექტის ერთ შედარებით მეორე ხარისხოვან საკითხზე—კერძო მოთხოვნილებათა საკითხის შესახებ,—„დავიწყოდა" გამოეთქვა თავისი აზრი ძირითადი საკითხის შესახებ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. მართლაც, მან განიხილა ეს საკითხი თუმცა ეს ფორმალურად ლოღიკურ წინააღმდეგობაშია მის ადრინდელ სიტყვებთან. რატომ? იმიტომ, რომ სიტუაცია გაცილებით უფრო ნათელი გახდა.

ჩემის აზრით, არ შეიძლება ორი სულ სხვადასხვა რამის არევა ერთმანეთში. ერთის მხრივ, ჩვენ საქმე გვექნება სოციალიზმის სხვადასხვა ვარიანტებთან. კაპიტალისტური წესწყობილების დროს ჩვენ გვქონდა კაპიტალიზმის სხვადასხვა ვარიანტი. კაპიტალიზმის სხვადასხვა ფორმებს და ვარიანტებს ჩვენ ვხედავთ საფრანგეთის, ჩრდილოეთ-ამერიკის და გერმანიის მეურნეობაში. ცხადია, ეს გამოიწვევს სოციალიზმის სხვადასხვა ვარიანტებსაც ჩამორჩენილ ქვეყნებში ჩვენ საქმე გვექნება ახალ ვარიანტებთან. პროლეტარული რევოლიუციის შემდეგ სოციალიზმის ფორმა გერმანიაში გაცილებით უფრო მაღალი იქნება, ვიდრე არსებული, იგი ათი წლით მაინც გაუსწრებს საბჭოთა კავშირის სოციალიზმს. იქ პირობები სოციალიზმის მშენებლობისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ჩვენს ჩამორჩენილს ქვეყანაში. ლენინი მრავალჯერ სწერდა და ამბობდა, რომ როდესაც დასავლეთ ევროპაში პროლეტარული რევოლიუცია მოხდება, ჩვენ კვლავ გადავიქცევით ჩამორჩენილ ქვეყანად, თუმცა ამჟამად ჩვენი ქვეყანა ყველაზე უფრო პროგრესიულია.

ლენინის მიერ დამუშავებული კოოპერატიულ გეგმას სულ სხვა ხვედრითი წონა ექნება ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა გერმანია. სოფლის კოოპერაცია არ ითამაშებს გერმანიაში ისეთ დიდ როლს, როგორც ჩვენში. საზოგადოების სტრუქტურა იქ სულ სხვანაირია. სტრუქტურების განსხვავების თვალსაზრისით განვითარდებიან სოციალიზმის, ასე ვსთქვათ, სხვადასხვა „ნაციონალური" ტიპები და ეს ვარიანტები იარსებებენ საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. საკმაოდ ხანგრძლივი იქნება იმ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი მსოფლიო პროლეტარული დიქტატურის შემადგენელ ნაწილების შეხორცების პროცესი, რომელნიც ერთ მსოფლიო სოციალისტურ მეურნეობად გადაიქცევიან. სოციალიზმის ეს სხვადასხვა თვისებები, სხვადასხვა ვარიანტები მისი მშენებლობის პროცესში, როდი არიან მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ქვეყნებში ჩვენ საქმე გვექნება სოციალიზმის მშენებლობის სულ სხვა მეთოდებთან. ის ამხანაგები, რომელნიც მე მეკამათებოდნენ, არ უარჰყოფდნენ იმას, რომ საბაზრო ურთიერთობის შენარჩუნება განსაზღვრულ ფარგლებში აუცილებელი იქნება ყველა სხვა ქვეყანაში, მაგრამ საბაზრო ურთიერთობა—ეს ხომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მთავარი არსებითი მომენტია. თუ არსებობს საბაზრო ურთიერთობა, მაშასადამე, გვაქვს „ახალი ეკონომიური პოლიტიკაც". სხვა საკითხია, თუ რამდენხანს გაგრძელდება ეს პერიოდი, რამდენხანს მოვუნდებით ამ საბაზრო ურთიერთობის დაძლევას. ამ გზებას ეტაპები, სათანადო პერიოდის ხანგრძლივობა სხვადასხვა იქნება სხვადასხვა ქვეყანაში. მაგრამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის აუცილებლობისა, მისი უნივერსალობის შესახებ, ჩვენი კამათის თვალსაზრისით, ეს არ არის პრინციპიალური განსხვავება. ასეთ მდგომარეობაშია, ჩემის აზრით, ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხი.

საპროგრამო კომისიაში ჩვენ ყველანი დავეთანხმეთ იმ შენიშვნას, რომელიც მოგვცა მრავალმა ამხანაგმა გლეხთა საკითხის თაობაზე, ნაციონალური საკითხის თაობაზე, როგორც ისეთი განსაკუთრებული პრობლემის, რომელიც არ უნდა ავურიოთ კოლონიალური საკითხის საერთო დაყენებასთან. ამის შესახებ ჩვენ მეტს აღარ ვილაპარაკებთ.

აი, ის ძირითადი საკითხები, რომელნიც განვიხილეთ საპროგრამო კომისიაში.

რა თქმა უნდა, მე სავსებით არ ამომიწურავს მთელი დისკუსია, რომელსაც ადგილი ჰქონდა საპროგრამო კომისიაში. მე შევეხე მხოლოდ თეორეტიკულად ყველაზე უფრო რთულ და მნიშვნელოვან საკითხებს და სრულებით არ შევჩერებულვარ მრავალ ტაქტიკურ და სტრატეგიულ საკითხზე, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ რომელნიც არ არიან რთულნი თეორეტიულად. ჩემის აზრით, შესაძლებელია ყოველივე ამის ხელახლად დამუშავება სპეციალურ კომისიაში. ჩვენი საპროგრამო კომისიის პლენუმმა უარჰყო კომისიების დაარსება, მან გადასწყვიტა მხოლოდ შექმნას ვიწრო კომისია პროგრამის შესწორების დასამუშავებლად. მთელი მუშაობის დამთავრების შემდეგ ეს ვიწრო რედაქციული კომისია მოახსენებს პლენუმის კონგრესს კომისიის მიერ გამომუშავებულ საბოლოო ტექსტს. ეხლა მე წინადადებას ვიძლევი, კონგრესმა საფუძვლად მიიღოს პროგრამის ჩვენი პროექტი.

12. დასკვნა

ჩვენ ჯერ არ დაგვიმთავრებია ჩვენი საპროგრამო მუშაობა. ჩვენ მხოლოდ გენერალური დისკუსია დავამთავრეთ. ჩვენ კიდევ მოგველის ფრიად მძიმე ამოცანა—მთელი რიგი შესწორებების და შენიშვნების შეტანა პროგრამაში მის გასაუმჯობესებლად ეს მეტად დიდი და მძიმე სამუშაო იქნება. მაგრამ გენერალურმა დისკუსიამ დაგვიმტკიცა, რომ პროექტი საერთოდ ყველასათვის მისაღებია. ამიტომ ვთხოვ კონგრესს, მიიღოს პროექტი საფუძვლად.

დღეს, როდესაც სოციალ-დემოკრატია ამტკიცებს, რომ ჩვენი პროგრამა ომისა და პროლეტარიატის გათიშვის პროგრამაა, როდესაც იგი კვლავ სცდილობს მოატყუოს მუშათა კლასი და აჩვენოს მას, ვითომც იგი ომის წინააღმდეგ იბრძვის, ჩვენ უნდა გავიტანოთ ჩვენი პროგრამა პროლეტარულ მასებში, რომელნიც დაინახავენ, რომ ჩვენი პროგრამა არის მსოფლიოს პროლეტარული ძალების გაერთიანების პროგრამა, მეტროპოლიებისა და კოლონიების და ნახევარკოლონიების და ჩაგრული ერების სამრეწველო პროლეტარიატის გაერთიანების პროგრამა. მსოფლიო პროლეტარიატი დაინახავს, რომ ჩვენი პროგრამა არის საუკეთესო გზის მაჩვენებელი იმ თავგადადებულ ბრძოლაში, რომელსაც კომუნისტები იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ აწარმოებენ, რომ ჩვენი პროგრამა ნამდვილად არის მსოფლიო რევოლიუციის პროგრამა, პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის პროგრამა (მხურვალე ტაში, რომელიც ოვაციებში გადადის). (ადს).

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 193.


მოაწერეთ ხელი სესხს!

საქ. ცაკის მიმართვა

ქალაქის და სოფლის ყველა საბჭოს და აღმასკომის წევრებს, მუშებს, გლეხობას, წითელარმიელებს და მშრომელ ინტელიგენციას

ამხანაგებო!

საბჭოთა სოციალისტური ქვეყნის მშრომელი ხალხი, პროლეტარული პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით, მედგრად მიემართება სახალხო მეურნეობის მთლიანად სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის გზით.

შენდება ახალი ცხოვრება; იგება ახალი ქარხნები და ფაბრიკები, ჩატარებულია და გრძელდება დიდი მუშაობა ქალაქის და სოფლის ელექტროფიკაციისათვის, მიმდინარეობს გაძლიერებული მუშაობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის და სხვ.

სოციალიზმის მშენებლობის ეს გიგანტური მუშაობა ჩვენ საკუთარი ძალღონით გვიხდება, რადგანაც სხვა ქვეყნის პროლეტარიატს ჯერ ძალაუფლება ხელთ არ აუღია და არ შეუძლია დაეხმაროს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობას; ხოლო რაიმე ფინანსიურ - მატერიალური დახმარების მიღება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებიდან, რომლებითაც გარემოცულია საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი, მოსალოდნელი არ არის.

ჩვენი მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს აუარებელ მატერიალურ სახსარს და მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობას.

თვითეული მუშა, გლეხი, მოსამსახურე და ყოველი პატიოსანი მოქალაქე მოვალეა მიიღოს მონაწილეობა ამ მშენებლობაში, არა მარტო თავისი ძალღონით, არამედ მონაგარითაც

თვითეულ მუშამ, გლეხმა და შეგნებულმა არა მარტო ხელი უნდა მოაწეროს **სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მე-2 სახელმწიფო სესხს, რომელიც გამოშვებულია სსრ კავშირის ხელისუფლების მიერ 500 მილიონ მანეთის რაოდენობით, არამედ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სოციალიზმის მშენებლობისათვის სესხის მნიშვნელობის ახსნა-განმარტების საქმეში და ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მის გავრცელებას.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სესხის ქრონიკა

თბილისის მაზრაში

თბილისის მაზრაში (დუშეთის მაზრიანათ) ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის კამპანიის ჩასატარებლად თბილისის აღმასკომთან დაარსდა სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობი კომისია. ასეთივე კომისიები მოეწყო თბილისის მაზრის თემაღმასკომებთან. აღმასკომთან არსებულმა კომისიამ თემების კომისიებს დაუგზავნა სააგიტაციო მასალა, სესხის პოპულარიზაციის მიზნით, ახლო მომავალში თემებსა და სოფლებში ჩატარდება მოხსენებები და საუბრები სესხის მნიშვნელობის შესახებ. თბილისის აღმასკომებთან არსებული სესხის ხელის შემწყობი კომისია კამპანიას ჩაატარებს მხოლოდ მაზრაში (თბილისის გამოკლებით). ნავარაუდევია 200 000 მან. ობლიგაციების გასაღება მთელ თბილისის (დუშეთის მაზრასთან ერთად) მაზრაში.

ს. მ. უ. საბჭოში

17 აგვისტოს სახ. მეურნეობის უმ. საბჭოში შესდგა თანამშრომელთა საერთო კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. **ირიცფუხოვმა.** მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც ყველა თანამშრომლებს მოუწოდებს ხელი მოაწერონ სესხზე არა ნაკლებ ერთი თვის ხელფასის რაოდენობისა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახ. მეურნეობის უმ. საბჭოს თანამშრომლებს უკვე რამოდენიმე დღეა ადგილობრივ აურჩევიათ სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობი კომისია, რომელსაც, უკვე დაუწყია პრაქტიკული საქმიანობა და გაუმართავს ხელის მოწერა. ჯერ-ჯერობით ხელის მოწერით შეგროვილია 8.000 მან.

ერთი თვის ხელფასი

17 აგვისტოს შესდგა ხამთო ტრესტის, აზნავთის, ნავთსინდიკატის და საკონცესიო კომისიის თანამშრომლების საერთო კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. **ემჩინოვმა.** მომხსენებელმა დამაჯერებლად განუმარტა ყველა ის ტეხნიკური ხასიათის საკითხები, რომლებიც აინტერესებდა კრების მონაწილეთ.

დასასრულ მიღებული იქნა რეზოლუცია, რომლის თანახმად თანამშრომლები ხელს აწერენ სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის განმარტებით, ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები აღჭურვილი იქნებიან ყველა იმ უფლებებით, რომლითაც სარგებლობენ წინა სესხების ობლიგაციები, ე. ი. ბანკებში იწარმოებს ამ ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა და დაგირავება.

პარტიული ცხოვრება

პარტგანათლების საკითხები

მეტი ყურადღება ამ საქმეს

წარსული წლების გამოცდილებამ, მიუხედავად მთელი რიგი მიღწევებისა, გვიჩვენა, რომ ზოგიერთ ადგილებში ფორმალურად უდგებიან სწავლების საკითხებს. თამამად შეიძლება ითქვას რომ პასუხისმგებლობის გრძნობა ამ უდიდესი მნიშვნელობის მუშაობისათვის იშვიათი მოვლენაა, საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ პარტგანათლების საკითხი არასოდეს არ არის ადგილობრივი პარტორგანიზაციების უმთავრესი ყურადღების საგანი; აქედან არის გამოწვეული ყველა „უბედურებანი“, როგორც მაგალითად, სკოლებისა და წრეების დაშლა სამოსწავლო წლის დამთავრებამდე, სკოლებისა და წრეების ორგანიზაციისა და შედგენის საქმის სუსტად დაყენება და სხვა.

პარტჯრედის პუნქტების სუსტი მუშაობა ყოველთვის იჩენდა ხოლმე თავს სამოსწავლო წლის ბოლოს. ეს გარემოება ყოველ წლივ იწვევდა ლაპარაკს იმის შესახებ, რომ აუცილებელია მიღებულ იქნას მხედველობაში გამოცდილება, მეტი ყურადღება მიექცეს ამ საქმეს, მოხდეს პარტიული-საზოგადოებრივი აზრის კონცენტრაცია ამ საკითხის ირგვლივ, უკეთესად იქნას დაყენებული ახსნა-განმარტებისა და სკოლების შედგენის საქმე. მაგრამ გადიოდა გაზაფხული და ზაფხულის დასაწყისში ქვლავ იწყებოდა ლაპარაკი.

ზაფხულს ჩვეულებრივად საკმაოდ არ იყენებდენ ახალ სამოსწავლო წლისათვის მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად, მხოლოდ ზაფხულის შემდეგ შეიქნებოდა ხოლმე ფაცა-ფუცი. გადაჭრით უნდა შეიცვალოს ჩვენი პრაქტიკა, ამ დარგში, მით უფრო, როცა ეს გამომდინარეობს სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელი პერიოდის რთული პირობებისაგან. რაიც გამოიხატება არა მარტო მეურნეობის სოციალისტური ელემენტების ზრდაში, არამედ ქალაქის და სოფლის კერძო კაპიტალისტური ფენების წინააღმდეგობის გაძლიერებაშიც. მტერი სცდილობს ქალაქისა და სოფლის ჩამორჩენილ ფენებში შეიტანოს თავისი გავლენის ელემენტები.

პარტიამ თავის ყრილობაზე გაითვალისწინა არა მარტო საგარეო, არამედ შინაური პირობებიც და გადაჭრით აღნიშნა, რომ ჩვენი მეურნეობის წინსვლის ტემპი არ არის შეფარდებული კულტურული მუშაობის ტემპთან. მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩვენი შემდგომი წინსვლა მტკიცედ არის დაკავშირებული კულტურული რევოლიუციის პრობლემასთან. ამოცანა ნათელია: პარტიამ უნდა „განავითაროს უდიდესი პრაქტიკული მუშაობა მასების პოლიტიკური განათლებისა, კულტურული აღორძინებისა და სოციალისტური აღზრდისათვის“ (მე-15 პარტყრილობის „რეზოლიუცია“). ეს გვავალებს ჩვენ მკვეთრი მარქსისტული იარაღით აღჭურვილი დავდგეთ კულტურის ფრონტის ავანპოსტებზე. სწორედ ამ თვალსაზრისით პარტგანათლების საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

პარტგანათლების სისტემა

პარტგანათლების ახლანდელი სისტემა განსხვავდება წინანდელი სისტემისაგან და პარტიის ამოცანებთან დაკავშირებით მიზნად ისახავს: 1) მთლიანი დაწყებითი პარტსკოლის შექმნას (ეხლა არსებული ორი საფეხურის მაგივრად), რომლის ამოცანას პარტიის პროგრამის, მისი ტაქტიკის და წესდების შესწავლა შეადგენს. მთლიანი პარტსკოლის გავლა სავალდებულოა პარტიის ყველა იმ წევრებისა და კანდიდატებისათვის, რომელთაც ელემენტარული პოლიტიკური მომზადება არა აქვთ; 2) სრულ ნებაყოფლობით პრინციპს „როგორც პოლიტსკოლაში შესვლის მხრივ, ისე სკოლის, წრის და სხ. ტიპის ამორჩევაში“ (ცეკას დადგენილება) 3) თვითგანათლების დარგში წარმოებული მასიური მუშაობის (სხვადასხვა ტიპების წრეები და სხვ.) უკეთეს ნიადაგზე დაყენებას.

მაგრამ ამით ყველაფერი არ არის ნათქვამი, ვინაიდან პარტია, ითვალისწინებს რა უპარტიოთა მნიშვნელოვანი ფენების ლტოლვას თვითგანათლებისაკენ, მიზნად ისახავს უპარტიოთა ჩაბმას პოლიტგანათლების სკოლებში და წრეებში. როგორ უნდა იქნას განხორციელებული პარტიის ეს დირექტივა თბილისის ორგანიზაციაში?

თბილისის კომიტეტის გეგმა

თბილისის კომიტეტის გეგმა ითვალისწინებს: 1) მთლიანი პარტსკოლების, 2) საღამოს საბჭოთა პარტიული სკოლის, 3) თეორეტიული საგნობრივი წრეების, 4) მიმდინარე პოლიტიკის წრეების, 5) ლენინიზმის წრეებს, 6) მუშა-პროპაგანდისტების კურსების, 7) აქტივის კურსების და 8) საღამოს კომ. უმაღლესი სასწავლებლების დაარსებას. ეს უშუალოდ პარტგანათლების ხაზით. გარდა ამისა, სწავლის შეძენის მსურველთა რაოდენობის მიხედვით მოეწყობა 1) პრაქტიკული საგნობრივი კურსები ჩვენი მუშაობის ცალკე დარგების (კოოპერაცია, წარმოების რაციონალიზაცია, საბჭოთა მუშაობა და სხ.) შესასწავლად; 2) თემატიური კურსები მარქსიზმ-ლენინიზმის ც. ლ. კე საკითხების (თემების) დასამუშავებლად (მაგალითად, ეროვნული საკითხი, პროლეტარიატის დიქტატურა და სხ.) ასეთივე თემატიური წრეები შეიქმნება ლიტერატურული პრობლემების—კინოს, რადიოს, პარტიის სამხატვრო პოლიტიკის და სხ. მთელი რიგი საკითხების დასამუშავებლად.

ცალკე უნდა შევჩერდეთ აგიტწრეების საკითხზე, რომელთა მოწყობა განზრახულია. ამ წრეებს, ალბად, საფუძვლად დაედება საწარმოო პრინციპი. ამ აგიტწრეებში იმეცადინებენ ის ამხანაგები, რომლებიც ინდივიდუალურ აგიტაციას ეწევიან, აგიტატორები და პარტორგანიზატორები, რომელთაც აქვთ პოლიტმომზადება მთლიანი სკოლის ფარგლებში. იმ აგიტკურსებზე, რომლებიც რაიკომებთან უნდა მოეწყოს, იმეცადინებენ პარტიის წევრები, რომლებსაც ნორმალური სკოლა აქვთ გავლილი და რომელთაც სურთ სააგიტაციო მუშაობის წარმოება. ვინაიდან აუცილებელია ადგილობრივი მომხსენებლების მომზადება, აგიტატორების კოლექტივებმა მუშაობა უნდა აწარმოონ იმ ამხანაგებთან, რომლებსაც გამოცდილება აქვთ ქვედა საფეხურის კრებებზე მოხსენებით ან სიტყვით გამოსვლის მხრივ.

როგორ მოეწყობა პარტგანათლების ქსელი?

თვით აპარატში (თბილისის კომიტეტი და რაიკომი) დასახული საორგანიზაციო-მოსამზადებელი ხასიათის მუშაობა უკვე დამთავრებულია. ეხლა პარტგანათლების ქსელის გაშლამდე (ვადები 10 სექტემბერი—10 ოქტომბერი) ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ვაწარმოოთ აგიტაცია პარტსწავლებისათვის (პრესა, კედლის გაზეთები და სხვა) ამ მიზნით საჭიროა დაჩქარება, ვინაიდან თვით პარტქსელის გაშლამ, რომელიც დიდ ენერგიას მოითხოვს, შეიძლება დაჩრდილოს სააგიტაციო მუშაობის საკითხები.

ზოგიერთი ცნობებიდან სჩანს, რომ მოსალოდნელია დაგვიანებით იქნას შედგენილი და გადმოგზავნილი საკვალიფიკაციო კომისიების მიერ შემოწმებულთა სიები. რაიონები და საკვალიფიკაციო კომისიები მთელი ძალღონით უნდა შეეცადონ, რომ ეს საქმე არ დაგვიანდეს. არ უნდა დავივიწყოთ წარსული წლების გამოცდილება, უნდა გვახსოვდეს, რომ მთელი ჩვენი ნაკლოვანებანი გამოწვეულია საქმის საორგანიზაციო-ტეხნიკური მხარის გაუთვალისწინებლობით (სკოლების მოწყობა, შენობები, ხელმძღვანელთა შემადგენლობა, საჭირო სახელმძღვანელოები და ხელსაწყოები სკოლების და წრეების კონტროლი უჯრედების მხრივ და სხ.). ამიტომაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საორგანიზაციო მხარეს ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურადღება აღარ უნდა მიექცეს საპროგრამო-მეთოდიური ხასიათის საკითხებს, ეხლა, როცა ჩვენ დავადექით ნებაყოფლობითი პრინციპს, შორშინდელმა მეცდომებმა შეიძლება დიდი ზიანი მოგვაყენოს და ჩვენ ჩვეულებად გადაგვექცევა საქმეების მოუგვარებლობა პარტგანათლების ფრონტზე. ობიექტიურ პირობებს გადავაბრალოთ, (საშემოდგომო პერიოდი და სხ.) თბილისის კომიტეტის პლენუმმა, (რომელიც ამ დღეებში შეიკრიბება) კატეგორიულად უნდა მიუთითოს ადგილებს, რომ თავის დროზედ მოემზადონ ამ მუშაობისათვის.

ა. ოსიპოვი.

„26 კომუნარის“ რაიკომის პლენუმი

16 აგვისტოს შესდგა 26 კომუნარის სახელობის რაიონული კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომლის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: სესხის რეალიზაცია, საკანდიდატო შემადგენლობის შემოწმების შედეგები და საშემოდგომო კამპანიის მსვლელობა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა—ამხ. **ფანცხავამ**, რომელმაც დაწვრილებით გააშუქა ამ სესხის მნიშვნელობა.

მოხსენებასთან ერთად წაკითხულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ცირკულიარი, რომელიც მოუწოდებს პარტიის ყველა წევრს აქტიური მონაწილეობა მიიღოს, როგორც მოსამზადებელ, ისე თვით რეალიზაციის კამპანიაში. მოხსენების გარშემო შემოვიდა მრავალი შეკითხვა—უმთავრესად მუშების მხრივ,—რომლებზედაც მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა.

პლენუმმა ამოირჩია სესხის გავრცელებისათვის ხელის შემწყობი სარაიონო კომისია, მიცემულ ძირითად დირექტივების გარდა პლენუმმა დაავალა რაიონული კომიტეტის პრეზიდიუმს გამოიმუშაოს კონკრეტული და პრაქტიკული გეგმა ამ კამპანიის ჩასატარებლად.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. **ალამიანის** მოხსენება—საკანდიდატო შემადგენლობის შემოწმების შედეგებზე.

შემოწმებულ იქნა 97 კანდიდატი—ამბობს ამხ. ალამიანი. ამათ გარდა შესამოწმებელია კიდევ 25 კანდიდატი, რომელნიც ვერ იქნენ შემოწმებული გამოუცხადებლობის გამო. შემოწმებულთა საერთო სარაიონო შემომწმებელმა კომისიამ გამორიცხა პარტიიდან 29 კაცი, რაც შეადგენს მთელი საქ. შემადგენლობის 30 პროცენტს. ამ რიცხვში შედის 6 ქალი და 5 კომკავშირელი, კომისიამ გაუგრძელა საკანდიდატო სტაჟი 5 კანდიდატს და 19 კანდიდატს მისცა პოლიტიკურად მომზადების წინადადება. ამ რიგად პარტიული სასჯელი შეეფარდა 53 კაცს. გაწმენდის შემდეგ პარტიაში დასტოვეს 44 კაცი., ე. ი. 40 პროცენტი. გამორიცხულთა რიცხვიდან 10 კაცი გამორიცხეს, როგორც პარტიისათვის და საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო ელემენტი.

შემოწმებამ გამოააშკარავა საკანდიდატო შემადგენლობასთან მუშაობის ნაკლი, რაც უმთავრესად შემდეგში მდგომარეობს.

კანდიდატებთან მუშაობა უჯრედებში ვერ არის სათანადოდ დაყენებული. ასე მაგალითად, იმ კანდიდატების რიცხვი, რომლებიც სრულიად არ არიან მუშაობაში ჩაბმული 33 პროცენტს შეადგენს, ხოლო სუსტად ჩაბმულთა რიცხვი—11 პროცენტს.

ზოგი უჯრედი არ დაინტერესებულა თავის კანდიდატების შესწავლის საკითხით და კანდიდატების ჩაბმა უჯრედის საზოგადოებრივ მუშაობაში უმთავრესად სტიქიურად, უგეგმოდ და არა მწყობრად სწარმოებდა. ჰქონდა ადგილი კანდიდატების არა სწორ გამოყენებასაც მუშაობაში, მაგალითად. ზოგან საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ პარტიის კანდიდატები და სხვ.

არ არსებობდა საზღვარი პარტიის წევრთა და კანდიდატებს შორის. ბევრ ადგილას უჯრედებმა თითქმის დაივიწყეს, თუ რისთვისაა დაწესებული საკანდიდატო სტაჟი.

გამოაშკარავდა, რომ კანდიდატების 62 პროცენტი პოლიტიკურად მოუმზადებელია ან სუსტად არის მომზადებული, 34 პროცენტს აქვს საშუალო პოლიტიკური ცოდნა და 4 პროცენტი (ყველა კომკავშირის წევრია) კარგად არის მომზადებული.

ამხ. ალამიანის მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. მატევოსიანმა, ვანო სტურუამ, მოსეხოვმა, ჩიხლაძემ და საჯაიანმა.

პარტია არ არის „საწველი“ ფური—ამბობს ამხ. ვანო სტურუა,—ზოგი ფიქრობს, რომ პარტია ვალდებულია დაეხმაროს მას, თვითონ კი არაფერს აკეთებს პარტიისათვის. ჩვენ გავსწმინდეთ ჩვენი პარტია ჩვენთვის უცხო ელემენტებისაგან და მუდამ ვადევნებთ თვალ ყურს, რომ ჩვენი პარტია ბრძოლით წმინდა იყოს.

დასასრულ პლენუმმა მოისმინა მოხსენება საშემოდგომო კამპანიის მსვლელობის შესახებ.

ხ. თარხანოვი.

ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის გავრცელებისათვის

(ქალაქის რაიონი)

21 აგვისტოს გაიმართა საქართველოს კომ. პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის უჯრედების მდივნების თათბირი საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების ფრაქციების თანდასწრებით.

თათბირმა მოისმინა ამხ. **გარბაჩევის** მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ.

მომხსენებელი შეეხო ინდუსტრიალიზაციის ახალი სესხის ობლიგაციების გავრცელების მნიშვნელობას და აღნიშნა ამ სესხის მიზანი.

კამპანიის ჩატარების დროს—სთქვა ამხ. გორბაჩევმა,—აუცილებელია არა მარტო აგიტაცია, არამედ პრაქტიკული მუშაობა. თათბირზე შეკრებილმა აქტივმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს სესხის რეალიზაციის საქმეში.

ფართო მასებს უნდა განემარტოს შეღავათები, რომლებიც მათ ეძლევა სესხზე ხელის მოწერის დროს ობლიგაციის საფასური გადასახდელი იქნება 8 თვის განმავლობაში. ამგვარად, მშრომელებს გაუადვილდება დაეხმარონ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება შემდეგს:

სამეულებმა (კომისიები), რომლებიც ადგილებზე იქნება არჩეული, ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური იმას, რომ სესხზე ხელის მოწერა გამოიხატოს არა მარტო დადგენილებაში, არამედ ამ დადგენილების ფაქტიურად გატარებაში.

ამ სამეულებმა, რომლებშიაც ადმინისტრაციის, ადგილკომის და უჯრედის წარმომადგენელი შევლენ, ადგილებზე უნდა ჩაატაროს მთელი ტეხნიკური მუშაობა. აქ, რასაკვირველია მთელი პარტიული მასის აქტიური დახმარებაც არის საჭირო.

მომხსენებელს მისცეს მთელი რიგი შეკითხვები, რომლებიც უმთავრესად დაკავშირებული იყო სესხზე ხელის მოწერის გატარების ტეხნიკურ პირობებთან.

შემდეგ დამატებითი მოხსენება გააკეთა ამხ. ტინტიკოვმა. მოხსენება შეეხებოდა ობლიგაციების გავრცელების ტეხნიკას. ამხ. ტინტიკოვმა აღნიშნა, რომ პარტიის ყოველი წევრი და კანდიდატის მოვალეობაა—მოაწეროს ხელი სესხზე და ამით მაგალითი უჩვენოს უპარტიო მასას. მაგრამ პარტდღეს ყველა უჯრედებში კომკავშირელებთან ერთად უნდა იქნას დამუშავებული სესხის საკითხი.

საერთო კრებაზე არჩეულ იქნება ზემოდ აღნიშნული სამეული პლიუს ორი კანდიდატი მუშებისაგან. ამ კომისიამ უნდა იმუშაოს ხელმოწერის მთელი თანხის საბოლოო შეგროვებამდე.

სესხზე ხელის მოწერა პარტიის წევრებისა და კომკავშირელებისათვის სავალდებულოა.

დიდი როლი უნდა ითამაშონ ადგილებზე კედლის გაზეთებმა, რომლებშიაც სესხზე ხელის მოწერის დროს უნდა დაიწყოს კამპანია.

დასასრულ სხდომამ მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი, რომლებიც შეეხებიან სესხზე ხელის მოწერის კამპანიის გატარების ტეხნიკურ საკითხებს.

შემდეგ არჩეულ იქნა სესხის გავრცელებისათვის ხელისშემწყობი სარაიონო კომისია პარტიული, პროფესიონალური და კომკავშირის ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

თათბირმა მიზანშეწონილად სცნო კამპანიის დაწყება 27 აგვისტოდან.

ფულის აკრეფის დაწყების ვადა კი უნდა დაწესებულ იქნას ადგილობრივი პირობების მიხედვით.

დასასრულ თათბირმა განიხილა რაიონში მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებების ჩატარების კალენდარული გეგმა.

გეგმის თანახმად კამპანია დაიწყება 27 აგვისტოდან. კრებები ყოველ დღე 5 პუნქტში გაიმართება.

გერმანიის წითელ ფრონტელთა დელეგაცია თბილისში

გუშინ გერმანიის წითელ ფრონტელთა დელეგაციამ მთელი შემადგენლობით და ადგილობრივ პროფმუშაკების თანხლებით დაათვალიერა ლენინის სახელობის ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგური. დელეგატებს ახსნა-განმარტებას აძლევდნენ სადგურის სპეციალისტები.

ნაშუადღევს დელეგაციის ნაწილი ათვალიერებდა ქალაქს, დანარჩენები კი გაემგზავრნენ კოჯორში.

საღამოს დელეგაცია ესტუმრა ამხ. ორჯონიკიძის სახელობის რკინის გზელთა კლუბს. დღეს დელეგატები დაათვალიერებენ ამხ. სტალინის სახელობის მთავარ სახელოსნოებს. დღის 1 საათზე საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში დანიშნულია კავშირების ცენტრალურ გამგეობათა თავმჯდომარეების და ფაბქარხადგილკომების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა გერმანიის წითელ ფრონტელთა დელეგაციასთან ერთად.

სხდომაზე გაიმართება საუბარი დელეგატებსა და ადგილობრივ პროფმუშაკებს შორის.

რესპუბლიკანური საგეგმო თათბირი

გუშინ სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნა რესპუბლიკანური საგეგმო თათბირი, რომელიც მოწვეულია სასოფლო მეურნეობის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის პირველი ვარიანტის განსახილველად. თათბირზე მონაწილეობას იღებენ სამაზრო ორგანოების და გლეხების აქტივის წარმომადგენელნი. გარდა ამისა თათბირზე მოწვეულნი არიან ცენტრალურ ორგანოების (კომისარიატების) და ადგილობრივი მეცნიერული ძალების წარმომადგენელნი. თათბირი გახსნა საქართველოს სახკომსაბჭოს, თავმჯდომარემ ამხ. ლ. ქართველიშვილმა.

ამხ. ქართველიშვილის სიტყვა

ხანამ მუშაობას შევუდგებოდეთ—სთქვა ამხ. ქართველიშვილმა,—მე მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი თათბირის მოწვევა პირველი ცდა არის ჩვენს სინამდვილეში. თუ რა შედეგს მოგვცემს ეს თათბირი, ამას დავინახავთ მისი მუშაობის დამთავრების შემდეგ.

ამ დღეებში მაზრებში ჩატარებულ საგეგმო თათბირებს ექვს გარეშეა ჰქონდათ ნაკლი, ვინაიდან მასალები მაზრებს გაეგზავნათ დაჩქარებით და ძალიან მცირე დრო დარჩათ ამ მასალების შესასწავლად, რომ სათანადო შესწორებანი შეეტანათ ჩვენს ნამუშევარში. მიუხედავათ ამისა თათბირებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ. ჩვენ პირველად ვცადეთ და ჩვენი ნამუშევარი გადავიტანეთ მასაში. ამ რიგათ სასოფლო მეურნეობის გეგმის შედგენაში ჩვენთან ერთად უშუალო მონაწილეობას იღებენ ადგილებზე მომუშავე ამხანაგები და გლეხობის მთელი აქტივი, რომელიც საქმეში უდგას ამ მეურნეობას, დაახლოვებით იცნობს მის ჭირ-ვარამს და უფრო ნათლად შეუძლია ასახოს ჩვენი სასოფლო მეურნეობის საჭიროება-მოთხოვნილებები.

ჩვენ მიერ შემუშავებული გეგმა გლეხობისათვის, უნდა გადაიქცეს აუცილებელ პროგრამათ. ხუთწლიანმა პერსპექტიულმა გეგმამ უნდა მოგვცეს რეალური საშუალებები აღვნუსხოთ ის გზები, რომლებითაც ჩვენ გვინდა წავიყვანოთ ჩვენი სოფელი. ამ მუშაობის მთავარი მიზანი არის ჩვენი სოფლის გარდაქმნა ახალი ცხოვრებისათვის.

სასოფლო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შემოწმების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, თუ რამდენათ ზომიერათ არის გათვალისწინებული მასში ჩვენი სოფლის განვითარება იმ გზით, რომელსაც მივყავართ მთავარ მიზნისაკენ. ჩვენი მიზანია რაც შეიძლება მეტი კულტურული გაუმჯობესება შევიტანოთ სოფელში, რომელიც ამ მხრივ ძალიან ჩამორჩენილია. თამამად უნდა გავაცხადოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენი მეცნიერული მუშაობა მეტად დაშორებულია სოფლის მეურნეობას და სოფელი მთლიანად ჯერ იყენებს მეცნიერების მიღწევებს. ჩვენი ვალია სას.-სამ. მეცნიერების მიღწევები გავხადოთ სოფლისთვის მისაწვდომად. უნდა მოვახდინოთ სამეცნიერო ძალების დაახლოვება სასოფლო-მეურნეობასთან.

გლეხობა არის სოფლის მეურნეობის მთავარი ძალა და მისი პრაქტიკული ორგანიზატორი, მეცნიერება კი წყაროა სოფლის მეურნეობის კულტურულად მოწყობისა და მხოლოდ ამ ორი ძალის შორის დამყარებული კონტაქტი იქნება ჩვენი მამაპაპურათ მოწყობილი სოფლის კულტურულად გარდაქმნის უტყუარი თავდები.

შემდეგი საკითხი, რომელსაც მე მინდა შევეხო, არის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

ამხანაგებო! კოლექტივიზაცია არის ის გზა, რომელიც სოფლის ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობას გამოიყვანს უმწეო მდგომარეობიდან და წაიყვანს სოციალისტური გზით. მართალია ჩვენ შევქმენით კოლმეურნეობათა ცენტრი და ცოტა რამ გავაკეთეთ ამ დარგში, მაგრამ ეს უმნიშვნელო რამ არის სასოფლო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას დათმობილი უნდა ჰქონდეს საპატიო ადგილი. და გეგმის განხილვის დროს ამ საკითხს უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება.

შემდეგ ამხ. ქართველიშვილმა აღნიშნა, რომ გეგმის შედგენაზე არა ნაკლებ ამოცანას შეადგენს ამ გეგმის პოპულარიზაცია, რომ გლეხობამ შეითვისოს გეგმაში დასახული პირობები და თავისი მუშაობა შეუფარდოს მათ.

დასასრულ ამხ. ქართველიშვილმა მოუწოდა თათბირის მონაწილეთ გეგმის განხილვას შეუდგენ სალი, საქმიანი და დაურიდებელი კრიტიკით.

დღის წესრიგის დამტკიცების და რეგლამენტის შემუშავების შემდეგ მოსმენილ იქნა საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ა. კვირიკაძის მოხსენება სასოფლო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი საპერსპექტივო მთლიანი გეგმის შესახებ.

ა.-კ. ფინმუშაკთა თათბირი

ამიერ-კავკ. ფინმუშაკთა და დაწესებულებების პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა თათბირის მესამე სხდომაზე მოსმენილი იქნა ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სახელმწიფო სესხების განყოფილების გამგის ამხ. **ირიცფუხოვის** მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის სარეალიზაციო კამპანიის მეთოდების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე კამპანიაში მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული წინა კამპანიებში შეძენილი გამოცდილება. სააგიტაციო კამპანია ფართოდ უნდა გაიშალოს ამიერ-კავკასიაში.

არც ერთი უბანი და არც ერთი სოფელი არ უნდა იქნეს დატოვებული ჩვენი ყურადღების გარეშე. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს აპარატის შექმნას. ყველა რაიონებში უნდა მოეწყოს რეალიზაციის ხელის შემწყობი კომისიები, რომლებმაც ცოცხალი კავშირი უნდა იქონიონ თავის ცენტრებთან და ამრიგად ყველა სოფელსა და ცენტრს შორის გაბმული უნდა იქნეს მტკიცე კავშირი.

ადგილებზე, გლეხებთან და მუშებთან სისტემატიურად უნდა იმართებოდეს საუბრები სესხის შესახებ და არ უნდა დარჩეს არც ერთი მოქალაქე, რომელსაც ნათელი წარმოდგენა არ ექნება ჩვენს სახელმწ. სესხების შესახებ. მომხსენებლები ადგილებზე დაეგზავნებიან სისტემატიურად. როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში თვითეულ უბანზე მომაგრებული უნდა იქნეს ინსტრუქტორი, რომელმაც წინასწარ უნდა გაიცნოს თავისი უბანი და გამოარკვიოს ამ უბანში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა და მოქალაქეთა რაოდენობა და მათი ეკონომიური შესაძლებლობა. თუ წინა კამპანიებში მთავარი ყურადღება მუშა-მოსამსახურეებზე იყო მიქცეული, მიმდინარე კამპანიაში სესხში ჩაბმული უნდა იქნეს მოსახლეობის ყველა ფენები და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელმაც წინა კამპანიებში მიიღო შედარებით ნაკლები მონაწილეობა. ამასთანავე მიღებული უნდა იქნეს გადამჭრელი ზომები, რომ რეალიზაცია სწარმოებდეს ყოველგვარ იძულებითი ზომების გარეშე. სააგიტაციო კამპანიაში გამოყენებული უნდა იქნეს მთელი ადგილობრივი საბჭოთა საზოგადოებრიობა და განსაკუთრებით ფაბრიკა-ქარხნების და ადგილკომების დელეგატები. კოლექტიურად ხელის მოწერის მომწყობი კომისიის წევრები დეტალურად უნდა იცნობდნენ სესხის საკითხებს და მუშაობის პროცესში პასუხი უნდა მისცენ ყველა იმ საკითხებზე, რომლებიც აინტერესებს ხელის მომწერს.

შეუძლებელი იყო ჯავშნისანის აგებისათვის რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ადგილებიდან ჩამოსულმა და ადგილობრივმა ამხანაგებმა. დასასრულ რეზოლიუციების და პრაქტიკულ ღონისძიებათა გამოსამუშავებლათ გამოყოფილი იქნა კომისია, რის შემდეგაც თათბირი დაიხურა. კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლიუციები და პრაქტიკული ღონისძიებები დაეგზავნებათ ადგილებს.

წითელი ჯვრის საზოგადოების ცეკას პლენუმი

გუშინ, საღამოს გაიხსნა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცეკას პლენუმი. სხდომა გახსნა წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ მამალაძემ.

პლენუმმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი.

1. მოხსენება განვლილი საქმიანობის შესახებ, 2. მოხსენება ფინანსიური მდგომარეობის შესახებ, 3. საორგანიზაციო საკითხები, 4. სამედიცინო მოწყობის საკითხი, 5. მიმდინარე საკითხები.

მოხსენება განვლილი საქმიანობის შესახებ გააკეთა წითელი ჯვრის სამკურნალო განყოფილების გამგემ ამხ. **იაკობაშვილმა**. შეაფასა წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდიუმის მოქმედებას საორგანიზაციო დარგში, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წითელი ჯვრის ორგანიზაციებს, რომლებიც შემოღებული იყო სამეურნეო სახით, არ აღმოაჩნდათ სასიცოცხლო უნარი, რის გამოც ისინი გაუქმებულ იქნა და მათ მაგივრად შემოღებულ იქნა კოლექტივების შექმნის სისტემა. წითელი ჯვრის კოლექტივების რიცხვი თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში და დაწესებულებებში უდრის 10. ასეთივე კოლექტივები დაარსდა წითელი ჯვრის ადგილობრივ განყოფილებებშიაც. საორგანიზაციო განყოფილებასთან დაარსებულ იქნა კოლეგია, რომელიც იხილავდა ყველა კომიტეტების ანგარიშებს, ოქმებს, გამოკვლევის შედეგებს, ამუშავებდა სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხებს და იღებდა შესაფერ ღონისძიებებს. რამდენიმე წლის განმავლობაში გამორკვეული არ იყო წითელი ჯვრის წევრთა ნამდვილი რაოდენობა. საორგანიზაციო განყოფილება შეეცადა აეშორებია ეს ნაკლი, რისთვისაც სათანადო ზომები მიიღო (საღრიცხვო ბარათების დაგზავნა და სხ.). წევრთა აღრიცხვის კამპანია ჯერ-ჯერობით დამთავრებულად არ ჩაითვლება, ხოლო მიღებული ცნობების მიხედვით საზოგადოებას ჰყავს 39.762 წევრი. საანგარიშო პერიოდში დაარსებულ იქნა წითელი ჯვრის ორი ახალი სამაზრო ორგანიზაცია—ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაობას მოსახლეობის გასამხედროების დარგში. საზოგადოების პრეზიდიუმმა მოაწყო პირველი დახმარების წრეები და რაზმები. სულ დღემდე საზოგადოებამ მოაწყო 156 პირველი დახმარების წრე. საანგარიშო პერიოდში პრეზიდიუმმა მოახდინა ფილიალების გამოკვლევა, რომლითაც გამოაშკარავდა მთელი რიგი დეფექტები ადგილობრივი კომიტეტების მუშაობაში. ამ დეფექტების უმთავრესი მიზეზია ის, რომ კომიტეტები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ და ზოგჯერ სრულებითაც არ ასრულებდნენ ცენტრის დირექტივებს, ცირკულიარებს და ინსტრუქციებს.

პრეზიდიუმმა თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარა სასანიტარო-საექიმო დარგში. მან მთავარი ყურადღება მიაქცია საექიმო-სასანიტარო პუნქტების უზრუნველყოფას ავეჯით-ინვენტარ-ინსტრუმენტებით, სანიტარული დაწესებულებების შენობების გაუმჯობესებას და საექიმო პერსონალის ადგილობრივი საცხოვრებელი პირობების განმტკიცებას. პრეზიდიუმმა ყურადღება მიაქცია სასანიტარო-საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარებას ლექციების, ბასების და სხ. საშუალებებით.

საქართველოს წითელი ჯვრის ცეკა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში მთლიანად თავის ხარჯზე ინახავს 13 საექიმო პუნქტს. საანგარიშო პუნქტების სრული ინვენტარიზაცია და საპუნქტო ინსტრუმენტებით მოწყობა. ინტენსიური მუშაობა ჩაატარა წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურმა სააფთიაქო საწყობმა, მან დაამზადა და გასცა საექიმო პუნქტებისათვის საჭირო მედიკამენტები და მასალა.

ამხ. იაკობაშვილის მოხსენების შემდეგ კრებამ მოისმინა ამხ. **მირიანაშვილის** მოხსენება ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა წითელი ჯვრის საზოგადოების მწვავე ფინანსიური მდგომარეობა. პრეზიდიუმი შეეცადა მიეღო ზომები ფინანსიური კრიზისის თავიდან ასაცილებლად. მან მოახდინა ხარჯების შემცირება აპარატის შტატის შემოკლებით და სხვა გზით. პირველი ნახევარი წლის განმავლობაში შემოსავალი ნავარაუდევი იყო 204.518 მანეთის რაოდენობით. შემოვიდა 171.449 მანეთი. გასავალი პირველ ნახევარ წლისათვის ნავარაუდევი იყო 204.518 მანეთი, დაიხარჯა 162.067 მანეთი.

მოხსენების მოსმენის შემდეგ მომხსენებლებს მისცეს შეკითხვები, რის შემდეგაც სიგვიანის გამო კრება დაიხურა.

პლენუმის შემდეგი სხდომა დანიშნულია დღეს დილის 10 საათზე.

პრობკის ხის გაშენება

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო სამმართველოში შესდგა სპეციალისტების თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საქართველოში პრობკის ხის გაშენების საკითხი. „პრომბიზოლი“-ს ტრესტის წარმომადგენელმა პროფ. ე. კერიმ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ საქართველო თავისი ბუნებით და ნიადაგით ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს პრობკის ხის განსავითარებლად. მსოფლიოს მოთხოვნილება პრობკაზე გამოიხატება 250.000 ტონაში, ხოლო პრობკის ეს რაოდენობა მოდის 2 მილიონ ჰექტარ მიწაზე. საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად იხარჯება—12.000 ტონა პრობკა. ამ რაოდენობიდან საზღვარგარეთიდან ყოველწლიურად შემოდის 2.000.000 მან. პრობკა.

პრობკის ხის გასაშენებლად ჩატარებული იქნა ცდები ყირიმში, აფხაზეთში და საქართველოში (ბორჯომის აგარაკსა და ქუთაისის მაზრაში). ამ ცდებმა დადებითი ნაყოფი გამოიღეს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ შესაძლოა ეს კულტურა აქ გაშენებული იქნეს სამრეწველო მიზნით.

„პრომბიზოლ“-ს განზრახული აქვს პრობკის ხე გააშენოს საქართველოში, აფხაზეთში, და აჭარისტანში, რა მიზნითაც „პრომბიზოლ“-ს მიღებული აქვს 500.000 მანეთი. ამ თანხით უახლოეს ათი წლის განმავლობაში განზრახულია პრობკის ხის გაშენება 25.000 აქედან საქართველოში პრობკის ხე გაშენებული იქნება—4.000 ჰექტარის სივრცეზე. პრობკის პირველი მოსავალი მოსალოდნელია 15 წლის შემდეგ. პრობკის ხის კულტურის შემოსავლიანობა ჰეკტარზე დაახლოვებით ნავარაუდევი უნდა იქნეს 40 მან. რაოდენობით.

ვინაიდან პრობკის ხის გაშენებას საქართველოს სახალხო მეურნეობისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა და ამ კულტურის გასაშენებლად საქართველოში არის ხელსაყრელი პირობები, თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ პრობკის ხე გაშენებული იქნეს როგორც ქუთაისის მაზრაში, ისე სხვა ადგილებზე.

მუშკორთა თათბირი რედაქციაში

დღეს, 23 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე რედაქციაში მოწვეული არიან: „კომუნისტი“-ს მუშკორთა ბიურო და გარდა ამისა შემდეგი ამხანაგები ნ. ასლამაზაშვილი, ს. დოლიძე, ვ. ბარბაქაძე, ი. გოგიბერიძე, ი. ჯავახიშვილი, უ. ჯაში, ს. ხიდისთაველი, მთვრალაშვილი, ა. უმბრიევი, ფ. მესხიძე და ტალიკაძე.

ხსენებულ ამხანაგებს ვთხოვთ დროზე და გამოუკლებლივ გამოცხადდნენ.

ამხ. ს. ხმალაძის დანიშვნა

საქართველოს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის დადგენილებით. თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების ყოფილი უფროსი ამხ. **სიმონ ხმალაძე** დანიშნულია საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარიატის ადმინისტრატიულ სამმართველოს უფროსად და რესპუბლიკის მილიციის უფროსად.

ა.-კ. ცაკში

საავტორო უფლებების საფუძვლები

ა. კ. ცაკის უკანასკნელ სხდომაზე განხილული იქნა საავტორო უფლებების საფუძვლები. რესპუბლიკანურ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მიეცათ სამოქალაქო პროცესუალურ კოდექსში შეტანონ წესები რომლის თანახმად საავტორო ჰონორარის ამოგების წესი გათანაბრებული უნდა იქნეს მუხლები, რომლებშიაც საავტორო სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ უნდა იქნე მუხლები, რომლებშიაც საავტორო უფლებების დარღვევის წინააღმდეგ გათვალისწინებული უნდა იქნეს სოციალური დაცვის ღონისძიებები.

გარდა ამისა დამტკიცებული უნდა იქნეს რომ ამიერ-კავკასიაში საავტორო უფლება ყოველგვარ ნაწარმოებზე შეიძლება იძულებით იქნეს გამოსყიდული როგორც ადგილობრივ აგრეთვე ცენტრალური ხელისუფლების მიერ.

წითელი გვარდიელები და წითელი პარტიზანები

ა. კ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ სახ. კომისართა საბჭოებს გამოსცენ დადგენილება. ყოფ. წით. გვარდიელების და ყოფილ წითელ არმიელების გამორკვევის შესახებ. ყოფილ წითელ არმიელებად უნდა ჩაითვალონ მხოლოდ ის პირნი, რომლებიც მსახურობდნენ წითელ გვარდიაში წითელ არმიის დაარსებამდე და წარმოადგენენ ამის შესახებ საბუთებს ან იმ ორგანიზაციების მოწმობას რომლების მიერაც იყო მოწყობილი ის რაზმი, რომელშიაც მსახურობდა აღნიშნული პირი.

ყოფილ წითელ პარტიზანებათ ჩაითვლებიან ის პირნი რომლებიც ნამდვილად მსახურობდნენ წითელ პარტიზანების რაზმებში ან კავშირი ჰქონდათ გაბმული ასეთ რაზმებთან. ასეთმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ან თვით რაზმის მიერ გაცემული დამამტკიცებელი საბუთები ან იმ ორგანიზაციის ცნობა რომლის მიერაც მოწყობილი იყო პარტიზანების რაზმი, რომელშიაც აღნიშნული პირი მსახურობდა.

სესხის რეალიზაციისთვის ხელის შემწყობი კომისია

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციისთვის ხელის შემწყობი ა. კ. ცენტრალური კომისია ა. კ. ცაკის მიერ დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. შ. ელიავა (თავმჯდომარე), მ. გუსეინოვი (თავმჯდომარის მოადგილე), ხ. იაკუბოვი, კ. ჩხენკელი, ე. ფენკინი, ა. ნაზარეტიანი, ა. ფეხლუა და ს. ამბარცუმიანი.

საქ. ცაკში

საბჭოების წევრ-ქალთა კურსების გამოშვება

ა. წ. 25 აგვისტოსათვის დანიშნულია საბჭოების წევრ-ქალების მოსამზადებელ კურსების გამოშვება. კურს დამთავრებულნი საბჭოების მომავალ გადარჩევის დროს წამოყენებული იქნებიან თემალმასკომების თავმჯდომარეებათ. აღნიშნულ კურსებს ამთავრებს სულ 39 ქალი, მათ შორის 1 მეცადინეობდა აზერბეიჯანის ცაკთან არსებულ კურსებზე ორი სომხეთში, დანარჩენები კი საქართველოში.

შრომის გმირები

ს. პ. კ. ს. შუამდგომლობის თანახმად საქ. ცაკის პრეზიდიუმმა შრომის გმირების სახელწოდება მიანიჭა შემდეგ პირებს: ივანე კარლოს ძე კოვალსკის, ნიკოლოზ ვასილის ძე ვიგორნის, მარიამ ოტის ასულ ვირდოსანიძეს, ვლადიმერ იაკობის ძე როზენის, ასატურ გრიქუროვს და ილია კასაშვილს.

სამზადისი საბჭოთა არჩევნებისათვის

ცაკის საორგანიზაციო განყოფილება ამჟამად აწარმოებს საარჩევნო ინსტრუქციების და სტატფორმების წინასწარ დამუშავება-დათვალიერებას.

საბჭოების ვადამდე გადარჩევა

საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილება ამუშავებს საკითხს საქართველოს მთაგორიან ადგილებში საბჭოების ვადამდე გადარჩევის შესახებ, ვინაიდან ზამთრობით ამ ადგილებში შეუძლებელია არჩევნების ჩატარება.

ახალი დებულება გლეხთა სახლების შესახებ

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაავალა საორგანიზაციო განყოფილებას, გამოიმუშაოს პროექტი დებულებისა გლეხთა სახლების შესახებ, რომლითაც გლეხთა ცენტრალური სახლი მოვალე იქნება საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ავტონომიურ რესპუბლიკების და მაზრების გლეხთა სახლებს.

რადიო საბჭოების არჩევნებში

მომავალ საარჩევნო კამპანიის დროს რადიოთი ჩატარებული იქნება წინასწარი ახსნა-განმარტებანი და მოხსენებები საბჭოების არჩევნების შესახებ.

საქ. სახკომსაბჭოში

სატონო. ზამოსახლების განყოფილების მოწყობა ფინსახკომთან

სახკომსაბჭომ და ეკ. საბჭომ დამტკიცა ფინსახკომის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ფინსახკომთან საგადასახადო სამმართველოში 1928—29 წლიდან სატონო განყოფილების მოწყობის შესახებ.

ავჭალის მინის ქარხანა

ავჭალის მინის ქარხანა, სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს დადგენილებით, ტრესტ [illegible] გადაეცემა.

ამხ. ა. საჯაიანის დანიშვნა

საბჭოთა ფლოტის რწმუნებულად საქართველოში დანიშნულია ამხ. ა. საჯაიანი.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გამავრცელებელი ცენტრალური კომისია

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ორგანიზაციისა და წარმატებით ჩატარებისათვის, სახკომსაბჭომ გამოჰყო მთავრობის ცენტრალური კომისია ამხ. ლ. ქართველიშვილის (თავმჯდომარე), ლ. ლოლობერიძის, გ. მგალობლიშვილის, ა. ჟოჟიკაშვილის, პ. აღნიაშვილის, ნ. მაჩაბლის და ი. [illegible] შემადგენლობით.

მუშა-ხელის მოთხოვნის ფასი

სახკომსაბჭომ დაადგინა წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წარმოადგინონ შრომის სახ. კომისარიატს ცნობები ყოველი თვის 15 და 25 [illegible] შესახებ.

მეურნეულ სისტემის საუწყებათაშორისო კომისიის ლიკვიდაცია

სახკომსაბჭომ დაამტკიცა დადგენილების პროექტი ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ მეურნეულ სისტემის საუწყებათაშორისო კომისიის ლიკვიდაციის შესახებ.

საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის

საქართველოს ცაკის მოწოდება

ყველა საბჭოს და აღმასკომის წევრებს, გლეხებს, გლეხ ქალებს და მშრომელ ინტელიგენციას

ამხანაგებო!

დგება დრო საშემოდგომო თესვის კამპანიისა, ხოლო ზოგიერთ ადგილებში ეს კამპანია უკვე დაწყებულია.

ჩვენს მიზანს შეადგენს — ფართოდ და სავსებით იქნეს გამოყენებული ეს კამპანია საშემოდგომო ნათესების სივრცის გაფართოებისა და ჩვენი სასოფლო მეურნეობის ნაყოფიერების გაძლიერებისათვის.

გლეხებმა, გლეხ ქალებმა და სოფლის მთელმა მშრომელმა მოსახლეობამ ნათლად უნდა წარმოიდგინოს მიმდინარე საშემოდგომო თესვის კამპანიის მნიშვნელობა, **რომლის წარმატებით ჩატარება ნიშნავს სოციალისტური მშენებლობის გაფართოებას, რასთანაც დაკავშირებულია სოფლის უფრო სრული მომარაგება და უზრუნველყოფა არა მარტო სასოფლო მეურნეობისა, არამედ საჭირო სამრეწველო ნაწარმოებითაც.**

საზოგადოებრივი ყურადღების მობილიზაცია თესვის კამპანიის გარშემო და საორგანიზაციო და სააგიტაციო ღონისძიებათა თავის დროზე მიღება, **საგრძნობლად ხელს შეუწყობს ამ კამპანიის წარმატებით ჩატარებას, ნათესების სივრცის გაფართოებასა და გადიდებას როგორც რაოდენობით, ისე ღირსებით.**

ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებს **აუცილებლად მოეთხოვებათ მთელი მათი ძალღონისა, ცოდნისა და ენერგიის გამოჩენა არსებულ საშუალებათა გამოყენებისათვის, რათა დაეხმარონ გლეხობას აღნიშნულ თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ მიზნების წარმატებით განხორციელების საქმეში.**

იმის გარდა, რომ საკითხისადმი ფორმალურ - ბიუროკრატიულ მიდგომას უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა, აგრეთვე მთელი ენერგიით უნდა იქნეს გაძლიერებული ბრძოლა ისეთ მოვლენებთან, **როგორიც არის ამ კამპანიისათვის გადადებული სახსარის დაგვიანებით გაცემა, სისრულით ან თავის დროზე გამოუყენებლობა და არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ დახარჯვა.**

საჭიროა ფართოდ იქნეს გამოყენებული სოფლის კულტურული ძალები და მომზადდეს ღარიბებისა, მოჯამაგირეებისა და საშუალო გლეხობის საზოგადოებრივი აზრი, როგორც სათესლე მასალისა, ისე სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების რაციონალურად განაწილებისა და მოხმარებისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ერთხელ კიდევ აღნიშნავს ზემოხსენებული კამპანიის უაღრეს მნიშვნელობას და მოუწოდებს სოფლის მშრომელ მასებს კოლექტიურ ძალის მოკრებისა და შემოქმედებისაკენ ამ საკითხის გადასაჭრელად. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოაგონებს ყველას, რომ **საშემოდგომო თესვის კამპანია ჩატარებულ უნდა იქნეს იმ ლოზუნგის ქვეშ, რომ მიწები მთლიად დაითესოს საშემოდგომო თესვის პერიოდში გაუმჯობესებული თესლით და სასოფლო-სამეურნეო იარაღის გამოყენებით.** ამ კამპანიის სათანადოთ განხორციელება მოგვცემს კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას გაძლიერებულ იქნეს პროცესი სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობათა გაერთიანებისა შრომითი მწარმოებელ კოლექტივებში, რაც განთავისუფლებს მათ კულაკ-ექსპლოატატორების გავლენისაგან და დააყენებს სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

შემოდგომის ნათესების კონტრაქტაცია

შემოდგომის ნათესების კონტრაქტაციისათვის, ხორბლის დასათესი სივრცე ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში ათასი ჰექტარით განსაზღვრა. აქედან ბორჩალოს მაზრაში დაითესება—180 ჰექტარი, თბილისის მაზრაში—180 ჰექტარი, კახეთის მაზრაში—350 ჰექტ., გორის მაზრაში—200 ჰექტ., დუშეთის მაზრაში—30 ჰექტარი და ახალციხის მაზრაში—60 ჰექტარი. თვითეულ ჰექტარზე ავანსის სახით მიეცემა გლეხობას 12 მანეთი.

ამას გარდა ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ ნათესების კონტრაქტაციისათვის, საჭიროდ სცნო სათესი ქსელის გაწმენდა, აგროკულტურულ ზომების მაქსიმალურად გამოყენება და სხვა.

ამასთანავე აღიძრა შუამდგომლობა მიწსახკომის წინაშე, რათა ამ უკანასკნელმა შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა, თესლის საწმენდ პუნქტების მოსაწყობათ, სადაც დღემდე ანტი არსებობს.

„სოფლის კავშირ“-ს წინადადება მიეცა დაჩქარებით შეუდგეს ხელშეკრულებების დადებას ნათესების კონტრაქტაციის შესახებ სასამ. ამხანაგობებს ძირითად ქსელში.

მიწსახკომს ეთხოვა შეადგინოს სრული ინსტრუქცია სათესლე მასალის დამზადების შესახებ.

ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატს ეთხოვა, რათა ხელსაყრელ, კლიმატიურ პირობების გამო, შემოდგომის ნათესების კონტრაქტაციის ვადა გაგრძელებულ იქნეს 1-ლ ოქტომბრამდე.

იმ შემთხვევაში, თუ შემოდგომის ნათესების კონტრაქტაციის საქმე დადებითად მოგვარდა, ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატთან ერთად შემუშავდება საკითხი, დამატებით 6.000 ჰექტარის დათესვის შესახებ.

სამზადისი თბილისის მაზრაში

თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებაში ჩვენს თანამშრომელს შემდეგი ცნობები მიაწოდეს შემოდგომის თესვის კამპანიის მზადების შესახებ.

მაზრაში ამჟამად ინტენსიური მუშაობა სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების შესაკეთებლად. ამ საქმეს ასრულებს თბილისის მაზრის სამი სარემონტო სახელოსნო: ორი სტაციონალური სახელოსნო სავარეჯოსა და წალკაში და ერთი მოძრავი სახელოსნო, რომელიც სხვადასხვა რაიონში მუშაობს. მოძრავმა სახელოსნომ ეხლახან დაამთავრა მუშაობა ერწო-თიანეთის რაიონში, სადაც მან შეაკეთა გამჭრავებელი პუნქტების მთელი ინვენტარი და აგრეთვე გლეხთა ინვენტარი შეღავათიან ფასებში, ამჟამად სახელოსნო გადადის ასურეთ-ალბულაღის რაიონში.

სარემონტო სახელოსნოები უადვილებენ გლეხობას მანქ. შეკეთებას, ვინაიდან იმ რაიონებიდან, სადაც სახელოსნო არ არის, გლეხები იძულებულნი არიან ჩაიტანონ მანქ. და იარაღები თბილისში, ეს კი საკმაოდ ძვირად უჯდებათ. საადგილ-მამულო განყოფილების დაახლოებითი ვარაუდით მანქანებისა და იარაღის შეკეთება სარემონტო სახელოსნოებში 50—80 და ზოგჯერ 90 პროცენტითაც კი ნაკლები ჯდება, ვიდრე თბილისში ჩატანის დროს. საადგილ-მამულო განყოფილება ითვალისწინებს სარემონტო სახელოსნოების ასეთ მნიშვნელობას და შემოდგომიდან აპირებს კიდევ ორი სარემონტო სახელოსნოს გახსნას— ერთს ერწო-თიანეთის რაიონისათვის, მეორეს ასურეთ-ალბულაღის რაიონისათვის.

მაზრაში დაწყებულია მუშაობა სათესლე მარცვლეულის გასაწმენდათ. მარცვლეულის საწმენდ პუნქტებზე არსებული ყველა 25 ტრიერი შეკეთებულია და მუშაობა სწარმოებს სრული დატვირთვით. გლეხებმა შეიგნეს მარცვლეულის წმენდის მნიშვნელობა და სარგებლობა, ამიტომ ტრიერის საჭიროება დიდია.

რა მდგომარეობაშია კოლექტიურ და ღარიბ გლეხების მეურნეობათათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის საქმე?

ამ მხრითაც სათანადო ზომებია მიღებული. ღარიბი გლეხობის კრედიტით მომარაგების ფონდის ხარჯზე გაცემულია 55.000 მანეთი, აქედან უკვე განაწილებულია 15.000 მანეთი 21 კოლექტ. მეურნეობას შორის, ამჟამად კი ნაწილდება 40.000 მანეთი დანარჩენ 28 კოლექტიურ მეურნეობასა და ღარიბი გლეხების ინდივიდუალურ მეურნეობათა შორის. თანხების გაცემა სწარმოებს მეურნეობათა მოთხოვნილებებისა და მათი შეძლებლობის მიხედვით, საშუალოდ 25—80 მან. თვითეულ ჰექტარზე, ეს თანხები ხმარდება თესლისა, მუშა საქონლისა და სამუშაო იარაღების შეძენას.

მდინარე რიონზე ნაოსნობის ოფიციალური გახსნა

ორშაბათს, 20 აგვისტოს მოხდა ნაოსნობის ოფიციალური გახსნა მდინარე რიონზე. ამ დღეს მდ. რიონზე შალვა ელიავას სახელობის გემით იმოგზაურეს ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარემ ამხ. **შალვა ელიავამ**, ს. ს. რ. კ. წყალთა მიმოსვლის ცენტრალურ სამართველოს უფროსმა ამხ. **კ. ლეპინმა**, ამიერ-კავკასიის შინაგან წყალთა მიმოსვლის სამმართველოს უფროსმა ამხ. **პ. სპრინკველმა,** ქუთაისის და სენაკის სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეებმა და სხვებმა. იმავე დღეს ეგნატე ნინოშვილის სახელობის გემით მდინარე. რიონის სანაპიროებზე ჩამოიარეს პროფკავშირთა მრავალრიცხოვანმა ექსკურსიებმა ქალაქ ფოთიდან და ბათომიდან. სანაპიროებზე გემებს აღფრთოვანებით ხვდებოდა გახსნის დღისათვის საგანგებოდ შეკრებილი გლეხობა.

საუბარი ამხ. ტ. სპრინკველთან

მდ. რიონზე ნაოსნობის ოფიციალური გახსნის გამო, ჩვენი გაზეთის თანამშრომელს საუბარი ჰქონდა შინაგან წყალთა მიმოსვლის ამიერ-კავკასიის სამმართველოს უფროსთან ამხ. ტ. სპრინკველთან, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

— ფაქტიურად გემთა მიმოსვლა სამტრედიიდან ქალ. ფოთამდე უკვე თვენახევარზე მეტია, რაც სწარმოებს. ამ ხნის განმავლობაში საბოლოოდ და სავსებით გამოაშკარავდა მდ. რიონის, როგორც სანაოსნო მდინარის, ღირსებები. გამოირკვა, რომ ნაოსნობის პირობები სავსებით ნორმალურია და სანაოსნო მიმოსვლას ამ მდინარეზე ვერ დააბრკოლებს წყლის სიმაღლის ცვალებადობა წელიწადის ამა თუ იმ სეზონში. ამ ხანმოკლე დროის გამოცდილებაც ამტკიცებს, რომ ნაოსნობის აღდგენა მდინარე რიონზე ეკონომიურად სავსებით გამართლებულია. ის გემები, რომელიც ამჟამად მიმოდიან სამტრედიისა და ფოთს შუა, საკმაოდ უზრუნველყოფილნი არიან შეკვეთებით. ტვირთების დიდ უმეტესობას შეადგენენ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების დაკვეთები. მაგრამ ამავე დროს,—არის კერძო პირთა ტვირთებიც. გლეხობა თანდათანობით ეჩვევა მდინარით საქონლის გადაზიდვას: გააქვთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ხილი, ხე-ტყე, შეშა და სხვ. სწარმოებს აგრეთვე სამგზავრო მიმოსვლაც. ამასაც თანდათანობით ეჩვევიან ადგილობრივი მცხოვრებლები.

ნაოსნობის ოფიციალურ გახსნას ჰქონდა დიდი სააგიტაციო მნიშვნელობა. საქმე იმაშია, რომ გლეხობის დიდ ნაწილს, განსაკუთრებით, რიონის ნაპირებიდან დაშორებულ მოსახლეობას ჯერ კიდევ ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი რიონზე სანაოსნო მიმოსვლის ეკონომიური მნიშვნელობა. ოფიციალური გახსნის დღეს, გემების შესაჩერებელ პუნქტებზე თავი მოეყარა ადგილობრივ და შორეულ სოფლებიდან ჩამოსულ დიდძალ გლეხობას. ამ დღეს გემები შეჩერდენ კოდორში, ეწერში, კეთილნარში, ზემოჭალადიდში, სირიაჰკონში, პატარა ფოთში და სხვ., სადაც გემებს შეეგებენ მრავალრიცხოვანი მოქალაქენი. ყველგან გაიმართა მიტინგი, სადაც გლეხებმა მოისმინეს ვრცელი ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ რა მიზანს ისახავს რიონის ნაოსნობა; რა ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მას და რა გავლენა შეიძლება იქონიოს მან რიონის პირად მდებარე რაიონების სამეურნეო აღორძინებაზე.

საერთოთ გლეხობა დიდი აღტაცებით შეხვდა მდ. რიონზე ნაოსნობის აღდგენას და ალაგ-ალაგ თავის წარმომადგენლების პირით აღძრა შუამდგომლობა, რომ ნაოსნობა გაიტოდეს მდინარე რიონის შენაკადებზე — მდინარე ცივზე, ხობზე, ტეხურზე და სხვ. რომლებზედაც წინად სანაოსნო მიმოსვლა არ ყოფილა.

შინაგან წყალთა მიმოსვლის სამმართველოს შესაძლებლად მიაჩნია სათანადო გამოკვლევის შემდეგ შეუდგეს ამ საკითხის პრაქტიკულ მოწესრიგებას.

ასეთი დაპირება მივეცით ჩვენ ამ საკითხით დაინტერესებულ გლეხობას.

ამგვარად, ხანგრძლივი შეჩერების შემდეგ (1872 წლიდან) ნაოსნობა მდინარე რიონზე ისევ აღდგენილია და ახლო მომავალში იგი მიყვანილი იქნება ქალაქ ქუთაისამდე.

ნაოსნობა მდინარე იორსა და ალაზანზე

დღეს, კახეთში მიემგზავრებიან საბჭოთა კავშირის შინაგან წყალთა მიმოსვლის ცენტრალური სამმართველოს უფროსი ამხ. ლეპინი და ამიერ-კავკასიის შინაგან წყალთა მიმოსვლის სამმართველოს უფროსი ამხ. სპრინკველი, იმ მიზნით, რომ გამოარკვიონ შესაძლებელია თუ არა ნაოსნობა მდ. იორსა და ალაზანზე.

ქუთაისი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ფიზკულტურის ბიურო

საქ. პროფ-კავშირთა საბჭოს ფიზკულტურის ინსტრუქტორის, ამხ. მერგვილაძის მოხსენების გამო, კავშირებში ფიზკულტურის მუშაობის სისუსტის შესახებ, ქუთაისის სამაზრო პროფ-ბიურომ მიზან-შეწონილად სცნო: რათა ჩამოყალიბებულ იქნეს პროფ-ბიუროსთან პროფ-კავშირების ფიზკულტურის ბიურო, მუშათა ცენტრალური კლუბის გამგის თავმჯდომარეობით, რომელშიაც წევრებად შევლენ: პ/ბიუროს თავმჯდომარე, ფ. კ. ინსტრუქტორი, აღმშენებლობითი, განათლების, მეტყევეთა და საბჭოთა კავშირების კულტ-განყოფ. გამგეები და ფიზკულტურის საბჭოს წარმომადგენელი.

კლუბის თანხიდან გამოყოფილი უნდა იქნეს ფიზკულტურის კუთვნილ 15%, რაც უნდა იხარჯებოდეს საკავშირთა შორისო ფიზკულტურის წრეებზე.

იმ კავშირებიდან, სადაც ფიზკულტურის მუშაობა არ სწარმოებს გადმოცემულ უნდა იქნეს კულტ-ფონდის ანარიცხების 10% ფიზკულტურის ბიუროს განკარგულებაში.

ადგილები მუშფაკში

სამპროფბიუროს დადგენილებით, აძრულ უნდა იქნეს შუამდგომლობა საქ. პროფ-საბჭოს წინაშე, რათა მუშფაკში პროფ-საბჭოსათვის დათმობილ 45 ადგილიდან, ქუთაისის სამ. პროფ-ბიუროს დაეთმოს რამოდენიმე ადგილი.

თათბირი

17 აგვისტოს, მიწადმოქმედების განყოფილებასთან გაიხსნა თათბირი ქუთაისის მაზრის სასოფლო-სამეურნეო ხუთ-წლიანი გეგმის განსახილველად. თათბირზე გამოცხადდა 85 დელეგატი.

ნათესების მდგომარეობა

15 აგვისტოსათვის ნათესების მდგომარეობა შემდეგი ნიშნებით არის შეფასებული: სიმინდი 4,0; ბამბა 3,2; ბოსტნეული 3,7; ბალჩეული 3,6; თამბაქო 3,2; ვენახი 4,2; ხეხილი 3,4; სათიბი 3,9; კარტოფილი 3,7.

რკინისგზის ტვირთ-ტრიალი

ქუთაისში ივლისის განმავლობაში შემოზიდულია: ხორბლის ფქვილი 445,150 კილოგრამი; სიმინდი 217,500 კლგ., ბრინჯი—34,100 კლგ., მსხვილ-ფეხა რქიანი საქონელი 88,350 თავი, მატყლი 34,35 კლგ., ღვინო 15.700 კლგ., შაქარი ფხვნილი 32.730 კლგ. ნატეხი 800, ქვანახშირი 611,650 კლგ.

გაზიდულია: ხორბლის ფქვილი 8.200 კლგ., სიმინდი 37,800 კლგ., ბრინჯი 23.650 კლგ., ღვინო 54.650 კლგ., ფხვნილი შაქარი 4.450 კლგ., ქვანახშირი 400 კლგ., კარტოფილი 23.300; ხეხილი ნედლი 547.500 კლგ., ბოსტნეული 144.450 კლგ.

ბავშის პოვნა

18 აგვისტოს, ღამით არჩილ ჯორჯაძის ქ. № 39 იპოვეს ბავში.

ბავში აიყვანა მოქალაქე ვლადიმერ გოროზამ.

რიონჰესის სამუშაოები

მიუხედავათ ხშირი და ძლიერი წვიმებისა, რიონჰესის ძირითად სამუშაოების წარმოება შეუფერხებლად მიმდინარეობს.

მთავარ კაშხალის ადგილას დამთავრდა მდ. რიონის მარჯვენა კლდოვანი ნაპირის დადაბლება წყალის ჰორიზონტამდე; აქ მოეწყობა კაშხალის მარჯვენა ნაწილი, რომელიც პირველ რიგში იქნება აგებული. კაშხალის ამ ნაწილის დამთავრება განზრახულია 1929 წლის 1-ლ თებერვლამდე, ე. ი. წყალდიდობის დაწყებამდე. ამ მიზნით ამჟამად სწრაფი ტემპით სწარმოებს საფარების მოწყობა სამუშაოების რაიონის დასაცავად; ამ სამუშაოებისათვის ლენინგრადიდან გამოწერილი არიან წყალქვეშ მომუშავენი. დადგმული იქნება წყალსაქაჩავები და სხვა მექანიკური მოწყობილობა.

ამავე დროს სწარმოებს მარცხენა ნაპირის დადაბლება. აქ მოეწყობა წყალმიმღები აუზი და კაშხალის მარცხენა ნაწილი. სავსებით დამთავრებულია საჭირო სააღმშენებლო მასალის დამზადება.

გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს მუშაობა პირველ გვირაბში. მუშაობა სწარმოებს შეუწყვეტლად დღე და ღამის განმავლობაში. დერივაციულ არხში ამჟამად მუშაობა სწარმოებს 4 კილომეტრის მანძილზე. სწარმოებს მიწის სამუშაოები.

უკვე ამუშავებულია 700 ცხ. ძალის სიმძლავრის დროებითი ელექტრო-სადგური, რომლის ენერგიის წყალობით ყველა სამუშაოები მექანიზაცია-ქმნილია.

საერთოდ რიონჰესის აღმშენებლობაზე ამჟამად ყოველდღე საშუალოდ მუშაობს 1.650 მუშა-მოსამსახურე.

ქუთაისის იმ რაიონში, სადაც ღარიბი მოსახლეობა წყალსადენის უქონლობის გამო წვიმის წყალს და უვარგის ჭის წყალს ხმარობდა, რიონჰესის სამმართველოს მიერ აღმშენებლობის წყალსადენის ხაზზე მოწყობილია ონკანები მოსახლეობისათვის წყალის მისაწოდებლად.

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

თბილისის სამხედრო კომისარიატის მიერ შემუშავებულია 1906 წელში დაბადებულ გასაწვევ ახალგაზრდების გამოცხადების წესი შესაკრებ პუნქტებზე.

მოქალაქენი, მცხოვრებნი 1-ლ სამილიციო უბანში ცხადდებიან შესავსებ პუნქტზე 10, 11, 12, 13 და 14 სექტემბერს, მცხოვრებნი მე-5-ე უბანში—15, 17 და 18 სექტემბერს, მცხოვრებნი მე-7-ე უბანში—19, 20, 21, 22 და 24 სექტემბერს, მცხოვრებნი მე-10-ე უბანში—25, 26, 27 და 28 სექტემბერს.

ყველა მოქალაქენი, მცხოვრებნი ზემოდ ნაჩვენებ უბნებში უნდა გამოცხადდნენ აღნიშნულ დროს თბილისის ძირითად გამწვევ კომისიაში, რომელიც მოთავსებული იქნება თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის შესაკრებ პუნქტზე (სადგურის ქუჩა, № 24).

მოქალაქენი, მცხოვრებნი მე-3-ე უბანში ცხადდებიან გაწვევაზე 5, 6, 7, 8 და 10 სექტემბერს, მცხოვრებნი მე-2 უბანში—5, 6, 7, და 8 სექტემბერს, მცხოვრებნი მე-8-ე უბანში—11, 12 და 13 სექტემბერს, მცხოვრებნი მე-9 უბანში—5, 6, 7 და 8 სექტემბერს, მცხოვრებნი მე-11 უბანში—14, 15, 17 და 18 სექტემბერს, მცხოვრებნი მე-12-ე უბანში—19, 20, 21 და 22 სექტემბერს.

ყველა ეს მოქალაქენი უნდა გამოცხადდნენ აღნიშნულ დროს თბილისის მეორე დამატებით გამწვევ კომისიაში (სადგურის ქუჩა, № 24).

ყველა გასაწვევი ახალგაზრდები იკრიბებიან დილის 7 საათისათვის თავიანთ სამილიციო უბანში და სამხედრო-სააღრიცხვო მაგიდის გამგეებთან ერთად მიემგზავრებიან შესავსებ პუნქტზე.

ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებები და წარმოებები ვალდებულნი არიან დროებით გაანთავისუფლონ მათთან სამსახურში მყოფი გასაწვევი ახალგაზრდები შესავსებ პუნქტზე გამოსაცხადებლად.

უმაღლესი გამწვევი კომისია

წითელ ჯარში გაწვევის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიალურ სამმართველოსთან იმუშავებს უმაღლესი გამწვევი კომისია, რომელიც გაუწევს მეთვალყურეობას გაწვევის მსვლელობას. ყველა იმ მოქალაქეებს, რომელიც არ იქნებიან კმაყოფილნი ამა თუ იმ გამწვევი კომისიის მოქმედებით, შეუძლიანთ განასაჩივრონ კომისიის მოქმედება უმაღლეს გამწვევ კომისიაში.

ნახ. მარიაშის



საქ. მუზეუმის შენობა
რომელიც ახლო ხანში იქნება დამთავრებული

ქრონიკა

მისალმება სახ. კომისართა საბჭოს

საქ. სახკომსაბჭომ ქუთაისიდან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

ქუთაისის მაზრის მშრომელი გლეხობა, და მაზრის სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე სპეციალისტები, ალტაცებულნი ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის ასაყვავებლად წარმოებულ მუშაობით, მხურვალედ ესალმებიან სახალხო კომისართა საბჭოს. ჩვენი ქვეყნის სასოფლო მეურნეობის საჭირბოროტო საკითხებს ჩვენ პირველად ვიხილავთ მშრომელთა ფართო თათბირზე. ფიცს ვსდებთ, პირნათლად შევასრულებთ მუშურ-გლეხური მთავრობის დავალებას და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით ვიმუშავებთ ჩვენი სოფლის მეურნეობის აღდგენისა და მისი სოციალისტურად გარდაქმნისათვის, კოლექტივიზაციის გზით. გაუმარჯოს მშრომელ გლეხკაცობას და ჩვენი სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეს!

დაუდ-ხან პანახერის ჩამოსვლა

გუშინ, საღამოთი, თბილისში ჩამოვიდა სპარსეთის კონსული ერევანში **დაუდ-ხან პანახერი.**

ბრძოლა ბელლის მავნებლებთან

რაჭის მაზრაში უკანასკნელი ხნის განმავლობაში ძალიან გავრცელებულია ბელლის მავნებლები. მავნებლებს ამჟამად ენერგიულად ებრძვის, როგორც რაჭის აგრონომიული ორგანიზაცია, აგრეთვე მიწათმოქმედების მცენარეულობის დაცვის განყოფილებაც. მავნებლებთან ბრძოლის კამპანია ჩატარებული იქნება რაჭის 60 სოფელში. ამ მიზნით მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა რაჭის მაზრაში მიავლინა სპეციალური რაზმი ერთი ხელმძღვანელის და ათი ტეხნიკის შემადგენლობით.

თბილისის აღმასკომში

◆ **აბანო ლენინის რაიონში.** ლენინის რაიონში აბანოს ასაგებათ თბილისის აღმასკომი შეუდგა წინასწარ მუშაობას. ამჟამად უკვე დაგეგმილია ის ადგილი სადაც აშენებული უნდა იქნეს ახალი აბანო. აბანო აშენებული იქნება ყოფილ ღვთის მშობლის ეკლესიის გალავანში.

◆ **გზატკეცილის შეკეთება.** წალკა-მანგლისის გზატკეცილის შესაკეთებლად თბილისის აღმასკომმა გადასდო 14.500 მან.

◆ **საბეითლო პუნქტი.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა სოფელ კუშრაში (ზემო წალკის რაიონი) აგებული იქნეს შენობა ახალ საბეითლო პუნქტისთვის.

◆ **სასკოლო შენობის გაფართოება.** თბილისის აღმასკომი შეუდგა სოფ. თიანეთის სასკოლო შენობის გაფართოებას.

◆ **მანგლისის წყალსადენი.** მანგლისში წყალსადენის გაყვანა დამთავრდება მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს წყალსადენის გაყვანა დაჯდება 70.000 მან.

◆ **საბავშვო კოლონია.** აღბულაღის საბავშვო კოლონიის შენობების შესაკეთებლად გადადებულია 18.000 მან.

◆ **თიანეთის გზის შეკეთება.** თბილისის აღმასკომი ამჟამად აწარმოებს თიანეთის გზის შეკეთებას. ამ გზის შეკეთება დაჯდება 22 000 მან.

◆ **ახალი ქუჩა.** თბილისის აღმასკომმა დაამთავრა ახალი ქუჩის (ორდინის ქ.) გაყვანა. ქუჩა გაყვანილია ჩერქეზიშვილის ქუჩიდან კორალანოვის მამულზე. ქუჩის გაყვანა დაჯდა 70.000 მან.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მცენარეულობის დაცვის განყოფილება შეუდგა საშემოდგომო თესვის კამპანიის წინასწარ მუშაობას.. ამ მიზნით განყოფილება იძენს ფორმალინს, რომელიც გამოყენებული იქნება სათესლე მასალის მავნებლებისაგან გასაწმენდათ. განყოფილება ამ მოკლე ხანში გამოსცემს პოპულარულ ბროშიურას, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიწმინდოს სათესლე მასალა. საშემოდგომო თესვის კამპანიაში განყოფილება იმუშავებს თავდაცვა-ავიაქიმთან ერთად.

ს. მ. უ. საბჭოში

აგურ-კრამიტის ქარხნები

საქართველოს ს. მ. უ. საბჭო სენაკის და შორაპნის მაზრებში აგებს ორ აგურ-კრამიტის ქარხანას, რომელთაგან თვითეული ყოველწლიურად დაამზადებს 5 მილიონ ცალ აგურს და კრამიტს. ამჟამად სწარმოებს აგრეთვე დუშეთის აღმასკომის აგურ-კრამიტის ქარხნის რეკონსტრუქცია. მომავალ წელში განზრახულია სამი ახალი ქარხნის აგება, რომლებიც წლიურად დაამზადებენ 8 მილიონ ცალ აგურ-კრამიტს; 1930—31 წელში აგებული იქნება ორი ქარხანა, რომელთა ნაყოფიერება იქნება 1,5—2 მილიონი ცალი აგურ-კრამიტი, 1931—32 წელში—ორი ქარხანა 4 მილიონ აგურ-კრამიტის ნაყოფიერებით.

ხე-ტყის სახერხი ქარხნები

საქ. ს. მ. უ. საბჭოს სატყიო მრეწველობის სამმართველომ დაადგინა გადააკეთოს მომავალ წელში ორი ხე-ტყის სახერხი ქარხანა კახეთის მაზრაში. 1929—30 წელში გადაკეთებული იქნება რაჭის აღმასკომის ხე-ტყის სახერხი ქარხანა ქუთაისში და აგებული იქნება ახალი ქარხანა ოზურგეთის მაზრაში წლიური ნაყოფიერებით 5.000 კუბ. მეტრი. შემდეგში განზრახულია გაფართოვებული იქნეს სოფ. ხარისთვალის სახერხი ქარხანა.

განზრახულია აგებული იქნეს აგრეთვე თითო სახერხი ქარხანა ლეჩხუმის მაზრაში და ზემო სვანეთში და გადაკეთებული იქნეს ხე-ტყის სახერხი ქარხანა ახალციხეში.

სასამართლო

ქურდი ქალი

ანნა ნიკიტას ასული შიტოვა ამ ხუთი წლის წინად შინა-მოსამსახურეთ მუშაობდა ოლღა პოზოევას და ელისაბედ პავლოვსკაიას ოჯახში.

შიტოვას ქალმა „გაძრომ-გამოძრომით" დიდი ნდობა დაიმსახურა მდგმურებს შორის. ყველა პატივს სცემდა მას.

მაგრამ ბოროტათ იყენებდა ნდობას და ნოხერხებულად ეწეოდა როგორც პავლოვსკაიას და პოზოევას ბინების გაქურდვას, ისე სხვა მდგმურების ზინებსაც არ აკლებდა ხელს.

5—6 წლის განმავლობაში მას დაუგროვდა სულ „ცოტა" 3—4.000 მანეთის ოქროულობა.

შიტოვას ქალმა მოითბო ხელი. ბოლოს ცალკე ცხოვრება დაიწყო. აღარ სურს სამსახური.

უკვე გაიჩინა საქმრო. მაგრამ აღარ დასცალდა მას „გაბედნიერება".

ა. წ. 24 მაისს, მოქ. პავლოვსკაიას დაეკარგა პალტო. როცა მან ლაპარაკი ჩამოუგდო შიტოვას პალტოს შესახებ, უკანასკნელს ფერმა აურა-დაურა. ქალი შეეჭვდა და ამის შესახებ განაცხადა თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში.

შიტოვას ქალმა იგრძნო, რომ მისი „მოღვაწეობა" გამომჟღავნდებოდა და რამოდენიმე შეკვრა ფართალი და ნაქურდალი ტანსაცმელები დასწვა.

ამ გარემოებამ მდგმურებს კიდევ უფრო გაუძლიერა ეჭვი, სისხლის სამართლის მილიციამ ჰკადრა მანდილოსანს დაპატიმრება.

გაჩხრეკისას მის ბინაზე იპოვნეს დიდძალი ძვირფასი ნივთები და დოლარები.

შიტოვას ქალი წამოსკუპდა საბრალმდებლო სკამზე.

სასამართლოში შიტოვა ისე იძლეოდა ჩვენებას, თითქოს დაზეპირებულ გაკვეთილს ამბობსო.

სასამართლომ შიტოვას ქალს მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

მიწით ვაჭრობისათვის

ვასილ, გიორგი და ვანო ულენტიებს ერთი ნაჭერი მიწა ჰქონდათ სოფ. ოჯამურში (ზუგდიდის მაზრა).

ამას წინად მათ მიწა მიჰყიდეს მოქ. კოსტა ფერაძეს.

იმ მიზნით, რომ კანონისათვის გვერდი აევლიათ, დასდეს ხელშეკრულება მიწის იჯარით გაცემის შესახებ. სინამდვილეში კი ულენტიებმა მიწის საფასური მთლიანად მიიღეს და 500 მანეთი ჯიბეში ჩაიდეს.

ასეთი ოინებით ვითომ „თვალი აუხვიეს" ადგილობრივ ხელისუფლებას. მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ „თვალი გაახილა" და ულენტიები და ფერაძე მისცა პასუხისგებაში.

ზუგდიდის სახალხო სასამართლომ ვასილ და გიორგი ულენტებს და კოსტა ფერაძეს **მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა,** ხოლო ვანო ულენტს კი ორი წლით დაპატიმრება.

გარდა ამისა, ფერაძეს ჩამოერთვა მიწა და გადაირიცხა საადგილმამულო ფონდში.

ულენტებს ჩამოერთვა მიწაში აღებული ფული და გადაეცა ადგილობრივ აღმასკომს.

ჯიბგირი ტრამვაიში

ამას წინად რუსთაველის პროსპეკტზე სახელმწიფო ოპერის წინ ტრამვაის გასაჩერებელ ადგილას იდგა დანიელ ეფიმისძე ლარიჩკინი.

ტრამვაის ვაგონს ბევრი მგზავრი უცდიდა.

— რაშია საქმე. კარგა ხანია ვიცდი და ვაგონი არ ჩამოდგა. სთქვა ერთ-ერთმა მგზავრმა.

— აბა, სასწრაფო საქმეზე მივეჩქარები და საშველი არ დადგა,—ჩაერია ლაპარაკში ლარიჩკინი.

ჩამოდგა ტრამვაი. მგზავრები ერთმანეთს ეჯიბრებოდ ასვლაზე.

—მიბრძანდით, მიბრძანდით ქალბატონი,—ეუბნება ქალებს თვითონ კი ასვლაზე თავს არ იწუხებს.

ვაგონში ხალხი ბლომად იყო. ლარიჩკინსაც ეს უნდოდა. იხელთა დრო და პროფ. ივ. თიკანაძეს ოქროს საათი ამოართვა ჯიბიდან.

პროფ. თიკანაძემ ამის შესახებ განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში.

ამ საქმეზე სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ლარიჩკინი.

გამოირკვა, რომ ლარიჩკინი დიდი ხანია „ორი თითით" ეწევა მუშაობას. დადასტურდა, რომ პროფ. თიკანაძეს მან ამოართვა ჯიბიდან ოქროს საათი.

ლარიჩკინის საქმე ამ დღეებში გაირჩა სასამართლოში.

სასამართლომ ლარიჩკინი სამი თვით გაგზავნა „გამასწორებელ კურსებზე" გამსახლეში.

თ.

შემთხვევები

თავდასხმა კოჯრის გზაზე

გუშინწინ, ღამით, კოჯრის გზაზე თბილისიდან მიმავალ გიორგი ავეტიკას ძე ჯავახიშვილს თავს დაესხა შეიარაღებული პიროვნება. თავდამსხმელებმა ჯავახიშვილი გადააგდეს ხევში, სიკვდილის მუქარით გახადეს ტანისამოსი და წაართვეს 50 მანეთი ფული.

ამავე დღეს კოჯრის გზაზე გაძარცვეს მანგლისში მიმავალი მეფურგუნე ვასალი დავლოევი (სოფ. პრიუტის მცხოვრები).

მეფურგუნეს მანგლისის კოოპერატივისათვის მიჰქონდა ფართალი და სხვა საქონელი.

თავდამსხმელებმა მეფურგუნეს წაართვეს ერთი ყუთი ლილა და მიიმალენ.

[illegible] ამის შესახებ აცნობეს მილიციას. შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გაემგზავრენ სამძებრო მილიციის თანამშრომლები, რომლებმაც თავდამსხმელები დააპატიმრეს. ესენი აღმოჩნდნენ ენოკ გრიგორიანცი და აიდან ალი-ოღლი.

დაჯახება

გუშინწინ, ღამით, სად. ანანურის მახლობლად, კავკავის „ბერლიე"-ს სისტემის ავტომობილმა, ქუჩაზე გადამავალ გლეხს დაეჯახა და მძიმედ დაშავა. დაჭრილი გადაგზავნეს [illegible] საავადმყოფოში. დაშავებულის ვინაობა [illegible]. შოფერი დაპატიმრებულია.

ქურდობა

მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს დოქტორ გოგოლაშვილის ბინა (საბჭოთა ქუჩა № 20). წაიღეს 100 მანეთის ნივთები.—გაქურდეს აგრეთვე იოსებ ჩუმბეტაშვილის ბინა (საჭილაოს ქ.), წაიღეს 150 მანეთის [illegible] ავეჯეულობა.

გარდა ამისა, 21 აგვისტოს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის ხუთი შემთხვევა. დაპატიმრებულია სამი ქურდი.

რკინისგზებზე

სამგზავრო მატარებლის დამსხვრევა

21 აგვისტოს, 15 საათსა და 26 წუთზე ხაშურ-ბაქოს გადასარბენის 147 კილომეტრზე სამგზავრო მატარებელს № 4, რომელიც როსტოვიდან ბაქოში მოდიოდა, შეემთხვა მარცხი, მატარებელი შეეჯახა კამეჩს, რის გამო სამი საკლასო ვაგონი, მათ შორის ერთი საფოსტო, ვინაიდან ბაქოში მოდიოდა, შეემთხვა მარცხი, ჭრა სამი მგზავრი: ტელეგინა (ნალრძობი აქვს მხარი), ბოლდირევი და ლევონიცინი. მსუბუქად დაშავდა 12 კაცი. დერბენდიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი გზის გასაწმენდათ. პირდაპირი მიმოსვლა აღდგენილი იქნა 22 აგვისტოს დილის 5 საათსა 15 წუთზე.

ახალი სამუშაოები ა.-კ. რკინის გზებზე

ა.-კ. რკინისგზების გამგეობის წევრმა ტეხნიკურ ნაწილში ანუ, ბერიძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ წელს რკინისგზებზე ახალი სამუშაოები უფრო ფართო მასშტაბით იქნება წარმოებული, ვიდრე შარშან. განზრახულია შესამჩნევათ იქნეს გაძლიერებული გზის გადაზიდვის უნარიანობა, გაფართოვებული იქნება სახელოსნოები, დეპო და სხვა. წელს კაპიტალურ სამუშაოებზე დაიხარჯება 14 მილიონამდე მანეთი

გზის გადაზიდვის უნარიანობის გასაძლიერებელი სამუშაოები, როგორიც არის მეორე ხაზის დაგება აღმოსავლეთ უბანში 120 კილომეტრის მანძილზე, 12 ახალი პლატფორმის მოწყობა და ზესტაფონის, ხაშურის, თბილისის, ბალაჯარის და ბაქოს კვანძების გაძლიერება. შესრულებულია 63—70 პროცენტით.

მუშაობა ახალი ხიდების ასაგებად და ძველების გადასაკეთებლად სწარმოებს, უმთავრესად, დასავლეთ უბანზე. ბათომ-ჩაქვის გადასარბენზე შენდება 3 ხიდი, ნაცვლად შარშან შემოდგომაზე წალეკილ ხიდებისა. ფოთი-ზესტაფონის გადასარბენზე შენდება 10 ხიდი, მათ შორის ხიდი მდ. ნაგელაზე, ტეხურზე, ცივზე, გუბის-წყალზე, კორონის-წყალზე და მდ. რიონზე საჯევახოსთან. დასახული პროგრამა შესრულებული იქნება მთლიანად

მუშაობა საცივარების მოსაწყობად სამტრედიაში და ნავთლუღში სავსებით დამთავრებულ იქნება ერთი თვის შემდეგ. ამჟამად სწარმოებს მონტაჟი და მოწყობილობის დადგმა. საცივარები მუშაობას დაიწყებენ ნაწილობრივ შემოდგომიდან. მათი სრული დატვირთვა დაიწყება გაზაფხულიდან.

წარმატებით მიმდინარეობს სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციო სამუშაოები. ამჟამად სწარმოებს მაჩტების დადგმა, სხვადასხვა შენობების აგება და ტელეფონის კავშირის მოწყობა.

ნარევი

მიწის-ქვეშა პოლიცია

მდ. გუძონის ქვეშ ნიუ-იორკის და ნიუ-ჯერსის შუა გაყვანილ საავტომობილო გვირაბისათვის შედგენილია პოლიციელთა სპეციალური „მიწისქვეშა" რაზმი. ეს პოლიცია დანიშნულია მიმოსვლის მოსაწესრიგებლად გვირაბში. პოლიციელები გვირაბში ივლიან (სპეციალური გზით, რომლის განი იქნება 3 ფუტი. ამ გზის ორივე მხარეზე მოწყობილი იქნება გზები ავტომობილებისათვის — თითეული გზის განი იქნება 10 ფუტი. თითეული 400 ფუტის მანძილზე საპოლიციო გზაზე მოწყობილი იქნება ბუდკები, საიდანაც პოლიციელს შეუძლია ელექტრონის ნიშნებით გასცეს განკარგულებები „გააჩერეთ მთელი მოძრაობა", გააჩერეთ თქვენი ავტომობილი", „უბედური შემთხვევა", „ხანძარი". სპეციალური ტრამვაის ვაგონები, მომარაგებულნი მძლავრი ამწევი მანქანებით და დამხმარე ავტომობილები იმორიგებენ სათადარიგო გზებზე გვირაბის ორივე ბოლოში დახმარების აღმოსაჩენათ რაიმე უბედური შემთხვევის დროს.

რადიო-გაცემა

ხუთშაბათი, 23 აგვისტო

დღეს გადაცემა იწარმოებს ა. კ. რკინის გზელთა პროფკავშირის სტუდიიდან.

პარასკევი, 24 აგვისტო

პარასკევს, 24 აგვისტოს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.
მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—მოხს. ქართულ ენაზე.
შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები (გაგრძელება)—მოხს. რუსულ ენაზე.
ახალგაზრდობის მე-14 საერთაშორისო დღის ჩატარების წესი—ინსტრუქცია მოხსენება რუსულ ენაზე.
ტეხნიკური კონსულტაცია.
ტუბერკულიოზი—ჯანსახკომის მოხსენება თურქულ ენაზე.
რადიო-გაზეთი—ოსურ ენაზე.
გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.
კონცერტი ან ტრანსლიაცია.
ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.
მოხსენებებს შუა—მუსიკალური ნომრები.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის 1928 წ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების ქვემდებარეობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის 1928 წ. იანვრის 29-ს დადგენილების თანახმად და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1928 წ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოთ შემოღების შესახებ ამა წ. მარტის 26-ს თარიღითა და მე-18 №-ით გამოცემული (კან. კრ. 1928 წ. მე-4 №-რი, მუხ. 34) დადგენილების ასამატებლად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

I.

დროებით, ვიდრე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სათანადოთ გადაისინჯებოდეს, ამ კოდექსის 25 და 26 მუხლის გასაუქმებლად და 366 მუხლის სათანადოდ შესაცვლელად, 1928 წ. რედაქციის სისხ. სამ. კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ქვემდებარეობა.

1. ყოველი საქმე 1928 წ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შესახებ ექვემდებარება სახალხო სასამართლოს, სახალხო მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შედგენილობით, გარდა იმ საქმეებისა, რაც აღნიშნულია ამ კარის შემდგომ მუხლებში და მე-2 კარში.

2. სახალხო მოსამართლე ერთპიროვნად, სასამართლო ბრძანების წესით, განიხილავს საქმეებს ისეთი დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამ. კოდექ. 64, 65 მუხ. 68 მუხ. 3 ნაწ. 73, 90, 93, 102, 103,108, 198 მუხ., 200 მუხ. 1 და 2 ნაწ., 201 მუხ., 202 მუხ., 1 ნაწ. და 203—211 მუხლში.

3. სამაზრო სასამართლოებს, ხოლო აფხაზეთის ს.ს.რ.-კის, აჭარისტანის ავტონომიური ს.ს.რ.-კის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარ და უმაღლეს სასამართლოებს, ექვემდებარება შემდეგი საქმეები:

ა) სახელმწიფოებრივი: კონტრ-რევოლიუციონური და მმართველობის წესის საწინააღმდეგო, ს.ს.რ. კავშირისათვის განსაკუთრებით საშიში დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხლ. სამ. კოდ. 58^1 58^{27} მუხ.;

ბ) მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია 60, 63, 70 მუხ., 72 მუხ. 1 ნაწ., 77, 78 მუხ., 81 მუხ. 2 და 3 ნაწ. 84 მუხ. მე-2 ნაწ.

გ) თანამდებობრივი დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია 114—121 მუხ., 122 მუხ. 2 ნაწ., 123 მუხ. 2 ნაწ. და 125 მუხ. აგრეთვე 126 და 127 მუხლში, უკეთუ ამ დანაშაულს მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი, ან უკეთუ იგი ჩადენილია თანამდებობის პირის მიერ ანგარებით ან სხვა პირადი მოსაზრებით;

დ) სამეურნეო დარგის დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია 134—138 მუხ.;

ე) პიროვნების სიცოცხლისა, ჯანმრთელობისა, თავისუფლებისა და ღირსების საწინააღმდეგო დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხლ. სამ. კოდ.144—147,160, 167—173 მუხ. და საგვარეულო ყოფა-ცხოვრების ნაშთად დარჩენილ დანაშაულთა დებულების (დანართი) 1-მუხ.;

ვ) ქონებრივი დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია 177 მუხ. „გ" პუნქ., 180 მუხ. 3 ნაწ., 181 და 185 მუხ. და 194 მუხ. მე-3 ნაწ.;

4. სახალხო სასამართლოს განსაკუთრებულ კამერას შრომის კანონთა დარღვევის საქმეთათვის ექვემდებარება საქმეები ისეთი დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხლ. სამ. კოდ. 139, 140 და 141 მუხ.

II.

საქართველოს ს.ს.რ. სისხლ. სამ. საპრ. კოდექსის 27 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 27 სამხედრო ტრიბუნალს ექვემდებარება:

ა) სამხედრო დანაშაულთა საქმეები:

ბ) ისეთი სახელმწიფოებრივი (კონტრ-რევოლიუციონური და მმართველობის საწინააღმდეგო, ს.ს.რ.კ-თვის განსაკუთრებით საშიში) დანაშაულის საქმეები, რასაც სჩადის სამხედრო მსახური და სათადარიგოდ ჩარიცხული სამხედროვალდებული პირი მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში ყოფნის დროს, აგრეთვე ომიანობის დროს ზურგისა და ფრონტის მომსახურეობისათვის [illegible] განსაკუთრებულ გუნდში მყოფი მოქალაქე, და რაც გათვალისწინებულია სახელმწიფოებრივ დანაშაულთა 1927 წ. თებერვლის 25-ის დებულების 2—5, 8—10, 14, 17, 21, 24 და 25 მუხ. (ს.ს.რ.კ. კან. კრებ. 1928 წ. მე-12 №-რი, მუხ. 123, საქართველოს ს.ს.რ. 1928 წ. რედაქციის სისხლ. სამ. კოდ. 58^{2-5}, 58^{8-10}, 58^{14}, 58^{17}, 58^{21}, 58^{24} და 58^{25} მუხ.); აგრეთვე ამავე დებულების 11, 12 და 23 მუხ. (საქართველოს ს.ს.რ 1928 წ. რედაქციის სისხ. სამართლის კოდ. 58^{11}; 58^{12} და 58^{23} მუხ.), უკეთუ საქმე ზემოთაღნიშნულ სახელმწიფოებრივ დანაშაულს შეეხება;

გ) „ბ" პუნქტში აღნიშნულ პირთა მიერ ჩადენილი თანამდებობრივი და ქონებრივი დანაშაულის საქმეები, რაც გათვალისწინებულია 1928 წლის რედაქციის სისხლ. სამ. კოდ. 119—126 მუხ. და 177 მუხ. „ვ" და „ზ" პუნქ.;

დ) ისეთი სხვა დანაშაულის საქმე, რაც საფრთხეს წარმოადგენს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სიმტკიცისა და ძლიერებისათვის, უკეთუ მისი განხილვა დაევალა სამხედრო ტრიბუნალს ს.ს.რ.კ. და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების საფუძვლების 21 მუხ. 1 შენიშვნის წესისამებრ;

ე) ყველა დანაშაულის საქმე, ვინც უნდა ჩაიდინოს იგი, ისეთ ადგილას, სადაც რაიმე განსაკუთრებული მიზეზით საერთო სასამართლოები არ მოქმედობენ.

III.

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ს. ს. რ.-კისა და აჭარისტანის ავტონომიური ს.ს.რ. ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ის ცვლილებანი, რაც ამ დადგენილებიდან გამომდინარეობს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. სტურუა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ: შ. მათიკაშვილი.

1928 წელი, აპრილის 11.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოთჩამოთვლილ ამხანაგებს ხუთშაბათს, 23 აგვისტოს, დილის სრულ 10 საათზე გამოცხადდნენ ამხ. სოსიაანთან:

კალანდაძე ალექსანდრე (თბილისის საქონლის სადგური), ჯიბუტი დავით (თბილისის საქონლის სადგური), მგალობლიშვილი ვლადიმერ (ტრამვაის სახელოსნოები), მიქაძე რაფიელ (მთავარი სახელოსნოები), ასლამაზოვი არშაკირი („რ. ლიუქსემბურგის" თამბაქოს ქარხანა), ჩერნიშევი ვასილ (ამიერ-კავკ. რკინის გზის სამმართველო), ანანიაშვილი ნიკოლოზ (ამიერ-კავკ. რკინის გზის მატერიალური დარგი), სალუქვაძე ნიკოლოზ (ახალგ. ლენ. კომკავშირის ლენრაიკომი), ისინსკი ვასილ (ამიერ-კავკ. რკინის გზის საშემოსავლო დარგი), სოლოღაშვილი გალუსტ (ამიერ-კავკ. რკ. გზის საშემოსავლო დარგი), პატარაშვილი შალვა („ზაკტპო"), როსტომოვი ტიგრან (ცეკავშირის სტამბა), გალუსტოვი ზაქარია (ამიერ-კავკ. ფინსახკომი), ბორშჩევი დავით (პოლიგრაფ ტრესტის მე-2 სტამბა), ოსიპოვი სერგო (პოლიგრაფ ტრესტის 1-ლი სტამბა), მგალობლიშვილი სოსო (საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო), ოქრუაშვილი დავით (კოლოფების ფაბრიკა), სახარაძე პლატონ (ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხანა), მალიევი იოსები („ხლებოპროდუკტი"—ადგილკომი), იაგენტინსკი სიმონ (მზეჭ. კლ. ახ. სექცია), ტაბიძე აკაკი (ახალგ. ლენ. კომკავშირის მესამე რაიკომი), მანუკიანი სურენ (კონტ. „პრავდა"), ბეჟანოვი ამაიაკი (ქალაქის სასაკლაო), ოგანეზოვი მაცაკ (მაუდის ქარხანა), მამიკონოვი არტაშ (ახალგ. ლენ. კომკავშირის მესამე რაიკომი), მნაცაკანოვი ნაზარ (ახალგ. ლენ. კომკავშირის მესამე რაიკომი), აკპერ მამედ ალი ზადე (ამიერ-კავკაცაკი), ბაგაროვი გრიგოლ (ამიერ-კავკ. რკინის გზის მთავარი სახელოსნო), დავრანოვი ვაგარშაკ (საპნის სახარში ტრესტი).

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი [illegible] წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს დღეს, 23 აგვისტოს, დილის სრულ 10 საათზე გამოცხადდნენ ამხ. სოსიაანთან:

სერგო ოგანეზოვი, გაიკ პირიკიანი, ნიკოლოზ გვაზავა, სერგო ჯაფარიძე, გრიგოლ ხოფერია, გიორგი ტატულოვი, არსენ კარახანიან, ნემსაძე (შრომის ბირჟა), პეტრე ბუჩიძე, აკაკი შარამიძე, პეტრე ქუთათელაძე, ნიკოლოზ იოვიძე, ვასილ კასატკინი, პეტრე ბახტაძე, ვასილ კანდელაკი, ი. ოზორნინი, პლატონ დანელია, აკაკი ლეკვეიშვილი, მიხეილ ლაშხი-ლობჟანიძე, ვლადიმერ ლეჟავა, პიმენ ხობუა, ალექსი სტეფანოვი, ა. მ. კუჟიშვილი, რუბენ ბაღდასაროვი, მიხეილ კაკაბაძე, ვასილი ბურცე, ვლადიმერ დარჩიაშვილი, გიორგი მამასახლისოვი, დავით ჯიბუტი (ლენინური კომკავშირი), ვლადიმერ მგალობლიშვილი (ტრამვაი), რადიონ მიქაძე (მთავარი სახელოსნო), ალექსი კირილოვი (ამიერ-კავკ. ფინსახკომი), ბორის კაზარიშვილი, დავით მესხი, სარალიძე (თბ. განათლების განყოფილება), მამისარაშვილი (შრომის ბირჟა), თომა ლუკავა (ლენინური კომკავშირი).

* * *

ხუთშაბათს, 23 აგვისტოს საღამოს 6 საათზე ლენრაიკომის შენობაში შესდგება ქალ-ორგანიზატორების თათბირი. დასწრება სავალდებულოა

* * *

ს. ა. ლ. კ. კ: სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიურო-კოლექტივის სხდომა შესდგება დღეს, 23 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე. წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ თბილისის კომიტეტის კურსებთან არსებულ ბიურო კოლექტივის პ. მ. და ტეხნიკური მდივნები.

ჯ. ს. კ. ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი ღრმესი მწუხარებით აცხადებს, რომ ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დირექტორის მოადგილე

ექ. მინა მალაქიას ძე მარუაშვილი

(შ)

ჯანსახკომის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური განყოფილება ღრმა მწუხარებით აუწყებს საქართველოს მშრომელთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 22 აგვისტოს—28 წ. გარდაიცვალა ენერგიული მუშაკი მალარიის წინააღმდეგ და დაუფასებელი თანამშრომელი ტროპიკული ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწე

ექ. მინა მალაქიას ძე მარუაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი ქალაქის მე 2 საავადმყოფოს პროზექტურაში კამოს ქ. № 103 საღამოს 7 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 3792

ა/კ. რკინის გზების ცენტრალურ ტროპიკულ სადგურის ექიმები და თანამშრომლები მწუხარებით აუწყებ ნ ძვირფას ამხანაგის, სამაგალითო, უანგარო მუშაკის, საქართველოს ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის

ექ. მინა მარუაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას, 22 აგვისტოს დილით თბილისის ქალაქის მე-2 საავადმყოფოში, პანაშვიდი საღამოს 7 საათზე საავადმყოფოს პროზექტურაში. 3796

თავზარდაცემულნი მეუღლე თამარი, შვილი გოგი, დედა ეფროსინე, დები: მარიამი და ნინო, ძმები: იოსებ, ვიქტორ და ილიკო, რძლები: ქეთო და ვარო მარუაშვილები, სიძე ვანო ნაცვლიშვილი აუწყებენ, რომ 22 აგვისტოს დილით 1-ლ კლინიკურ ინსტიტუტში ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი

ექ. მინა მალაქიას ძე მარუაშვილი

პანაშვიდი საღამოს 7 საათზე 1-ლ კლინიკურ ინსტიტუტში, გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 3799

საქართველოს სახკომსაბჭოს გარაჟის ადგილკომი მწუხარებით აუწყებს ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი

დათა გაბიშვილი

(დათიკო ავლაბრელი)

რომლის დაკრძალვაც მოხდება დღეს 23 აგვისტოს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. გამოსვენება სამ საათზე საკუთარ ბინიდან ანდრეევის № 29. 3800

ალექსანდრა ალექსანდრეს ასული, მეუღლე დიმიტრი მიხეილ ს ძე, შვილები: ვახტანგი მეუღლით და შვილით მიხეილი, ლევანი და ნატალია რჩეულიშვილები დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ რომ 20 აგვისტოს ღამის 10 საათზე გარდაიცვალა საყვარელი დედა და ბებია

სოფიო ათანასეს ასული ჯავახიშვილისა

გამოსვენება ხუთშაბათს 23-ს 4 საათზე ბინიდან (კალინინის 66) დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 3776

ივანე ალექსანდრეს ძე ოჯახობით და გიორგი ალექსანდრესძე ჯავახიშვილები, ეკატერინე კრივეცკისა და ალექსანდრა რჩეულიშვილისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ საყვარელი დედის და ბებიის

სოფიო ათანასეს ასული ჯავახიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 4 საათზე ბინიდან (კალინინის 66) კუკიის სასაფლაოზე 3786

ორჯონიკიძის სახელობის კლუბი
დღეს, 23 აგვისტოს,

სიმფონიური კონცერტი

5 დირიჟორის სტუპელის, გროდსკის, ელეფთეროვის, ლიდუხოვერისა და მალჩანოვის ხელმძღვანელობით
პროგრამაში—მასენე, გლინკა, ჩაიკოვსკი, გრიგი, ლიადოვი და სხვ.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
ბაღში—კინო. სიმფონიურ კონცერტის ბილეთი გამოდგება კინოსთვისაც
შემდეგი კონცერტი 24 აგვისტოს, მედსანშრომის კლუბში, პირველად გაიმართება ცნობილ დირიჟორის ვ. ბერდიაევის გასტროლი. ნ. 1515 3—2

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	ამერიკული კინო-რომანი	ამერიკელი ქალის თავგადასავალი	1 და 2 სერია ერთად
საზაფხულო ეთერი	უკანასკნელი დღე	რობინზონ კრუზო	3 და 4 სერია
საზაფხულო დარბაზი	მოზჟუხინი, ლისენკო და ნ. კოლინი განთქმულ სურათში	კინ	
საზაფხულო პალასი	საუკეთესო სურათი	კენიგსმარკ	პიერ ბენუას რომანის მიხედვით
პროლეტარი ავლაბარი	სეზონის საუკეთესო სურათი	პრერიების კანონი	

ანონსი მალე, სეზონის საუკეთესო კომედია „ორი მეგობარი, მოდელი და მეგობარი ქალი". 0—20

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 27 აგვისტოს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 1 ბაზრის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. აჯიმამუდოვის მოძრავ ქონებას: ვენის სკამებს, იაგიდებს, სპილენძის ქვაბებს, საყინულეს და სხვ. შეფასებულს 313 მანეთად, სახკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 25 ივლისის 1928 წ. თარიღით, № 3087 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3802

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. და საღ. 6—8 საათ.
ამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო
ა. წ. 28 აგვისტოს 14 საათზე ქალ. ქუთაისში აცხადებს

შერეულ შეჯიბრს

ხრეშის და სილის დამზადებაზე და რიონჰესის საგუბრის სამუშაოს რაიონში დადგმაზე.

საორიენტაციო რაოდენობა მოსამზადებელ სილისა 3000 კუბ. მეტ. და ხრეშისა 7000 კუბ. მეტ. საორიენტაციო თანხა სანარდოსა 30.000 მან. ვადა სამუშაოს შესრულებისა 5 თვე. ზემოხსენებულ სანარდო სამუშაოზე დაწვრილებით, წერილობით კონდიციების განხილვა შეიძლება ქ. ქუთაისში სამუშაოთა სამმართველოში, ყოველდღე 9—14 საათამდე ორგანიზაციებს და პირთ, რომელთაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაო, შემოაქვთ ამის შესახებ განცხადება, დაწერილი დაწესებულ ფურცელზე (ბლანკზე) დაბეჭდილ კონვერტით, მასზე წარწერით: „რიონჰესის მთავარ ინჟენერს, 24 აგვისტოს შეჯიბრისათვის".

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველნი, რომელნიც არ თავისუფლდებიან საწინდარის წარდგენისაგან, ვალდებული არიან შეჯიბრების დაწყებამდი სამმართველოს სალაროში შეიტანონ 10 პროც. სამუშაოს ღირებულება.

რიონჰესის მთ. ინჟენერის მოადგილე—ბ. მიქელაძე.
ნ. 1511 2—1

ბაღდათის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
ი. დ. ლომთაძე

ამით აცხადებს, რომ 6 სექტემბერს 1928 წ. დღის 12 საათზე ის გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** სოფ. სალომინაოში, ქუთაისის მაზრაში, ალექსანდრე გიორგის-ძე ერისთავის მოძრავ ქონებას, რომელიც შეიცავს: 1) ნოხს, შეფ. 120 მან., 2) ფარდაგს, შეფ. 35 მან., 3) ექვს ვენის სკამს, შეფ. 9 მან., 4 დივანს, 8 სავარძელს, შეფ. 40 მან., 5) ნიკელის ლამფას სადგომით, შეფ. 10 მან., 6) საწერ მაგიდას, შეფ. 8 მან., 7) გრამაფონს 19 პლასტინკით, შეფ. 30 მ., 8) დასაკიდ ლამფას ექვს სასანთლით, შეფ. 20 მან., 9) სასადილო მაგიდას გასაშლელ ექვს არშინზე, შეფ. 13 მან., დასაკმაყოფილებლად აჭარვაჭრობა მრეწველობის 2408 მან. და 70 კაპ. და ქუთაისის 1-ლი სახელმწიფო თამბაქოს ქარხნის 26 კომუნართა სახელისა 313 მან. და 94 კაპ.
ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 3801

კინო-
დარბაზი
დღეს და ყოველდღე
მოზჟუხინი,
ლისენკო
და
ნ. კოლინი
საუკეთესო სურათში
კ
კინ
ნ
უკრავს სიმფ. ორკესტრი
ნ. 1507

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთაფვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1
ქუთაისში (დროებით)

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 სა-დე
სათვალეების შერჩევა
— და —
მათი სწორი დაყენება
სპეციალისტ ექიმის მიერ
უფასოდ
სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106 მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები.

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—2

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—2

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.
25—1

დავკარგე: აღმასრულებელი ფურცლები: 1) საოლქო სასამართლოს მიერ გაცემული 1927 წ. № 31908, სოფ. კარდანახში მცხ. ნიკო და სიმონ დარაშვილების მიმართ; 2) ქ. კარაკლისის სასამართ. მიერ 1927 წ. გაცემული დაბა ველისციხეში მცხ. აშოთ პეტროსიანის მიმართ (ალიმენტზე) და გურჯაანის სასამართლოს მიერ გაცემული აღმასრ. ფურცლები: 1) სოფ. ბაკურციხეში მცხ. შაქრო, ნინია და გიგა ლუაშვილების ქონების გაყოფაზე № 933, 2 დ. ველისციხეში მცხ. ნიკა თოროზოვის მიმართ № 734, 3) სოფ არაშენდაში მცხ. იაგორა ბერიძის მიმართ № 990, 4) სოფ. გურჯაანში მცხ. ვარდო ჯალალოვისა და ალექსანდრე ზარდიაშვილის მიმართ № 335, ჩ. გ. 3795. გურჯაანის სასამარ. აღმასრულებ. გ. მეტრეველი.

დავკარგე: უვადო პასპორტი № 842 მიხეილ ვასილის-ძე სეფაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3788

დავკარგე: საწევრო წიგნაკი № 63214, ალექსანდრე გიგაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3787

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი № 304, მოწმობა მე-29 შრომის სკოლის დამთავრების შესახებ და საბჭოთა და სავაჭროთა პროფკავშირიდან გაცემული შუამდგომლობა გიორგი იოსების-ძე ვაზაგაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3789

დავკარგე: ცვალებადელის სათადარიგო წითელი არმიის სამსახურის წიგნაკი გაცემული მე-5 ქართული მსროლ. ლეგიონიდან დომენტი თადეოზის-ძე კირვალიძეს სახელზე, ჩ. გ. 3765

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 97660, მუშკოოპის წიგნაკი № 27740, საანგარიშო წიგნაკი № 159 და კუტაიშის ცხრა წლედის დამთავრების მოწმობა ანა მიხეილის ასული გიგინეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3790

დავკარგე: კავშირის წიგ. № 9988, კოოპერატივის წიგ. № 37630, თბ. სახ. უნივ. სალექციო წიგ. № 2458, სამხედრო მაგიდის მოწმობა აკაკი შარვანის-ძე კაციას სახელზე, ჩ. გ. 3791

დავკარგე: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი გაცემული მე-2 სამილიციო რაიონის მიერ ალექსანდრე აქსენტის-ძე გამსახურდიას სახელზე, ჩ. გ. 3793

დავკარგე კომ. პარტიის საკანდ. ბარათი № 15000 დიმიტრი ნესტორის-ძე დუდუჩავას სახელზე, ჩ. გ. 3794

დავკარგე: მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 38022 ნიკოლოზ კიკნაძეს სახელზე, ჩ. გ. 3798

დავკარგე: ხვანჭკარის თემაღმასკომის ბეჭედი, ჩ. გ. 3798

დავკარგე: სამხედრო სააღრიცხო ბილეთი და სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწმობა, გაცემული ექიმ პლატონ ლუარსაბის-ძის ბურჯანაძის სახელზე, ჩ. გ. 3797

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამ ოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.